ლალი გვასარია

სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

თბილისი
1960

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ლალი გვახარია

სახელმწიფო გეგარა-გადასახადები ალმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1960

ლალი გვახარიას მონოგრაფია „სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში“, მიზნად ისახავს სახელმწიფო ბეგარა-გადასახადების გარკვევა-შესწავლას. სახელმწიფო ბეგარა-გადასახადებს XIX საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში იხდიდნენ სახაზინო, საბატონო და საეკლესიო გლეხები, აგრეთვე მოსახლეობის დანარჩენი დაბალი ფენები. წიგნში დადგენილია ნატურალური გადასახადების თანდათანობითი შენაცვლება ფულადით, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის შიგნით მომხდარი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ძვრებით.

წიგნს საფუძვლად დაედო საარქივო ფონდები და დოკუმენტები, აგრეთვე გამოქვეყნებული მასალა.

ლეთი 1804 წელს" და „ამბოხება კახეთისა". გლეხთა მძიმე ეკონომიური პირობების აღწერისას ავტორი გაკვრით განიხილავდა ბეგარა-გადასახადების საკითხსაც.

სამხედრო-სასურსათო ბეგარა განხილული აქვს ალ. ჭავჭავაძეს ნაშრომში: „Краткий исторический очерк положения Грузии 1801—1831 гг". ალ. ჭავჭავაძე ადარებს რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე და შეერთების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე დაწესებულ სასურსათო გადასახადებს. იგი ეხება აგრეთვე ჩვენში ომიანობით გამოწვეულ სასურსათო და სატრანსპორტო ბეგარის სიმძიმესაც.

ცალკე უნდა აღინიშნოს ი. ბახტაძის შრომა: „Податное положение государственных крестьян Закавказского края". როგორც სათაურიდან ჩანს, ავტორის მიზანს შეადგენდა ამიერკავკასიაში არსებული ბეგარა-გადასახადების გამოკვლევა. ნაშრომი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან. პირველი სამი ნაწილი მოიცავს XIX საუკუნის პირველ ნახევარს. პირველ ნაწილში განხილულია ამიერკავკასიაში რუსული მმართველობის შემოღებამდე არსებული ბეგარა-გადასახადები. მეორე ნაწილი რუსული მმართველობის დამყარების შემდეგი პერიოდია (XIX საუკუნის 40-იან წლებამდე), ხოლო მესამე და მემდეგი ნაწილები ამავე საუკუნის 80-იან წლებამდე აღწევს. თითოეულ თავში ცალკე ქვეთავად გამოყოფილია საქართველოში არსებული ბეგარა-გადასახადების გამოკვლევა. ი. ბახტაძე ჩამოთვლის საქართველოში რუსულ მმართველობამდე არსებულ გადასახადებს და მოკლედ აღნიშნავს, თუ რა ეკონომიური საფუძველი ედო ამა თუ იმ ბეგარა-გადასახადის წარმოქმნას და რა როლს თამაშობდა იგი სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობაში. იგივე ითქმის გამოკვლევის დანარჩენ ნაწილებზეც. ავტორი კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების აღწერით. აღნიშნავს რა გლეხთა მძიმე მდგომარეობას, არ იკვლევს ჩაგვრის მიზეზებს. მიგვითითებს ბეგარა-გადასახადებში მომხდარ ცვლილებებზე, ხოლო თვით ქვეყანაში უგულებელყოფს სოციალ-ეკონომიურ ცვლილებებს.

ბეგარა-გადასახადებთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს გაკვრით ეხებოდნენ დუბროვინი, პოტტო, ივანენკო, ესაძე და სხვა რევოლუციამდელი ისტორიკოსები. მათი ცნობები მეტად მცირე და ტენდენციურია.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ბეგარა-გადასახადების ურთულესი საკითხის მთელი რიგი მხარეები სრულიად განსხვავებული თვალსაზრისით არის გაშუქებული, თუმცა. როგორც აღინიშნა,

იგი სპეციალური, ყოველმხრივი კვლევის ობიექტად დღემდე არ გამხდარა. ზოგიერთი მკვლევარი ამ საკითხს ეხებოდა გლეხთა აჯანყებებთან დაკავშირებით, რამდენადაც აჯანყების ერთ-ერთ მიზეზს ბეგარა-გადასახადების სიმძიმე წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განხილულია საკითხი ვ. ტოგონიძის შრომაში „ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება 1804 წელს“, ა. კიკვიძის „გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს“, ო. მარკოვას „Восстание в Кахетии в 1812 году“ და სხვა.

საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით ბეგარა-გადასახადების საკითხს ეხება შ. ჩხეტია ნაშრომში „საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის“. საყურადღებოა გ. ნათაძის ნაშრომი: „Крестьяне „сахасо“ в Восточной Грузии“, სადაც ავტორი გლეხთა სოციალურ-ეკონომიური პირობების კვლევასთან დაკავშირებით განიხილავს ბეგარა-გადასახადების საკითხსაც.

ზემოჩამოთვლილი ავტორები სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის კვლევისას აღნიშნავენ გაზრდილ ვალდებულებათა მედეგად შექმნილ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას და ბრძოლას, რომელსაც გლეხები აწარმოებდნენ სოციალ-ეკონომიური ჩაგვრისაგან თავის დასაღწევად. მათ შრომებში ბეგარა-გადასახადების საკითხი შემოფარგლულია საკვლევი ობიექტის ზოგიერთი მხარის განხილვით. რიგი მკვლევარებისა განიხილავს მხოლოდ ცალკეულ გადასახადებს.

მოქალაქეებისათვის დაკისრებულ სახელმწიფო გადასახადებს— მალსა და მახტას ეხებიან ვ. ჩანტლაძე—„თბილისის საქალაქო შემოსავალი რეფორმამდელ პერიოდში“ და ალ. ფირცხალაიშვილი— „მოქალაქეთა საკითხზე“. მკვლევართა მიზანს არ შეადგენდა ამ გადასახადების გამორკვევა. ისინი საკითხს ეხებიან იმდენად, რამდენადაც ეს ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობის გარკვევისათვის არის საჭირო.

ბეგარა-გადასახადებს შეეხო პროფ. გ. გოზალიშვილი—„გლეხთა მდგომარეობის ისტორიის მასალებიდან მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში“. საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული საქმის („Дело по прошениям казённых крестьян о защищении их от присваивания частными людьми во владение“.) მიხედვით, ავტორი ცდილობს გაარკვიოს სახაზინო და უმა გლეხთა მდგომარეობა მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ დროისათვის ბატონისა და უმის ურთიერთობაში შეიმჩნევა მისწრაფება უმობიდან თავის დასახსნელად. თავდახსნის მსურველი

გლეხი ბატონს გარკვეულ საფასურს უხდის. ერთი უწყებიდან მეორეში გადასვლის დროს ყმა ვალდებულია ხელახალ აღწერამდე გადაიხადოს, როგორც ყმა გლეხებზე დაკისრებული სახელმწიფო გადასახადი, ისე სახაზინო გადასახადები. ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. გოზალიშვილი განიხილავს სამ სახელმწიფო გადასახადს: სურსათს, მალს და მახტას. ნაშრომს დართული აქვს ავტორის მიერ განხილული ოთხი საბუთის ტექსტიც. ავტორის მიერ მოყვანილი მასალა ზემოაღნიშნული გადასახადების შესასწავლად საკმარისი არ არის. საქართველოში სურსათისა და მახტის შემოღების დათარიღებაშიც ვერ დავეთანხმებით ავტორს[1].

ბეგარა-გადასახადებს უცხო სახელმწიფოებთან საქართველოს ურთიერთობის პოლიტიკური ფორმის დასადგენადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ ჩვენი შრომისათვის საყურადღებოა ვ. გაბაშვილის ნაშრომი „სათათრო გამოსაღებელი გვიანფეოდალურ საქართველოში". ამ გამოკვლევით საშუალება გვეძლევა ერთხელ კიდევ ნათლად წარმოვიდგინოთ ზოგიერთი გადასახადის, მაგალითად: „მალისა" და „სურსათის" წარმოშობა, მათი შემოტანა და გავრცელება საქართველოში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. ანთელავას ნაშრომი: „Подати и повинности государственных крестьян Грузии до введения новой податной системы в 1843—1845 гг". როგორც სათაური გვიჩვენებს, ავტორის მიზანს შეადგენდა იმ ბეგარა-გადასახადების გამოკვლევა, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფო გლეხებზე იყო დაწესებული. ავტორი არ შეხებია საბატონო და საეკლესიო გლეხებსა და მოქალაქეებზე დაწესებულ სახელმწიფო ბეგარა-გადასახადებს. მისი მიზანი იყო აღეწერა სახაზინო გლეხების მდგომარეობა საერთოდ და ამასთან დაკავშირებით განეხილა ბეგარა-გადასახადები. ი. ანთელავა ამ საკითხის კვლევას უმთავრესად XIX საუკუნის საბუთებზე ამყარებს[2]. სასურველი იყო ავტორს კვლევა უმთავრესად ქართული საბუთების მიხედვით ეწარმოებინა[3].

ჩვენი გამოკვლევის მიზანია გაარკვიოს და შეისწავლოს XIX საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში სახაზინო,

---

[1] იხ. აქვე, გვ. 30, 31.

[2] გამონაკლისს შეადგენს გადასახადი „მალი", რომლის შემოღებას საქართველოში ი. ანთელავა XV საუკუნით ათარიღებს (იხ. ი. ანთელავას დისერტაცია, გვ. 489—490). ამ დებულებაში ავტორს ვერ დავეთანხმებით.

[3] ი. ანთელავა ლაპარაკობს რა კახეთის გლეხთა აჯანყებაზე 1812 წელს კმაყოფილდება მხოლოდ რუს მოხელეთა მიწერ-მოწერით და არ მოჰყავს ქართული საბუთები: გლეხთა მიერ წარდგენილი სარჩევები, რომლებიც უფრო თვალნათლივ გვისურათებენ გლეხთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას.

საბატონო და საეკლესიო გლეხებზე და მოქალაქეებზე დაწესებული ნატურალური და ფულადი სახის სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები. გაარკვიოს ქვეყანაში მომხდარ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით ნატურალური სახის ბეგარა-გადასახადების თანდათანობით შეცვლა ფულადი ბეგარა-გადასახადებით. შრომითი ბეგარა და მემამულეთა სასარგებლოდ დაწესებული ბეგარა-გადასახადები ჩვენი კვლევის შემდგომ მიზანს წარმოადგენს. ჩვენი ნაშრომი ნაწილია შემდგომი კვლევისა, რომელიც მიზნად ისახავს ყოველმხრივ შეისწავლოს ბეგარა-გადასახადის საკითხი საქართველოს ყველა კუთხეში.

გამოკვლევა უმთავრესად საარქივო მასალებზე დაყრდნობით არის შესრულებული. მასალებს ვნახულობთ საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ, მოსკოვის ცენტრალურ ისტორიულ და სამხედრო ისტორიულ, ლენინგრადის ცენტრალურ ისტორიულ არქივებსა და აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდებში.

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა შემდეგ ფონდებში დაცული მასალები: ფ. № 1 — Общее собрание верховного грузинского правительства. ამ ფონდში დაცული მასალებიდან ჩვენ ამოვკრიფეთ ბეგარა-გადასახადების გადახდისაგან განთავისუფლებულ პირთა შესახებ არსებული ბრძანებანი და განკარგულებანი.

ფ. № 2—Канцелярия главноуправляющего Закавказским краем. ამ ფონდში მოთავსებული მასალებიდან გამოვიყენეთ საქართველოში რუსული მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებული განკარგულებანი და იმპერატორის ბრძანებულებანი (დადგენილებანი და განკარგულებანი საქართველოში ბეგარა-გადასახადებისა და სახაზინო მამულებთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად).

ფ. № 16—Канцелария Тифлисского военного губернатора управляющего гражданской частью. ამოკრებილი მასალა უმთავრესად შეიცავს აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოფლებიდან აკრეფილ ბეგარა-გადასახადების ნუსხებს, მოხელეთა წლიურ ანგარიშებს და. იმ დანაკლისებს, რომლებიც ედებათ საქართველოს სოფლებს მოხელეთა ბოროტმოქმედების თუ უვიცობის გამო.

ფ. № 48 —Горийский уездный начальник. ფონდში მოთავსებული მასალებიდან ჩვენ გამოვიყენეთ სიები იმ პირებისა, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ სურსათი ჩაებარებინათ სახელმწიფოსა თვის.

ფ. № 241—Управление государственными имуществами, лесами и делами сельского хозяйства и промышленности при главном управлении главнокомандующего гражданской частью на Кавказе. ამ ფონდიდან გამოვიყენეთ 1843—1845 წლებში საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა პროვინციებში გატარებულ რეფორმასთან დაკავშირებული მასალები.

ფ. № 245—Тифлисская палата государственных имуществ. გამოვიყენეთ ფონდის საქმეებში მოთავსებული ცხრილები, რომელთა მიხედვითაც საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა პროვინციებში 1843—1845 წლებში უნდა გატარებულიყო საფინანსო რეფორმა.

ფ. № 254—Тифлисская казённая палата. ამ ფონდიდან ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა მასალები არა მარტო სახაზინო მამულებისა და იქ მცხოვრები გლეხების, არამედ მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებლებზე დაწესებული ბეგარა-გადასახადების შესახებ და ამასთან დაკავშირებული ბრძანება-განკარგულებანი. ამ ფონდშივეა მოთავსებული აკრეფილი ბეგარა-გადასახადების ნუსხები.

მოსკოვის ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდებიდან ჩვენ უმთავრესად გამოვიყენეთ ВУА ფონდი. ფონდში მოთავსებული საქმეებიდან ჩვენი შრომისათვის ამოვკრიბეთ ბეგარა-გადასახადებთან დაკავშირებული ბრძანება-განკარგულებანი რუსი მოხელეებისა, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სტატისტიკური აღწერილობანი, ხაზინის სასარგებლოდ აკრეფილი გადასახადების ნუსხები. ამ ფონდში მოიპოვება მდიდარი მასალა 1812 წლის კახეთის გლეხთა აჯანყების შესახებ.

ლენინგრადის ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდებიდან ჩვენი შრომისათვის ცნობები უმთავრესად ამოვკრიბეთ კავკასიის კომიტეტის ფონდიდან.

ფ. № 1268—Кавказский комитет. ფონდში მოიპოვება რუს მოხელეთა მიერ შედგენილი სხვადასხვა პროექტები და მოსაზრებანი, რომლებიც ამიერკავკასიის ეკონომიური საკითხების შესახებ მრავალ საყურადღებო ცნობებს შეიცავენ. აქვეა მოთავსებული მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში აკრეფილი გადასახადების ნუსხები.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდებიდან ჩვენ გამოვიყენეთ Qd, Sd ფონდებში აღმოჩენილი გადასახადების ნუსხები, ბარათები და ხელწერილები ჩაბარებული გადასახადების შესახებ. ჩვენ მიერ გამო-

ყენებულ იქნა აგრეთვე მიხ. თუმანიშვილის ფ. № 8 და დ. ყიფიანის ფ. № 1 პირად საარქივო ფონდებში მოთავსებული მასალა.

საბუთების უმრავლესობა ცარიზმის მოხელეთა მიერ ტენდენციურად არის შედგენილი. ისინი უმთავრესად ხაზინის ინტერესებიდან გამოდიოდნენ და ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს მოსახლეობის მდგომარეობას. ხშირ შემთხვევაში საბუთები უვიც მოხელეთა მიერ იყო შედგენილი და მკვლევარისაგან ყოველმხრივ შემოწმებასა და სხვადასხვა წყაროებთან შედარებას მოითხოვენ.

საარქივო მასალის გარდა, ნაშრომში გამოყენებულია გამოქვეყნებული საბუთებიც, კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მიერ შეკრებილი აქტები. გათვალისწინებულია საკითხის გარშემო ლიტერატურა.

ბეგარა-გადასახადების არსის განსაზღვრისათვის ამოსავალი დებულებები ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, რომელიც მრავალ უძვირფასეს განსაზღვრებას იძლევა საზოგადოებრივი სტრუქტურის და ეკონომიკის შესწავლისათვის და ძირითადი წყაროა საბჭოთა მეცნიერებისათვის.

თავი პირველი

საქართველოს სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა XIX საუკუნის დამდეგისათვის

(ზოგადი მიმოხილვა)

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს საქართველოს მომავალი განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება: 1801 წელს საქართველო რუსეთს შეუერთდა, რამაც დოკუმენტალური გამოხატულება პოვა პავლე პირველის 1801 წლის 16 თებერვლის მანიფესტში. ეს ისტორიული აქტი, საკითხის ხელმეორედ გადასინჯვის შემდეგ, ალექსანდრე პირველმა 1801 წლის 12 სექტემბერს ახალი მანიფესტით დაადასტურა. რუსეთთან საქართველოს შეერთებით უქმდებოდა ქართლ-კახეთის სამეფო და იგი რუსეთის ნაწილად ცხადდებოდა.

საქართველო, როდესაც იგი რუსეთს შეუერთდა, მძიმე საგარეო და საშინაო პირობების გამო პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. საქართველოს მთელი ტერიტორია დაყოფილი იყო სამეფო-სამთავროებად, ხოლო თვითეული მათგანი შიგნით წვრილ ფეოდალურ ერთეულებად—სათავადოებად. „სათავადოების სისტემა საქართველოს ჩამორჩენილობას ემყარებოდა და თავის მხრით ამ ჩამორჩენილობას ემსახურებოდა. ამიტომაც საქართველოს აღდგენისათვის ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „აღდგომისათვის- ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა“ [1].

თავადებთან ბრძოლაში მეფე ხშირად თავის „სახასოს“ ეყრდნობოდა. გ. ნათაძის განმარტებით, გვიანფეოდალურ საქართველოში „სახასო“, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ნიშნავდა სამეფო გლეხებს .თავისი მიწით. ცალკეული ფეოდალური დომენის მასშტაბით კი—მამულსა და მასზე მცხოვრებ გლეხობას, რომლებიც უშუალოდ ამ ფეოდალის განკარგულებაში იმყოფებოდნენ[2].

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1, თბილისი, 1946, გვ. 384.

[2] Г. Натадзе, Крестьяне „Сахасо“ в Восточной Грузии в конце XVIII столетия; მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1937, გვ. 328.

ამ განმარტების მიხედვით, მეფე, სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენელი, თავისი სახასოს მიმართ ისეთივე ფეოდალია, როგორც სხვა ფეოდალები. იგი ყველაზე ძლიერია მათ შორის, ე. ი. პირველია თანასწორთა შორის. მეფის ხელმია როგორც სახელმწიფო, ისე მისი პირადი მამულები და მათზე დასახლებული გლეხობა. ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით „სახასოს" გლეხები ისეთივე ყმები არიან, როგორც სხვა ფეოდალთა ყმები. განსხვავება მათ შორის მხოლოდ პირად დამოკიდებულებამია. სახასოზე დაყრდნობით სამეფო ხელისუფლება ზოგჯერ ახერხებს ურჩი ფეოდალების ალაგმვას და ქვეყნის გაერთიანებას, მაგრამ ეს შემთხვევით ხასიათს ატარებს.

ქვეყანაში არ არსებობდა არც შინაგანი და არც საგარეო, რამდენადმე ხელსაყრელი პირობები ისეთი ახალი სოციალური ფენის წარმოქმნისათვის, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება დაეყრდნობოდა და რომელიც შეძლებდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას.

ამ დროისათვის ძირითადი მწარმოებელი ფენა სახელმწიფოში გლეხობაა. გლეხი მიწაზე ზის და მეურნეობას აწარმოებს მაგრამ არ არის ამ მიწის მესაკუთრე, რადგანაც მიწა ფეოდალის კუთვნილებას წარმოადგენს. გლეხის ეკონომიური დამოკიდებულება ყველაზე კარგად გადასახადებში ჩანს. მიწის ნაკვეთისათვის იგი მებატონეს უხდის გადასახადს, ე. ი. აწარმოებს აუცილებელ საარსებო პროდუქტს პირადი მოხმარებისათვის, ხოლო ზედმეტ პროდუქტს—მემამულისათვის. მიწის ნაკვეთი, რომელსაც გლეხი ამუშავებს მისთვის თითქოს წარმოადგენს „ნატურალურ სამუშაო ხელფასს". გლეხის პირად საკუთრებაშია სამიწათმოქმედო იარაღები და მოძრავი საქონელი, რაც წარმოადგენს ფეოდალური მეურნეობის პირობას. „ასეთი მეურნეობისათვის საჭიროა, რომ უშუალო მწარმოებელს მიცემული ჰქონდეს წარმოების საშუალებანი საზოგადოდ და მიწა კერძოდ" [3].

წინაკაპიტალისტური მიწის რენტის სახით ფეოდალი იღებს ზედმეტი შრომის პროდუქტს, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როდესაც მემამულე გლეხს ზედმეტს კი არა აუცილებელ საარსებო პროდუქტსაც ართმევს. გარდა ეკონომიური დამოკიდებულებისა, გლეხი

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, მე-4 გამოცემა, თბილისი, 1948, გვ. 208.

პირადადაც არის დამოკიდებული მებატონეზე. ვახტანგ VI კანონების თანახმად, „ყმისა ყველა ბატონისა არის". მებატონეს შეუძლია ქონება წაართვას ყმას, დასაჯოს იგი, გაქცეული ყმა 30 წლის განმავლობაში ეძებოს[4].

გლეხის პირადი დამოკიდებულებაც საბატონო მეურნეობის ერთ-ერთი პირობაა. „მეურნეობის ამ სისტემის პირობაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან. მემამულეს რომ არა ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შეძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა"[5].

ყმა-გლეხები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებოდნენ, თუ ვის ეკუთვნოდნენ ისინი (მეფეს, ეკლესიას, თავადს, აზნაურს...) და იმითაც, თუ რა დამოკიდებულებაში იყვნენ თავიანთ მებატონესთან. მებატონეებთან სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების ნიადაგზე საქართველოში წარმოიშვნენ ყმა-გლეხთა სხვადასხვა კატეგორიები. ერთი კატეგორიის გლეხების ვალდებულება თავისი მებატონის წინაშე ხასიათისა და მოცულობის მხრივ განსხვავდებოდა ფეოდალის სხვა ყმების მოვალეობისაგან მათი ბატონის წინაშე. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყმა-გლეხთა მდგომარეობა განსხვავდებოდა იმისდამიხედვით, თუ სად როგორი დამოკიდებულება იყო განმტკიცებული[6].

მებატონე თანდათან ზრდიდა თავის მოთხოვნილებებს, რაც ბეგარა-გადასახადების გაზრდით გამოიხატებოდა. ეს კი გლეხთა წინააღმდეგობას იწვევდა. ურჩობისათვის მებატონე გლეხს სჯიდა, ზოგჯერ ყიდდა, ხოლო მის ქონებას ისაკუთრებდა. გვიანფეოდალურ საქართველოში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც გლეხს უმიწოდ ყიდდნენ, აშორებდნენ საკუთარ მეურნეობას. მწარმოებელთა ფენის, გლეხობის დარბევით, მიწიდან მოწყვეტით მებატონე თვითონ უთხრიდა ძირს თავისსავე ეკონომიურ კეთილდღეობას. აუტანელ პირობებში ჩაყენებული გლეხობა ტოვებდა საკუთარ მე-

---

[4] სამართალი ბატონიშვილ ვახტანგისა. შუხლი 202, 258; ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, კრებულმატია, ნაწ. II, გვ. 435, 448.

[5] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, თბილისი, 1948, გვ. 208.

[6] შდრ. შ. ჭ ა ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, სადაც ავტორი წერს: „საქართველოს ერთ კუთხეში, ან ერთ სათავადოში, ზოგჯერ კიდევ ერთი ბატონის მამულში ყმა-გლეხების მდგომარეობა არაერთგვაროვნად განსხვავდებოდა მეორე კუთხის, სათავადოს, ან ცალკე მებატონის იმავე კატეგორიის ყმა-გლეხების მდგომარეობისაგან, იმისდამიხედვით თუ სად, როგორი დამოკიდებულება იყო განმტკიცებული და დაკანონებული". საისტორიო მოამბე, 1949, № 4, თბილისი, გვ. X—XI.

ურნეობას და გარბოდა. გვიანფეოდალურ საქართველოში მრავალად იყო ბოგანო და ხიზანი, რაც იმდროინდელი ცხოვრების სიდუხჭირეს მოწმობს. აყრა საქართველოს ინტენსიურ მეურნეობასთან სრულიად შეუფერებელი იყო [7]. სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამოდიოდა ერეკლე II, როდესაც აყრილი ყმისათვის პასუხისმგებლობას მებატონეს აკისრებდა. აღავე მიზანს ემსახურებოდა ერეკლეს კანონი ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხის განთავისუფლების შესახებ.

გლეხის მოვალეობა იყო ბეგარა-გადასახადები ეხადა საკუთარი მებატონის, მეფის (ე. ი. ამავე დროს სახელმწიფოს), ეკლესიის, უცხო დამპყრობთა და სხვათა სასარგებლოდ. მეფის მამულში მცხოვრები გლეხობა გადასახადებს იხდიდა ისევე, როგორც სხვა მებატონის გლეხი; მასაც, ისევე როგორც ფეოდალთა ყმებს, ეკისრებოდა გარკვეული სახელმწიფო გადასახადები და სამხედრო მოვალეობანი. გადასახადებს გლეხები ძირითადად ნატურის სახით იხდიდნენ, მაგრამ აქვე ვხვდებით ფულად გადასახადებსაც (თეთრს.). გლეხსვე ეკისრა შრომითი ბეგარა. ბატონყმური მეურნეობა ძირითადად ნატურალური მეურნეობაა. XVIII საუკუნეში საქართველოში მეურნეობის გაბატონებული ფორმა იყო ნატურალური მეურნეობა, მაგრამ მის გვერდით არსებობდა სასაქონლო მეურნეობაც. საქართველოში ძველი დროიდანვე ვხვდებით სავახშო და სავაჭრო კაპიტალს. მე-18 საუკუნეში ვაჭრობის განვითარებისათვის არ იყო სათანადო პირობები. საშინაო ვაჭრობის საგანი ამ დროისათვის ძირითადად ნედლეული იყო (პური, ღვინო, ენდრო, აბრეშუმი...). საქართველო საგარეო ვაჭრობას აწარმოებდა მეზობელ ქვეყნებთან: ბრანთან, თურქეთთან, კავკასიის ხალხებთან, შორეულ ინდოეთთან. უცხო ქვეყნებშიც უმთავრესად ნედლეული გაჰქონდათ. წარმოება ძირითადად დაკავშირებული იყო მიწათმოქმედებასთან. მე-18 საუკუნეში სავახშო და სავაჭრო კაპიტალი სამრეწველო კაპიტალის აღმოცენებისათვის პირობებს ვერ ქმნიდა. საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის მომხმარებელი უმთავრესად ფეოდალური არისტოკრატია იყო (შემოჰქონდათ უმთავრესად ფუფუნების საგნები). საგარეო ვაჭრობა ხალხის ფართო მასებს არ ემსახურებოდა.

ვაჭრობის მნიშვნელობა კარგად ესმოდა ერეკლე მეორეს. იგი ცდილობდა გზები დაეცვა ლეკთა თარეშისაგან, ბაჟები მოეწესრი-

---

7. საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1946, გვ. 386.

გებინა, დაეცვა ვაჭრები თავადთა ძალადობისაგან[8]. სახელმწიფო უშუალოდ აწარმოებდა ვაჭრობას ზოგიერთი პირველი საჭიროების საგნებით[9]. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დარიალის სავაჭრო გზის კვლავ გახსნას, რადგანაც საქართველო ამ გზით რუსეთს უკავშირდებოდა ეკონომიურად. სახელმწიფო მფარველობას უწევდა დიდვაჭრებს, ცდილობდა, რომ ისინი უცხო ქვეყნებში საცხოვრებლად არ დარჩენილიყვნენ[10].

მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების ღონისძიებებისა, ვაჭრობის განვითარებას ხელს უშლიდა ქვეყნის შიგნით არსებული საბაჟო სისტემა. ფეოდალის მამულზე გავლისას ვაჭარი დაცული არ იყო ფეოდალის თვითნებობისაგან. ბაჟების თვითნებური დაწესება, ძალადობა და ძარცვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, და ცენტრალური ხელისუფლება ხშირად ვერ ახერხებდა ფეოდალთა ალაგმვას. ეს ხელისუფლება სუსტი იყო და არ შეეძლო ფეოდალთა ძალადობისაგან დაეცვა ვაჭრები. ერეკლე ცდილობდა მოეწესრიგებინა საშინაო ბაჟები, მაგრამ არ აუქმებდა მათ. მას არც შეეძლო ეს გაეკეთებინა, რადგანაც ბაჟები ცენტრალური ხელისუფლებისათვის სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო და ხშირად იჯარით გაიცემოდა[11]. ვაჭრობას აფერხებდა გარეშე მტრების შემოსევები.

ამ დროს მრეწველობა უმთავრესად ხელოსნობით იყო წარმოდგენილი. ქართლ-კახეთის სამეფოს ხელოსნური წარმოების ცენტრი იყო თბილისი[12]. ხელოსნური ნაწარმი უხვად გამოჰქონდათ ხელოსნებს თბილისის ბაზარზე. „Мастеровых всяких довольно и всякое мастерство имеет особый ряд“..., წერს კაპიტანი იაზიკოვი თბილისის ბაზრის შესახებ[13]. ხელოსნურ ნაწარმთა ნაირსა-

---

[8] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1946, გვ. 399.

[9] საქართველოს სიძველენი, ტ. III, № 88, თაყაიშვილის რედ., თბილისი, 1910, გვ. 67.

[10] ხ. ჭიჭინაძე, საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად და გრიგოლ ხურსიძე და სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი ინდოეთში, თბილისი, 1905, ხ. ჭიჭინაძის გამოცემა. გვ. 15.

[11] Акты Кавказской Археографической Комиссии, I. № 160, стр. 197.

[12] გვრიტიშვილი, შესხია, თბილისის ისტორიისათვის, თბილისი, 1952, გვ. 167.

[13] Записка капитана Языкова о Грузии. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, I, СПБ. 1891, стр. 185.

ხეობაზე მიგვითითებს იოანე ბატონიშვილი „ქალძასობაში“ [14]. თბილისელ ხელოსანთა ნაწარმი საქართველოს გარდა ქავკასიის მეზობელ ქვეყნებსაც უწევდა მომსახურებას [15]. ხელოსნები, თბილისს გარდა, საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყვნენ. ამ ეპოქაში, საქართველოში ფეოდალური ხანის ნესაფერისად განვითარებულ ხელოსნურ წარმოებასთან გვაქვს საქმე. ხელოსნურ წარმოებასთან ერთად ერეკლე მეორის დროს აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა საფაბრიკო-საქარხნო წარმოების დანერგვის ცდებსაც. ეს წარმოწყებები მეფის შემოსავალს ზრდიდა და ამდენად ცენტრალური ხელისუფლების ძლიერებას უწყობდა ხელს. ეს შემოსავალი, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, სახელმწიფო საჭიროებებს ხმარდებოდა [16]. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებებში კაპიტალის დაბანდებით დაინტერესებული არ ჩანს იმ დროს არც რომელიმე დიდგვარიანი ფეოდალი, არც მსხვილი ეაჭარი ან მევახშე. ფეოდალები არა თუ მონაწილეობას არ იღებდნენ ამ ახალ წარმოწყებებში, არამედ თავიანთი მეურნეობის მოწესრიგებასაც არ ეწეოდნენ როგორც საჭიროა. დიდი ფეოდალები თავიანთ მამულებს პრიმიტიული ტექნიკური იარაღებით ამუშავებდნენ. არ წარმოებდა მათი მეურნეობის გეგმიანი, ორგანიზებული დამუშავება. შემოსავლის გაზრდის წყარო იყო ახალ-ახალი მიწების შემომტკიცება და არა მათი დამუშავების გაუმჯობესება. ფეოდალთა შორის ამ მხრივ ყველაზე მეტი შემოსავალი ჰქონდა მეფეს, რომელიც პირველი ფეოდალი იყო სხვა ფეოდალებს შორის. მეფე ძლიერია თითოეულ ფეოდალზე, მაგრამ საერთოდ

---

[14] ქალძასობა, I, თბილისი, 1936, გვ. 193—195.

[15] Бурнашев, Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, Тифлис, 1786.

[16] ერეკლე მეორეს სამთამადნო წამოწყებებიდან 1500 კილო წმინდა ვერცხლი და დიდი რაოდენობით სპილენძი შემოსდიოდა.

იხ. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1946, გვ. 399.

როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ბურჟუაზიის („ევროპის“) გამარჯვების ამ საუკუნეში ერეკლე II საქართველოს ტიპიური მეფე აღარ იყო. ამის საბუთია მისი დაუცხრომელი ზრუნვა იმისათვის, რომ თავისი ქვეყანა „ევროპიულად“ მოეწყო. ღონისძიებანი სამხედრო თუ წესამოქალაქო ასპარეზზე, რეფორმები სახელმწიფო თუ კერძო სამართლის საქმეში, ახალი წამოწყებანი ეკონომიკისა თუ კულტურის დარგში,—თანხმობით მოწმობდნენ, რომ მზადდებოდა პირობები ახალი საქართველოს წარმოქმნისათვის, რომ თავადურ-ბატონყმური სისტემა პომეშჩიკურ-ბატონყმური სისტემით უნდა შეცვლილიყო, რომ ქვეყანა ბურჟუაზიულ განვითარების გზაზე უნდა დამდგარიყო“. მნათობი, № 6, თბილისი, 1954, გვ. 137.

ფეოდალთა ალაგმვას ხშირად ვერ ახერხებს და იძულებულია ანგარიში გაუწიოს მათს ნება-სურვილს. ფეოდალური ზედაფენის ერთი ნაწილი აქტიურად ერევა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ერეკლე მეორის ყოველგვარი წამოწყება, რომელიც მიმართული იყო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისაკენ, აწყდებოდა რეაქციონერ ფეოდალთა მძაფრ წინააღმდეგობას.

შინაგანი წინააღმდეგობის გარდა საქართველოს კეთილდღეობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა გარეშე მტრების შემოსევები. სპარსელებს და თურქ დამპყრობლებს ამ საუკუნეებში დაემატნენ ლეკები, რომლებიც მეურნეობის წარმოების საშუალებას უსპობდნენ ქართველ გლეხს. წვრილ-წვრილ გუნდებად თავს ესხმოდნენ სოფლებს, იკლებდნენ და ატბევდნენ გლეხთა კარმიდამოს. ყანაში გასულ მშრომელებს იტაცებდნენ და უცხოეთში ყიდდნენ. ერთმანეთთან ბრძოლის დროს ლეკებს ეპატიჟებოდნენ ფეოდალები. ირანი და ოსმალეთი ხშირად იყენებდნენ ლეკების ძალას ქართველთა დასასჯელად. მოსახლეობა ციხე-გალავნებში იყო შეხიზნული. ყოველივე ამის გამო კულტურული მეურნეობა დაეცა. მტრის გამუდმებული თარეშების ძალიგად მოსახლეობა ზოგ ადგილებში ან გაწყდა, ან სხვა ქვეყნებს შეეხიზნა. ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული, და ზოგი გავიდა კახეთს და ზოგნი ავიდნენ ზემო-ქართლში და საერისთაოებში. აღარ დარჩა შენობა იმ მხარეს“ [17]. დარეჯან დედოფალი (ერეკლე II-ის მეუღლე) თავისი შემოსავლის აღწერისას ჩამოთვლის რიგ სოფლებს, რომელთაგან მრავალი დანგრეული ყოფილა და მოსახლეობა გაქცეულა [18]. დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს ალა-მაჰმად ხანის შემოსევამ. საშინაო და საგარეო პირობების გამო XVIII საუკუნეში ქართული ფეოდალური პროგრესული ძალების ყოველგვარი ცდები, მიმართული სახელმწიფო წყობილების გასაუმჯობესებლად მარცხს განიცდიდა [19]. ეკონომიური სიდუხჭირიკა და თა

---

[17] „საქართველოს ცხოვრება“, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1913, გვ. 238.

[18] საქართველოს სიძველენი, III, № 311, თაყაიშვილის რედ., თბილისი, 1910, გვ. 295.

[19] ნ. ბერძენიშვილი, ნაშრომში „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის“ აღნიშნავს: ქვეყანაში თავადურ-ბატონყმური სისტემა სუფევდა („ჩიხი“). ასეთ ვითარებაში პროგრესისათვის მებრძოლ ძალებს ქვეყნის შიგნით ძლიერი სოციალური დასაყრდენი არ შეიძლებოდა შექმნოდა. ამავე დროს თავადურ რეაქციას ოსმალეთ-ირანის აგრესორთა სახით ერთ-

ვადურ-ბატონყმური სისტემის შედეგად მეფეს საშუალება არ ჰქონდა რეგულარული ჯარი ჰყოლოდა. ასეთი ჯარი საჭირო იყო ფეოდალების ასალაგმავად და ლეკების წვრილი თარეშებისაგან თავის დასაცავად. ამ მიზეზების გამო დაიშალა ერეკლე მეორის მიერ შექმნილი „მორიგე ჯარი“ [20]. ერეკლე იძულებული გახდა ლეკებისათვის მიემართა. მათგან ჯარი დაიქირავა და ჯამაგირი დაუნიშნა. ამ ჯარის ჯამაგირისათვის საჭირო გადასახადი „სალეკო“ მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა. გიორგი მეთორმეტესაც ყავდა ლეკთა რაზმები დაქირავებული. გიორგი XII-ის ძმებს არაერთხელ უცდიათ გადაებირებინათ გიორგისთან მყოფი ლეკთა მეთაური[21]. ისინი ქირაობდნენ აგრეთვე ახალ რაზმებს. პლატონ იოსელიანი მოგვითხრობს, რომ გიორგის განრისხებით შეპინებული ფარნაოზ ბატონიშვილი „სამ თვეს ტრიალებდა სურამისა გარშემო და აქა შეიგროვებდა ჯარსა და ლეკთაცა მოიწოდებდა ახალციხესა მხარეთაგან--ო [22].

ბრძოლა მეფესა და მეფის ძმებს შორის საქართველოში ფეოდალური ბრძოლის ერთ-ერთი სახეა. ფეოდალთა გამარჯვება, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების მარცხი იყო ის ფაქტი, რომ გიორგი XII იძულებული გახდა დაემტკიცებინა ტახტის მემკვიდრეობის 1791 წლის წესი. ეს წესი გულისხმობდა იმას, რომ სამეფო ტახტი მემკვიდრეობით გადადიოდა გვარში უფროსზე და არა მამიდან შვილზე, ამ წესის უკანონობა ერეკლემ თვითვე დაუდასტურა გიორგის. მეორე კანონი, რომელიც ამავე გარემოებას ადასტურებს. ერეკლე II მიერ იქნა გამოცემული 1792 წელს. ამ კანონით თითოეულ უფლისწულს ერეკლემ 1003 კომლი ყმა მისცა, ხოლო ტახტის მემკვიდრე გიორგის 4000 კომლი. ამ რიგად დანაწილდა

გული მოკავშირე ჰყავდა. ასე რომ ბრძოლა პროგრესისათვის, ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ბრძოლა თავადურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ, ბრძოლა ტყვის სყიდვა-ლეკიანობის წინააღმდეგ—უშუალოდ უკავშირდებოდა ერან-ოსმალეთის ბატონობისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლას და უერთმანეთოდ არც წარმოიდგინებოდა. საქართველოში ერან-ოსმალეთის მძლავრობა და თავადურ-ბატონყმური სისტემა ერთმიეორეს ავსებდა და ერთიმეორეს გულისსცემდა. „ნნათობი“, 1954, № 6, გვ. 137.

[20] „მორიგე ჯარის“ გაუქმება იყო თავადების გამარჯვება და ერეკლე მეფის პოლიტიკის უდიდესი მარცხი, საქართველოს ისტორია. I, გვ. 398.

[21] პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედ., თბილისი, 1936, გვ. 58.

[22] იქვე.

და დაეუცმაცდა სამეფო ქონება. უფლისწულები თავიანთ მამულებში თავს ხელმწიფეებად გრძნობდნენ. „ესენი იქცნენ ამიერიდან თავადური რეაქციის ბურჯებად“ [23]. პლატონ იოსელიანს უნახავს სურამში ფარნაოზ ბატონიშვილის მიერ გაცემული სიგელი, სადაც ფარნაოზი თავის თავს მეფეს უწოდებდა [24]. მეფობისაკენ მიისწრაფოდნენ გიორგის სხვა ძმებიც.

ბატონიშვილების ბრძოლა იმდენად მწვავე ხასიათს იღებდა, რომ თავიანთი თანამოძმეების წინააღმდეგ უცხო ძალის დახმარებასაც კი არ თაკილობდნენ. მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც 1799 წლის აპრილში პავლე პირველმა გიორგი მეთორმეტეს მეფედ დამტკიცების სიგელი და სათანადო ნიშნები გამოუგზავნა, ხოლო მისი ვაჟი დავითი კი ტახტის მემკვიდრედ გამოცხადდა. ბატონიშვილები თავთავის მამულებში ჩაიკეტნენ და მეფეს აღარ ცნობდნენ. დარეჯან დედოფალი ყოველნაირად ცდილობდა მომხრე დასის სამუალებით ხელი შეეშალა დავითის გამეფებისათვის. მოღალატე თავადები ერეკლისა და ოსმალეთის აქტიური მხარდაჭერით ქვეყნის კეთილდღეობას ძირს უთხრიდნენ. შინაური არეულობას, როგორც აღვნიშნეთ, ლეკთა, ფაშებისა და ხანების თარეშიც ზედ ერთვოდა „პროგრესისათვის მებრძოლმა დასმა დაინახა, რომ რეაქციასთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის საქართველოს არ ეყო შინაგანი რესურსები, ხოლო 1783 წლის აქტით გათვალისწინებული კავშირი (რუსეთთან) საკმაო არ აღმოჩნდა პროგრესის ძალთა ამ სისუსტის საკომპენსაციოდ...“ [25]

შინაური არეულობით შეშინებული გიორგი მეთორმეტე რუსეთის იმპერატორს ტრაქტატის შეცვლას სთხოვდა. გიორგი რუსეთის მთავრობას უფლებას აძლევდა ქართლ-კახეთის შინაურ საქმეებში ჩარეულიყო, მხოლოდ მის ჩამოშველობას მეფობა უნდა შეენარჩუნებინა.

1799 წელს გენერალ ლაზარევის სარდლობით რუსთა ჯარი საქართველოში შემოვიდა. ლაშქართან ერთად გამოგზავნილ იქნა რუსეთის მთავრობის მინისტრი საქართველოს მეფის კარზე—კოვალენსკი. კოვალენსკის იმპერატორისაგან დავალებული ჰქონდა თვალყური ედევნებინა როგორც მეფის, ისე სხვა დიდებულებისა-

---

[23] საქართველოს ისტორია, I, გვ. 410.

[24] პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 58.

[25] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954, № 6, თბილისი, გვ. 139.

თვის და აქტიურად ჩარეულიყო ქვეყნის მართვა-გამგეობაში. კოვალენსკი უნდა გამხდარიყო მეფის მრჩეველი [26].

კოვალენსკი ჩამოსელისთანავე აქტიურად ერევა ქვეყნის შინაურ საქმეებში. მალე, როდესაც გიორგი მეთორმეტე გარდაიცვალა, ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმებულ იქნა და „1801 წელი გარდაუვალი გახდა (იგულისხმება რუსეთთან საქართველოს შეერთება, ლ. გ.) საქართველოს პროგრესის საქმე ამიერიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარმართულიყო“ [27].

---

[26] Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч. II, стр. 449.

[27] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954, № 6, თბილისი, გვ. 139.

თავი მეორე

სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები და საგადასახადო სისტემა აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის დამდეგისათვის. ბეგარა-გადასახადვალდებული ფენები

რუსეთთან შეერთების შემდეგ, პირველ წლებში, საქართველოს სოციალურ წყობაში არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა. საქართველო დარჩა ისეთივე ფეოდალურ-ბატონყმურ ქვეყნად, როგორსაც ის მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში წარმოადგენდა. ქვეყნის მწარმოებელი ფენის ეკონომიური მდგომარეობა კი რამდენადმე გაუარესდა. ახლადდამკვიდრებული სამმართველო აპარატი მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს მწარმოებელ ფენას. ამავე დროს საგარეო საფრთხე ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო თავიდან აცილებული (ბრძოლები ირანთან და თურქეთთან). ლეკთა თარეში მაინც გრძელდებოდა. არც ქვეყნის შიგნით იყო მყუდროება. საქართველოში შემოყვანილი რუსთა რეგულარული ჯარის გამოკვება ქვეყანას უჭირდა[1].

საგარეო საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ქვეყნის უფრო მეტად შემოსამტკიცებლად მეფის რუსეთის მთავრობა უპირველეს ყოვლისა საჭიროდ ცნობდა საქართველოში ჯარის მეტი რაოდენობით შემოყვანას, ადგილობრივი ეკონომიური პირობების გარკვევას და ახალი მმართველობის შემოღებას. რუსი მოხელეები პირველი დღეებიდანვე შეუდგნენ ქვეყნის ეკონომიური პირობების შესწავლას, მოსახლეობის რაოდენობისა და მათი გადახდისუნარიანობის გამორკვევას, სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის აღრიცხვას[2].

---

[1] Дубровин, Георгий XII—последний царь Грузии и присоединение ее к России, СПб, 1867, зз. 214.

[2] Обозрение российских владений за Кавказом, ч. I, СПб, 1836, зз. 9.

1802 წლის 12 აპრილს შეიქმნა საქართველოს უზენაესი მთავრობა, რომელიც შედგებოდა აღმასრულებელი, სამოქალაქო საქმეთა, სისხლის სამართლისა და სახაზინო საქმეთა ექსპედიციებისაგან. სწორედ სახაზინო საქმეთა ექსპედიციას უნდა ეწარმოებინა აღრიცხვა ახლადშემოერთებული ქვეყნის შემოსავალ-გასავლისა[3]. სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის უფრო მეტად გარკვევის მიზნით, მთავარსარდალმა კნორინგმა მდივან-ბეგებად და მრჩევლებად ერთი წლის ვადით დანიანნა ის პირები, რომლებიც საქართველოს მეფის კარზე იყვნენ მოხელეებად (კერძოდ, ყოფილი მდივანბეგები: ევსტათე ციციშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი, ივანე ჩოლოყაშვილი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, დავით ანდაშიძე, ზაალ ბარათაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, ომან ხერხეულიძე)[4]. მათ დავალებული ჰქონდათ ანგარიში ეწარმოებინათ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლისა[5]. ქართველი მოხელეებისაგან, ადგილობრივ მცხოვრებთაგან, აგრეთვე საკუთარ დაკვირვებათა საფუძველზე ცდილობდნენ რუსი მოხელეები, მთავარმმართებლები კნორინგი, ციციანოვი და სხვანი გაერკვიათ და დაედგინათ სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო — ბეგარა-გადასახადები. მათი დაკვირვებები ხშირად ზერელე და სუბიექტური იყო; ისინი უმთავრესად დაინტერესებული იყვნენ სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის გაზრდით.

ხაზინის სასარგებლოდ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში შემდეგი გადასახადები იკრიფებოდა: სურსათი, კოდის-პური. ნახტა ფულადი, მახტა პურეულით, მალი, ღალა, საბალახე, ყალანი, ჟელუხი, საკომლო, საალდგომო, საშობაო, სამასპინძლო, გასაწყრელო, საქვრივე, საჩექმე, შევარდენი, ნაბადი და სხვ. ამ გადასახადების სახე, მოცულობა და წარმოშობა, რასაკვირველია, სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ ერთი რამ კი მათ საერთო ჰქონდათ: ყველა გადასახადი ადგილობრივი, ქართული იყო თავისი შინაარსით და თავის დროზე ბეგუებულიც იყო ადგილობრივ ქართულ ფეოდალურ ეკონომიკასთან. ისინი რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ბევრად ადრე არსებობდნენ საქართველოში. რუსული მმართველობის შემოღებისთანავე არ ხდება ამ გადასახადების შეცვლა. შემდეგში ხდება ზოგიერთი ამ გადასახადის დანიშნულებისა და

---

[3] შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, „ენიმკის მოამბე", VIII, 1940. გვ. 29.

[4] Иваненко, Гражданское управление Закавказьем от присоединения Грузии до наместничества князя Михаила Николаевича, Тифлис 1901, გვ. 34.

[5] ც. ს. ს. ა, ფ. 16, საქ. № 31, 32, 33.

სახის შეცვლა სახელმწიფო მოთხოვნილებების შეცვლასთან დაკავშირებით. იცვლება სამუშაო ბეგარა.

აღსანიშნავია, რომ ხაზინის სასარგებლოდ იკრიფებოდა არა მარტო წმინდა სახელმწიფო გადასახადები, როგორიც იყო სურსათი, კოდის-პური... არამედ, პირადად მეფის, როგორც ფეოდალის, გადასახადებიც (სამსახინძლო, საშობაო, საალდგომო.). მეფე-ფეოდალის მიმართ გადასახადად ქცეული ზოგიერთი მოვალეობა ხაზინის სასარგებლოდ უნდა გადაეხადათ მეფის ყმებს, როგორც სახელმწიფო გადასახადი. მეფისა და მეფის ოჯახის წევრთა მამულები, მათი რუსეთში გადასახლების შემდეგ. სახელმწიფო საკუთრებად იქნა გამოცხადებული. ამ მამულების მთელი ხემოსავალი ხაზინას გადაეცა. რასაკვირველია, ის ბეგარა-გადასახადებიც, რომლებიც ბატონიმვილთა თუ დედოფალთა სასარგებლოდ იკრიფებოდა, მათი გადასახლების შემდეგ ხაზინის სასარგებლოდ უნდა აკრეფილიყო.

ზემოჩამოთვლილ გადასახადებს გარდა, მე-18 საუკუნის დასასრულისათვის, გარკვეულ შემთხვევაში, არა მუდმივად იკრიფებოდა „სარუსო“ და „სალეკო“ გადასახადები. მე-18 საუკუნეში ცნობილი იყო მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადასახადი—„სათათრო საური“. ეს გადასახადები მე-19 საუკუნის დოკუმენტებში არ გვხვდება, ამიტომ მათ არ ვეხებით.

მე-19 საუკუნის დამდეგისათვის ერთ-ერთი სახელმწიფო გადასახადი, რომელსაც რუსულ საბუთებში ვხვდებით, არის სურსათი. ამ გადასახადის განმარტებას იძლევა ხაზინო ბალატის თავმჯდომარე ბეზაკი თავის პროექტში: „Краткое обозрение ныне существующей системы доходов в Грузино-Имеретинской губернии“. ბეზაკის ცნობით, ქართველი მეფეების მიერ ჯარის გამოსაკვებად იკრიფებოდა სურსათი: „Сурсат или подать с каждого дыма всех ведомств крестьян в Грузии, также за исключением дистанции; подать эта назначалась на содержание войск и ежегодно была взыскиваема наряжаемыми от царя доверенными лицами“ [6].

მართლაც, როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, სურსათის გადასახადი რუსული მმართველობის დამყარებამდეც არსებობდა საქართველოში. მე-18 საუკუნეში იგი ერთ-ერთი ძირითადი სახელმწიფო გადასახადია.

---

[6] ც. ს. ს. ა, ფ. 241, № 591, ფურც 14.

სურსათი, შედარებით სხვა გადასახადებთან (კოდის-პური, ყალანი და სხვ.), უფრო გვიან უნდა იყოს შემოსული. საფიქრებელია, რომ იგი ყიზილბაშთა ბატონობის დროიდან ჩნდება ჩვენში (1735—1744 წწ.). „დასტურლამალი“ ამ გადასახადს არ იცნობს. მე-19 საუკუნის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით: „ჰჯულთა შინა მეფისა ვახტანგისათა ესე ვითარცა გამორთმევათათვის თავდახსნილთა ყმათაგან სურსათისა არა რაიმე თქმულ არს, ვინათგან ჟამსა მეფისა ვახტანგისასა დებულება გამორთმევასა ზედა სურსათისასა საქართველოს შინა არა იყო, ხოლო შემოღებულ იქმნა იგი მეფობაზე მეფის ირაკლისასა“ [7]. ეს ცნობა სწორი არ უნდა იყოს. სურსათის გადასახადი ერეკლეს მიერ არ არის შემოღებული. იგი წყაროებში უფრო ადრე იხსენიება. პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „ამ ჟამად შაჰ-ნადირი თურქისტანზედ გასულს კახეთს ალავერდს მიბრძანდა: ამ ჟამად შაჰ-ნადირ თურქისტანზედ წაბრძანდა, ბალხიბუხარი, ორგანგი, სამარყანდი და მთლად თურქისტანი დაიპყრა და იქ რაოდენიმე ხანი დაჰყო, მუნით წარმოსრული დაღისტანმი მოვიდა ძლიერის ჯარითა და შეამჭირვნა ლეკნი ძლიერითა ბრძოლითა და ეგრეთვე ქართველნი სურსათის თხოვნითა“ [8]. მაშასადამე, ნადირ-შაჰი ქართველთაგან „სურსათს“ ითხოვდა. ნადირ-შაჰის ეს ლაშქრობა 1741—1742 წლებში მოხდა. ზემოგანხილული წყაროს მიხედვით სურსათი „აუცილებელ სათხოვრად“, ანუ გადასახადად იხსენიება. საფიქრებელია, იგი ამ წლების ახლო ხანაში ყოფილიყოს შემოღებული. იესე ბარათაშვილს თავის ცხოვრება-ანდერძში აღნიშნული აქვს, „... მერე შანშაზედ ჯარი იყო, სურსათი ითხოვესო“ [9]. ამ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ქართლში 1740 წელს, იმამ-ყული-ხანის მმართველობის დროს. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „სურსათი“ ყიზილბაშური გადასახადია. ყიზილბაშთა ბატონობის დროს საქართველოს მოსახლეობას ევალებოდა ქართლში მყოფ ყიზილბაშთა ჯარისათვის ეძლია „სურსათი“ [10].

---

[7] საქართველოს არქივი, II, თბილისი, 1927, გვ. 12—13.

[8] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, საქართველოს ცხოვრება, ხ. ჭიჭინაძის გამოც., თბილისი, 1913, გვ. 245.

[9] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. თბილისი, 1950, გვ. 5.

[10] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1944, გვ. 200.

გასათვალისწინებელია, რომ სურსათი წარმოშობით არაბული სიტყვაა, ნიშნავს ხარკს, ომიანობის დროის გადასახადს. იგი ყიზილბაშებმა შემოიღეს საქართველოში. ზემოთქმულის გათვალისწინებით ნათელი გახდება სურსათის თავდაპირველი სახე და დანიშნულება საქართველოში. სურსათის გადასახადს შემდგომ რომ დავაკვირდეთ, იგი მარტო ყიზილბაშთა დროის გადასახადად როდი გვევლინება. „სურსათი" ქართული ჯარის გამოსაკვებად იკრიბება მე-18 საუკუნის 40-იან წლებიდან. 1788 წლის ერთ-ერთ საბუთში (ვახტანგ ბატონიშვილის წერილი მიშკარბაშ იოსებთან) ვკითხულობთ: „უსურსათოდ არის ჯარი და თვალი სურსათისაკენ უჭირამთ. რასაც გაირჯები და დროიან გამოგზავნი, ისა სჯობს"[11]. ამ საბუთიდან ჩანს, რომ ქართველი ჯარიც „სურსათით" იკვებება, ხოლო ამ სურსათს სახელმწიფო მოხელე გზავნის. სურსათის აკრეფა მელიქებს ევალებოდათ. პაპუნა ორბელიანი წერს: „რა ჩავედით ხეივანს, იქ შემოეყარა აჯიჩალაბის შვილი ცხენოსანი ჯარით და მოვიდა თეიმურაზ მელიქი სიღნაღისა და ოქვარტერი განძასარისა, მოართვეს ფეშქაშები ბატონებს და დაიდვეს სამსახური და მოიტანეს ჯარისათვის სურსათი, რომელ არს ულუფა"[12]. მაშასადამე, სურსათი არის „ულუფა", საზრდო ჯარისათვის და მისი მოკრეფა მელიქებს ევალებათ. სურსათის „ულუფაში" შედიოდა: პური, ღვინო, საკლავი[13]. ერეკლე მეორეს, მორიგე ჯარის შემოღების შემდეგ, ქართლ-კახეთის გლეხობა „სურსათის" გადასახადისაგან გაუთავისუფლებია[14]. რადგანაც მორიგედ წასულს თავისი საგზალი და საზრდო თან მიჰქონდა.

„სურსათი" ანუ „პროვიანტი" იკრიფებოდა როგორც ქართული, ისე რუსთა ჯარისთვისაც. მელიქ დარჩიას 1796 წლის მოხსენებაში ირაკლი II-სადმი ნათქვამია: „ბედნიერი ოქმი გვეგზავა, რომელიც სამი აზრი გებრძანებინათ: ერთი, რუსების ბარგის ჩამოსატანი ურმების გარიგება, მეორე შეშის გარიგება და მესამე პროვიანტის გარიგება. ჩვენს ხელმწიფეს ასე მოხსენდეს: რომელიც რუსების ბარგი იყო, სრულებით ჩამოვიდა. სამოცდა-ათი ურემის შეშის გარიგების ბძანება იყო, თქვენმა შვილმა გიორგიმ შეაწერა, ზოგი მოსულა და ზოგიც მოდის. მომავლის ჯარისათვის უფა-

---

[11] საქართველოს სიძველენი, III, № 61, თაყაიშვილის რედ., თბილისი, 1910, გვ. 47.

[12] საქართველოს ცხოვრება, თბილისი, 1913, გ. ჯიჯინაძის გამოც, გვ. 169.

[13] Акты К. А. К., I, № 602, стр. 503.

[14] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1946, გვ. 397.

ლმა პოლკოვნიკმა თქვენს შეილს გიორგის ათას-ხუთასი კოდი პროვიანტი სთხოვა და ამის გარიგება თქვენს შეუტყობრად გაჭირდა"[15]. „ულუფა" და „პროვიანტი" შინაარსის მიხედვით ერთიდაიგივეა, ისევე როგორც ზემომოყვანილ საბუთში პაპუნა ორბელიანი „ულუფას" სურსათთან აიგივებს.

დავასკვნით: სურსათი სახელმწიფო გადასახადია, რომელიც მე-18 საუკუნიდან არის ცნობილი საქართველოში, სურსათს მეფის ანუ სახელმწიფოს ნოხელეები კრეფენ და იგი ჯარის გამოსაკვებად, ჯარის „ულუფად" არის განკუთვნილი. მას კრეფენ თავდაპირველად ყიზილბაშთა ლაშქრისათვის, რომელიც საქართველოს ციხეებშია ჩაყენებული, უფრო გვიან კი—ქართული მოქმედი ჯარისათვის. სურსათი ანუ „პროვიანტი" იკრიფება საქართველოში მყოფი რუსთა ჯარისთვისაც. სურსათის გადასახადი ედებოდათ როგორც სახელმწიფო, ისე საბატონო და საეკლესიო გლეხებს. მას იხდიდნენ ელის მცხოვრებნიც. იგი ერთ-ერთი საყოველთაო გადასახადია[16].

ზოგიერთი საბუთის მიხედვით, სურსათის გადასახადისაგან თავისუფალი იყო ბოლოდ ის, ვინც იხდიდა მალსა და მახტას[17].

სურსათის გადასახადს ძირითადად ხორბლეულით იხდიდნენ. გადასახადი კომლობრივად იკრიფებოდა, 2 კოდი ბური და ერთი კოდი ქერი კომლზე; მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სურსათში" ზოგჯერ სხვა სახის საკვებიც იგულისხმებოდა[18]. სურსათის გადასახადს ზოგი „თეთრით" იხდიდა (ელის მოსახლეობა)[19]. ამ გადასახადებისაგან თავისუფალი იყო საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა. საფიქრებელია, რომ, სადაც ხორბლეული წაბყვანი კულტურა არ არის, იქ მას ფულით იხდიდნენ, ან სულ არ იხდიდნენ (ელის მოსახლეობა პირველ შემთხვევაში, ხოლო მთიანეთისა—მეორე შემთხვევაში). სურსათის გადასახადი წელიწადში ერთხელ იკრიფებოდა, მაგრამ სახელდობრ წლის რა დროში, ამის დადგენას, საბუთების სიმცირის გამო, ვერ ვახერხებთ. საფიქრებელია, სურსათი მაშინ იკრიფებოდა, რა დროსაც კოდის-ბური და სხვა ბურეულზე დადებული გადასახადები (იხ. კოდის-ბური). უფრო

---

[15] საქართველოს სიძველენი, ტ. III, № 344. თაყაიშვილის რედ., თბილისი, 1910. გვ. 332.

[16] ც. ს. ს. ა. ფ. 254, № 184, 122. ფ. 16. № 33, 31. АКАК. II, № 4. გვ. 7.

[17] საქართველოს არქივი, II, თბილისი, 1916, გვ. 11.

[18] АКАК. I, № 602, стр. 503.

[19] АКАК, I, № 160, стр. 197.

გვიანდელი, მე-19 საუკუნის მასალებით, სურსათი მართლაც კოდის-პურთან ერთდროულად იკრიფება. ამრიგად, სურსათი სახელმწიფო თავდაცვისათვის, სახელმწიფო საჭიროებისათვის არის განკუთვნილი. მან დროთა განმავლობაში სახე იცვალა და საქართველოს სინამდვილეს შეეგუა. ეს ერთ-ერთი სახელმწიფო გადასახადია, რომლის ორგანიზაციასაც თვით სახელმწიფო ეწევა (მეფე და მისი მოხელეები). საქართველოს მოსახლეობისათვის სურსათი სამხედრო-ეკონომიური ვალდებულებაა სახელმწიფოს მიმართ.

მე-19 საუკუნის დამდეგისათვის იკრიფებოდა კოდის-პურის გადასახადი. კოდის-პური ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ძველი გადასახადია. იგი, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, პურით გადასახადი., სოლო კოდი საწყაოა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „კოდი ადგილითი ადგილ მეტ-ნაკლები იციან. არაშენ სწორი საწყავი ესე არს: ახლისა ლიტრითა ათი ლიტრა შთაიტეოს, რომელ არს ორასისა თუხტისა წონა-[20]. მაგალითად, კოდი საწყაოა, რომელშიც ათი ლიტრა ჩადის, ბგერამ კოდი ერთხელ და საშუალამოდ დადგენილი საწყაო არ ყოფილა, იგი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომისა იყო. კოდის-პურის გადასახადი პურით გადასახადი გამოდის, რომელიც კოდების ანუ გარკვეული საწყაოს მიხედვით იკრიფება. კოდის-პური რომ პურით გადასახადია, ამას მთელი რიგი საბუთები ამტკიცებს.

სახელმწიფო გადასახადს- კოდის-პურს თანაბრად იხდიდა როგორც სახაზინო, ისე საბატონო და საეკლესიო გლეხობა. კახეთის გადასახადების აღწერილობაში, რომელიც 1802 წელს არის შედგენილი, ჩამოთვლილია მთელი რიგი სახაზინო სოფლები, რომლებიც კოდის-პურის გადასახადს იხდიან[21]. წელიწადში კომლზე ოთხი კოდი პური ყოფილა დაწესებული. სადედოფლო „დასტურლამალში" აღნიშნულია: „ერთი საკომლოს ოთხი კოდი არის, ამბატომ რომ ქვრი რვა ლიტრი არის"[22].

1801 წლის დარეჯან დედოფლის მამულებისა და სოფლების ნუსხაში ვკითხულობთ: „ქ. კახეთში გავაზი და ჭიკაანი რომ ერთ სოფლად დგანან მტრის მიზეზით და ესენი არიან კომლი რნ, ამითი დებულება არის წელიწადში კომლზედ ოთხი კოდი პური რომ იქნება ექვსასი კოდი"[23].

---

[20] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 316.

[21] საქ. ცს. ს. ა, ფ. 16, № 31, № 33, გვ. 26.

[22] დასტურლამალი, უმიკაშვილის გამოცემა, თბილისი, 1856, გვ. 115.

[23] საქართველოს სიძველენი, № 311, თაყაიშვილის რედ., თბილისი, 1910, გვ. 295.

მაშასადამე, კოდის-პურის გადასახადი კომლობრივად იკრიფება საქართველოს მცხოვრებლებს შორის. კოდის-პურის გადამხდელნი აღწერილნი და დავთარში ყოფილან მეტანილნი. ეს გადასახადი ივლისიდან ნოემბრამდის უნდა აკრეფილიყო და დავთარში აღრიცხულიყო. კოდის-პურის გადასახადს სპეციალური მოხელეები, მეკოდისპურეები კრეფდნენ. „ვინცა-ვინ მეკოდის-პურენი ჰამასალად მქონებელნი, თუ ისრე ერთის წლის მჭირავი, რომელისაც მჭრისანი იყუნენ და ან დღეის წაღმა იქნებოდნენ, კოდის-პურის გამოსაგზავნათ რომ წავიდოდნენ, მკათათვეს, მარიამობისთვეს, ენკენისთვეს, ღვინობისთვეს, გიორგობისთვეს, ასეთი ბეჯითი მოსაქმენი იყუნენ, რომ სხუას საქმეს ნურას გამოეკიდებიან, ვისაც ჩვენი კოდის-პური ედუას და დაუთარი ხელთ ეჭიროს, იმ კაცთ იმ ხუთ თუეში თავეთი კოდის-პური მისის ქათმით გორს მიმტანთ, გორის ამბარდანთან ჩამოიტანოს, როგორც გაჩენილი არის იმ კოდით და იმ საწყაოთი. კოდის-პური ერთი საკვამლო ოთხი კოდი პური არის, ამიტომ რომ ქერი რვა ლიტრი ჩავა კოდშია, და პური ათი ლიტრა ჩავა“ [24].

მეკოდისპურეს თვალყური უნდა ედევნებინა გლეხისათვის, რათა მას ცუდი, გაფუჭებული პური არ ჩაებარებინა; აგრეთვე ევალებოდა ზემოაღნიშნულ ხუთ თვეში ანგარიში წარედგინა სათანადო მოხელეებისათვის. თუ ის ამას არ შეასრულებდა, მას სახელოს ჩამოართმევდნენ და ჯარიმად ორმოც მარჩილს გადაახდევინებდნენ. შეფერხების მიზეზი თუ გლეხი იყო, მაშინ მეკოდისპურე ვალდებული იყო ეს ამბავი მეფისათვის ან მისი კარის მოხელეებისათვის ეცნობებინა [25].

კოდის-პურის აკრეფაში, როგორც ჩანს, ხელი მიუწვედებოდათ სახლთუხუცესსა და მდივნებს. „დასტურლამალში“ ვკითხულობთ: „კოდის-პურის ათის-თავი რაც დადგების, სამი წილი მეკოდის-პურისა არის და მეოთხედი სახლთხუცისა და მდივნებისა არის ქათმით“ [26]. მდივნებს, საფიქრებელია, დავთარში შეჰქონდათ შემოსავალი, სახლთხუცესი კი ვალდებული ყოფილა მთელი ქვეყნისაგან შეკრეფილი შემოსავლის ანგარიში ეწარმოებინა. 1802 წელს შედგენილი საანგარიშო მოხსენებიდან ჩანს, რომ სახლთხუცესს აღწერილი ჰქონია არა მარტო შემოსავალი, არამედ გასავალიც; აღრიცხული ჰქონია, თუ ვის აპატია მეფემ გადასახადი, ვის უწყა-

---

[24] დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოც., თბილისი, 1886. გვ. 55.

[25] იქვე.

[26] იქვე.

ლობა პური კოდობით, რამდენი კოდი პური მოიკრიფა ხაზინისათვის და რა ერგებათ აქედან მოხელეებს[27]. რუსული წყაროები კოდის პურს ასე განმარტავენ: „Кодис-пури или неприменная подать в определенном с селения количестве, которой собственно в Грузии обложены были сверх сурсата только некоторые значительные казенные селения, по соображению без сомнения их достатка"[28]. ეს საბუთი სწორი არ არის, კოდის-პური კომლზე დაწესებული გადასახადია და არა საზოგადოდ სოფლებზე განაწილებული, მისი რაოდენობაც განსაზღვრულია. ამით განსხვავდება კოდის-პური პურით დაწესებული სხვა გადასახადებისაგან, კერძოდ პურად მახტისაგან. გარდა ამისა, კოდის-პურის გადასახადს, როგორც აღვნიშნეთ, სახაზინო და საბატონო გლეხებიც იხდიდნენ და არა მარტო სახაზინო გლეხები[29]. ვახტანგ VI მიერ შედგენილ „დასტურლამალში" ჩამოთვლილია: საამილახეროს კოდის-პურისათვის, საბარათაშვილოს კოდის-პურისათვის, საციციანოს კოდის-პურისათვის და სხვა. ხშირია შემთხვევა, როდესაც მეფე დამსახურების გამო რომელიმე თავადის ან აზნაურის ,ყმებს კოდის გადასახადისაგან ათავისუფლებს. 1725 წლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა ჩვენ მღვთივ წყალობა მინიჭებულმან, ძემან მეფეთამან, ბატონმან ბაქარ, ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათაეებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა ყმათა, წესისამებრ ნამსახურსა აზნაურიშვილს ცალქალამანიძეს გივის, პეტრეს, ერასტის, შვილთა და მომავალთა თქვენთა მას ჟამსა, ოდეს დიდსა და ამაღლებულს რუსეთის ხელმწიფეს დავებარებინეთ, ერთი ძმა თან გვიახელით, რომელიც შეგეძლოთ, მართებულად გვემსახურეთ, მოგვიდექით კარსა წყალობისა ჩვენისათა და თქვენი მრავალნამსახურობის სამუქფოდ თქვენსავ ყმების ნაბახტევს სითარხნეს დაგვეაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ მოხსენება თქვენი და თქვენი წილი ნაბახტევი ასე გითარხნეთ, რომ არაფერი საჩვენო გამოსაღები და სათხოვარი არა ეთხოვებოდეთ რა: არა საბალახო, არა პირისთავი, არა კოდის-პური, არა მუშა, არა ქეშიკი, არა საბზევე"[30]. მართალია, ამ დროისათვის ბაქარი უკვე რუსეთში იყო და ტახტზე იესე (ალი-ყული-ხანი) იჯდა, მაგრამ

---

[27] საქ. ცსსა, ფ. 16, საქ. № 33.

[28] საქ. ცსსა, ფ. 241, საქ. № 562, გვ. 16; Акты К. АК. У. № 327, стр. 265.

[29] სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. № 162.

[30] საქართველოს სიძველენი, ტ. III, № 178, გვ. 155.

ამ მხრივ საინტერესოა, თუ ვინ იხდის კოდის-პურს, აგრეთვე თვით გათარხნების წესი. მეფე აზაურის სამსახურის საფასურად მის გლეხებს სახელმწიფო გადასახადისაგან (სამეფო გადასახადისაგან) ათავისუფლებს. კოდის-პურისაგან „გათარხნება" ხშირად გვხვდება გვიან ფეოდალურ საქართველოს საბუთებში [31]. ამ სამეფო გადასახადის გადახდა თავადაზნაურთა ყმებს ევალებოდათ [32]. კოდის-პურის გადასახადს იხდიდნენ საეკლესიო ყმებიც. 1802 წლის მარტყოფის და ქიზიყის საანგარიშო მოხსენებაში ვკითხულობთ: „ქ. ვაქირის ნათლისმცემლის ეკლესიას მეფეთაგან განწესებული აქვთ თავისი ყმის კოდის-პური, ამათ სწერებიათ პური-კოდი ორმოცდაორი და ჩვეულებისამებრ ეკლესიას მირთმევია" [33]. ე. ი. თავისთავად ეკლესიას სწერებია ეს გადასახადი, მაგრამ მეფეს არა თუ გაუთარხნებია, არამედ, როგორც ამას ბევრჯერ ჰქონია ადგილი, ეკლესიის ყმებიდან აკრეფილი კოდის-პურის გადასახადი ეკლესიისათვისაც უწყალობებია. კოდის-პურის გადასახადს, როგორც ჩანს, ყველა სოფელი როდი იხდის. „დასტურლამალში" ვკითხულობთ: „ვისაც ჩვენი კოდის-პური ედუკს და დაუთარი ხელთ ეჭიროს, იმ კაცს იმ ხუთ თუეში თავეთი პური მისის ქათმით გორს მიმტანთ, გორის ამბარდანთან ჩამოიტანოსო" [34]. კოდის-პურს არ იხდიდნენ გათარხნებულნი, კოდის-პური არ ედოთ არც თუშ-ფშავ-ხევსურებს. კოდის-პური, როგორც პურით გადასახადი, საფიქრებელია, არ ეკისრებოდათ იმ კუთხეებში, სადაც ხორბლეული წამყვანი კულტურა არ იყო. 1801 წელს შედგენილ სადედოფლო მამულებისა და სოფლების ნუსხაში ვკითხულობთ: „ქ. კახეთში სოფელი ზემო-ხოდაშენი, ამაში სახლობს ჩემი ყმა კომლი კ, ამათ რადგან სახნავი მიწა არა აქვთ, პური არ აძესთ, ღვინის დებულება აძესთ მოსავლის მიხედვით" [35].

პურით გადასახადი გვიანფეოდალურ საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი გადასახადია (პურეულით სხვა სახის გადასახადებსაც იხდიდნენ). კოდის-პურის გადასახადი ერთგვარი ეკონომიური ვალდებულებაა სახელმწიფოს წინაშე. აკრეფილი კოდის-პური

---

[31] საქართველოს სიძველენი, ტ. III, 172, გვ. 149; 178, გვ. 155.

[32] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 28, თბილისი, 1950, გვ. 41.

[33] საქ. ცსსსა, ფ. 16, საქ. № 33.

[34] დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოც., თბილისი, 1886, გვ. 55.

[35] საქართველოს სიძველენი. III, № 311, გვ. 296.

სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა და მეფის სახლთხუცესის „საკითხავს“ წარმოადგენდა.

გვიანფეოდალურ საქართველოში ცნობილია გადასახადი მახტა. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანი მას არ იხსენიებს „სიტყვის კონაში.“ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების მიხედვით, მახტას იხდიდნენ ქალაქის მცხოვრებნი, აგრეთვე თათართა დისტანციები. მახტა შეადგენდა სამეფო ხაზინის მნიშვნელოვან შემოსავალს. გადასახადი იკრიფებოდა როგორც ბუღეულით, ისე ფულად [36].

ი. ბახტაძის აზრით: „Махта—денежная подать, собиралась с граждан мокалаков и с казенных крестьян, живших в городах и селениях. Уплачивало ее также и население татарских династаций и притом без раскладки по селениям, за исключением, впрочем, Борчалы, где раскладка эта существовала издавна. Кое где махтою были обложены и другие жители, преимущественно выходцы из мусулманских провинций, а также и те, которые не уплачивали других податей. Размер махты, как в городах, так и в селениях, был одинаков по 1 р. 4 3/4 к. с души. С помещичьих крестьян махта в пользу казны не взыскивалась вовсе“ [37].

მახტას ხშირად ვხვდებით გვიანფეოდალურ საქართველოს საბუთებში. „დასტურლამალიც“ ამ გადასახადს კარგად იცნობს [38].

---

[36] Акты К. А. К. I, № 160, стр. 197; № 419, стр. 323; № 171, стр. 207.

[37] И. Л. Бахтадзе, Податное обложение государственных крестьян Закавказского края, Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. I, часть III, Тифлис, 1887, стр. 6.

[38] ამიტომ არ არის სწორი პროფ. გ. გოზალიშვილის მოსაზრება მახტის შესახებ. თავის ნაშრომში: „ბელეთა მდგომარეობის ისტორიიდან მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში“ პროფ. გ. გოზალიშვილი წერს: „მახტი (მახტა, მაღთი, მახთი) გვიან უნდა იყოს შემოსული საქართველოში. მისი დაწესების თარიღის დაახლოებით გამოანგარიშებაც შეიძლება. დასტურლამალიც მას არ იცნობს. ცხადია, მისი შედგენის დროს ეს გადასახადი არ უნდა არსებულიყო. ერთი ცნობის მიხედვით, იგი თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის მეფობაში შემოღებულად ჩანს. ყაზახის მცხოვრებნი სთხოვენ გენერალ კნორიგს გათავისუფლებას მახტისაგან, რომელიც მას დაადეს თეიმურაზმა და ერეკლემ. რასაკვირველია, აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ხსენებული გადასახადი ამ მეფეთაგან იქნა საერთოდ შემოღებული, საკუთარი სწორი არ იქნებოდა. ეგებ იგი

მახტა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარტო ფულადი სახის გადასახადი არ იყო, იგი პურეულითაც იკრიფებოდა. დ. ფურცელაძის აზრით: „Крестьяне, мало занимавшиеся земледелием, по неимению земли, или по малоземельности, равно и те, которые вели кочевую жизнь, платили своему помещику в поземельную подать от 20 до 60 к. сер. в год. Подать эта называлась махтою и ею по преимуществу были обложены переселившиеся из Турции магометане“ [39]. მართლაც, მახტა თვით მე-19 საუკუნის დამდეგამდეც ქართულ სოფლებზე დადებულ გადასახადად არ ჩანს. მას უმთავრესად იხდიან მოქალაქეები, ქალაქში მცხოვრები სახელმწიფო გლეხები და მუსულმანი მოსახლეობა. წელიწადში ერთხელ, შემოდგომაზე, როდესაც ელის მოსახლეობა მთებიდან შინ ბრუნდებოდა, იგი ეალდებული იყო გადაეხადა საყოველთაო მახტა [40]. უდავოა, ეს გადასახადი გადამხდელთა მეურნეობასთან იყო დაკავშირებული და გადასახადის სახეც მეურნეობით განისაზღვრებოდა. მახტა, როგორც სახელმწიფო გადასახადი, ხაზინის სასარგებლოდ იკრიფებოდა.

ადრევე არსებობდა საქართველოში. ყაზახებზე კი ამ მეფეთა დროს გავრცელდა მაგრამ, რადგან ამაზე ადრე ეს გადასახადი არ იხსენიება, ამიტომ შესაძლებელი ხდება, ამ ცნობაზე დამყარებით მისი შემოღების თარიღის დაახლოებითი განსაზღვრა. სხვათა შორის ტფილისის მოქალაქეთა იმავე კნორინგისადმი მინართული თხოვნის შინაარსი იძლევა ისეთი დასკვნის გაკეთებისა შესაძლებლობას, რომ მახტა შედარებით ახალი გადასახადი უნდა იყოს. ეს ორი ცნობა თითქოს ერთიმეორეს ავსებს და, შეიძლება ითქვას, რომ მახტა მე-18 საუკუნეში თეიმურაზისა და ერეკლეს დროს უნდა იყოს შემოღებული“ (საქართველოს არქივი, II, თბილისი, 1927, გვ. 8—9).

ზემომოყვანილ მოსაზრებას მახტის შესახებ ჩვენ ვერ გავიზიარებთ. მახტა თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ არ არის შემოღებული. „აქტების“ ცნობები, რომლებსაც ემყარება პროფ. გ. გოზალიშვილი, სწორი არ უნდა იყოს. „დასტურლამალი“ ამ გადასახადს კარგად იცნობს. „აქტები“ უფრო მოგვიანო პერიოდისაა და ნაკლებ ზუსტი საბუთია, ვიდრე „დასტურლამალი“. „დასტურლამალის“ თავში „დაბნეულის ელისათვის“ ეკითხულობთ: „ოთარ მდივნის თაბუნმა, მეითრის თაბუნმა, ბეჟან შანშიაშვილის თაბუნმა, ამათ უნდა გამოიღონ კომლზედ მახტა ხუთი აბასი, ქოდავი ერთი შაური“... („დასტურლამალი“, გვ. 25). მახტა იხსენიება მეორე ადგილსაც იმავე „დასტურლამალში“ თავში „ელის დავთრის პირისათვის“ („დასტურლამალი“, გვ. 27). მაშასადამე „დასტურლამალი“ მახტას იცნობს როგორც ელის მოსახლეობაზე დადებულ გადასახადს. იგი იკრიფებოდა კომლზე ხუთი აბაზის რაოდენობით. მახტას იხდიდნენ დედოფლის ყმები, რომლებიც ქალაქში ცხოვრობდნენ (საქართველოს სიძველენი, III, № 311, გვ. 298).

[39] Пурцеладзе, О крепостном состоянии в Грузии, стр. 10. жур. „Кавказ“, № 84, 85, 86, 1864.

[40] Акты К. А. К. I, № 419 გვ. 329.

მალი არაბული სიტყვაა და გადასახადს ნიშნავს. მალს სულ-ხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „ხარკ@ მწუალებელთა“ [41].

აკად. ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ III წიგნში წერს: „სასოფლო მეურნეობაზე დადებულ საყაანო გადასახადს მალი ეწოდებოდა“ [42]. მაშასადამე, მალი მონღოლების მიერ შემოღებულ გადასახადად ჩანს, რომელიც თავდაპირველად გარკვეულ მეურნეობაზეა დაწესებული. უფრო გვიან ამ გადასახადის დანიშნულება იცვლება და, როგორც ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, „მიწაზე დაწესებული გადასახადის აღმნიშვნელი ტერმინის ადგილს XIII—XIV სს. იჭერს არაბული „მალი“, მაგრამ უკვე XV საუკუნეში მალი „კომლზე“ წესდება, უფრო გვიან კი „სულად“ გადასახადად არის ქცეული და მჭიდროდ დაკავშირებული ქართულ საგადასახადო სისტემასთან“ [43]. ამ გადასახადს „დასტურლამალშიც“ ხშირად ვხვდებით. „აღეკის ბატონის გამოსაღებისაში“ აღნიშნულია—„თავზედ სამი აბაზი მალი“ [44]; გამოდის, რომ მალი „თავზედ“ დადებული, ანუ სულადი გადასახადი ყოფილა. ქალაქის მალის გარიგების წიგნში ვკითხულობთ: „მალი პირველზედ ახალს მალის გამომღებს რომ დავთარში ჩააგდებენ, იმის ნახევარს მალს გამოართმევენ, რომ სამი აბაზი იქნების, და მთელი მალი თავზედ ექვსი აბასი არის“ [44]. მაშასადამე, ყოფილა მთელი მალი, რომელიც დასახლების, ე. ი. მეურნეობის მოკიდების შემდგომ უნდა ყოფილიყო გადახდილი. დასტურლამალშივე აღნიშნულია, რომ „მალი, თავზედ ახალ ნაქორწილევზედ სამი აბასი; ერთ წელიწადს უკან თავზედ მუდამ ექვსი აბასი ეთხოვებოდეს“ [44]. ჩანს, ოჯახის პატრონზე სრული მალი იკრიფებოდა, ხოლო ახალნაქორწილევზე კი ნახევარი. მაშასადამე, მალი ყოფილა სულადი გადასახადი ოჯახის თავზე (ოჯახში შრომისუნარიან მამაკაცებზე). ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს დასტურლამალის გვ. 11, სადაც ვკითხულობთ: „ერთი კაცი რომ დაბერებული იყოს და იმისი ორი და სამი შვილი მალს იძლევებოდეს, იმ ბერს კაცს დავთარში ნუ ჩააგდებენ, მალს

---

[41] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 346.

[42] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1941, გვ. 56.

[43] ვ. გაბაშვილი, სათათრო გამოსაღებელი გვიანფეოდალურ საქართველოში, მიმომხილველი, III, თბილისი, 1953, გვ. 165.

[44] დასტურლამალი, „ქალაქის მალის გარიგებისათვის“, პ. უმიკაშვილის კამოც., თბილისი, 1886, გვ. 7.

ნუღარ სთხოვენ“ [45]. შეიძლება შვილები მამასთან არ ცხოვრობენ ცალკე ოჯახი აქვთ და დამოუკიდებლად ეწევიან მეურნეობას, მაგრამ მაინც „როდესაც შვილი დაუქორწილდების და მალის ძლევას დაიწყებს, მამას აღარ ეთხოვების“ [46]. როგორც დასტურლამალიდან ჩანს, მალის გადამხდელები დავთარში ჩაწერილი და აღრიცხული ყოფილა. მალს იხდიდნენ გვიანფეოდალური საქართველოს მცხოვრებნი როგორც ქალაქად, ისე სოფლად (იგულისხმება მწარმოებელი საზოგადოება). ამასთანავე აღსანიშნავია, რომ „დასტურლამალი “მალს იცნობს როგორც ფულად გადასახადს, წყაროში ყველგან, სადაც მალზეა ლაპარაკი, იგი მხოლოდ ფულადი სახით გვხვდება: ფულადი სახის გადასახადია მალი მე-19 საუკუნის დამდეგისათვის [47].

მალის გადახდა ევალებოდათ როგორც სახელმწიფო, ისე საბატონო ყმებს. კახეთის მეფის ალექსანდრე II მიერ 1577 წლის 5 იანვარს დავით ჯორჯაძისა და სხვათადმი მიცემულ მალის ამოკვეთის წიგნში ვკითხულობთ: „...ჯორჯასძეთა ენისელთ მოურავს დავითს, ბაზიერთ-უხუცესს ბებურს, სანჯარს და როშნეევანს (sic), ერთობილთა თქუენთა გუართა და ნათესავთა, შვილთა და მამავალთა ახლისა თქვენისათა ყოველთავე:—მას ჟამსა ოდეს იქნა და ბედნიერი ჭელმწიფე მამა ჩუენი პატრონი ლეონ ამიერ სოფლით გარდაჴდა და ჩუენსა და ძმისწულთა ჩუენთა შუა მეფობისა და პატრონობისა საქმეზე და საცილობელი საქმე ჩამოგუიეარდა, ომი და ბრძოლა მოჴდა. იბრიანა მოწყალემა და მოსამართლემა ღმერთმან, ჩუენ გაგუემარჯჳა, მეფობა და პატრონობა დაგურჩა, მაშინ ჩუენცა შეგიწყალეთ და სამსახურისა და გუერც-მდგომისა მუქფად ვინცა ჩუენ გუიახლა მას და, ვინცა ძმისწულთა ჩუენთა იახლა, მასცა, მით რომე მათი ყმა და მამული ყველა უკლებლად ჩუენ გუიახლა და ერთგულად ჩუენს გაბატონებასა მოიჭირვეს, რარიგაცა მართებდა, ისრე გუერცსაცა მოგუიდგეს ჩუენის გულისათუის რომელიმე მოკუდა და რომელიმე დაიკოდა და მათის გულისათუის და გუერც-მიდგომისათუის ჩუენ მისად სამუქფოდ წყალობა დაგმართეთ. ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და ერთობლითა თქუენთა ყმათა მკუიდრთა და ახლად მსახლობელთა, მსახურთა და მოყალნეთა ყოველთავე მალი ამოუკუეთეთ ჩუენად სა-

---

[45] დასტურლამალი, გვ. 11.

[46] იქვე, გვ. 9.

[47] Акты К. А. К, I, стр. 207, №, 171; IV, стр. 35; № 34, V, стр. 265; № 327; VI, стр. 9; № 12.

დღეგრძელოდ, მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად; ასრე და ამა პირსა ზედან, რომე დღეს და დღეისის წაღმა ჩუენსა საბატონოში საცა თქუენი ყმა ესახლოს ქართუელი, ანუ სომეხი, ანუ ურია, გლახა თუ მდიდარი, მამულიანი ანუ უმამულო, მალი აღარსადა აღარა ეთხოვებოდეს და მალის გამოსაღებსა და სათხოვარზედა აღარაფერი მიზეზი გამოსაღები და სათხოვარი არა დაედებოდეს რა არც ჩუენგან და არცა შემდგომად ჩუენსა კუალად სხუათა მეფე-მეპატრონეთა და დედოფალთაგან" [48]. საბუთი მრავალმხრივ არის საინტერესო: მეფე, გარკვეული დამსახურების შემდეგ, ჯორჯაძის ყმებს, მსახურებსა და მოლაშქრეებს ანუ მოყალნეებს მალის გადასახადისაგან ათავისუფლებს.

მაშასადამე, მალისაგან „გათარხნება" ანუ გათავისუფლება უჩვეულო მოვლენა არ უნდა იყოს. ამასთანავე მალი ყმას ადევს მიუხედავად ეროვნებისა, კატეგორიისა, თუ ქონებრივი შეძლებისა. მალი არ უნდა იყოს პირადი დამოკიდებულების აღმნიშვნელი გადასახადი. ყმა მალს იხდის მაშინ, როდესაც იგი ეკონომიურად არის დამოკიდებული თავის მებატონეზე. ამ მოსაზრებას ამტკიცებს 1782 წლის თავდახსნილობის სიგელი: „1782, იანვრის 8 ქ. სახელითა ყოვლად ბლიერისა ღ-თისათა, ესე წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ზურაბაშვილმან სუფრაჯმა ზურაბ, შენ რამაზაშვილს გურგენას და შვილთა შენთა, ასე რომე პაპაშენი ჩემს აზნაურისშვილს ყულიაშვილთან მისულიყო და იმის მამულში მდგარიყო, არც ყმობდა, არც ხარჯი და მალი დაედო, მაგრამ იმის ხელათ მდგარიყო და როგორც მოსულის კაცის წესი არის, შობასა და აღდგომას ძღვენი მიერთმივა" [49]. ამასთანავე, როგორც ალექსანდრე მეფის მიერ გაცემულ მალის ამოკვეთის წიგნში იყო აღნიშნული, „დღეის წაღმა ჩუენსა საბატონოში საცა თქუენი ყმა ესახლოს--მალი არ ეთხოვებოდესო". ამრიგად, მალი გარკვეულ მეურნეობასთან დაკავშირებული გადასახადია, მაგრამ არ არის სავალდებულო, რომ მალის გადამხდელი ყმა აუცილებლად ბატონის კარზე, ბატონის მამულში ცხოვრობდეს. ამ საბუთში „საბატონო". „სამეფოს" მნიშვნელობით არის ნახმარი. უფრო ქვევით საბუთში ვკითხულობთ: „მალის გამომღებსა და სათხოვარზედა აღარაფერი მიზეზი გამოსაღები და სათხოვარი არა დაედებოდეს-რა არც ჩუენგან და არცა შემდგომად ჩუენისა კუალად სხუათა მეფე-მეპატრონეთა და დე-

---

[48] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბილისი, 1940. № 505, გვ. 359.

[49] საქართველოს სიძველენი, III, № 20, გვ. 20.

დოფალთაგანო". ამ უკანასკნელ წინადადებაში საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება, რომ საბუთში მალი გარკვეული გადასახადის მნიშვნელობით და არა საერთოდ გადასახადის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად არის ნახმარი. მალს იხდიან დედოფლის ყმები, რომლებიც გორში სახლობენ, ხოლო ქალაქი მეფისაა. ასევე დასაშვებია, რომ სხვა თავადთა ყმები ცხოვრობდნენ ქალაქებში და იხდიდნენ მალს. ვის სასარგებლოდ იკრიფება მალი? საფიქრებელია, სახელმწიფოს სასარგებლოდ. ზემომოყვანილ საბუთში მეფე ათავისუფლებს ჯორჯაძის ყმებს მალისაგან. მაშასადამე, ამ შემთხვევაში მალი მეფის სასარგებლოდ იკრიფება, მაგრამ არის საბუთი,სადაც მალი საბატონო გადასახადად იხსენიება. 1700 წელს დიდი მოურავის შვილიშვილის თარხან, ბეჟანისა და სხვათა მიერ ტერასატურა ტერმარქარაშვილისადმი მიცემულ სითარხნის წიგნში ვკითხულობთ: „ჩვენც ასე გათარხნეთ და გათავისუფლეთ, არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არ გეთხოვებოდეს რა არა მალი, არა ულაყი, არა ხარჯი და გამოსაღები ძღვენს გარდა"[50]. დავასკვნით, მალი მარტო სახელმწიფო გლეხებზე დადებული გადასახადი არ ყოფილა, რადგანაც მალს იხდიან თავადთა ყმები, მალს იხდიან დედოფლის ყმებიც. ზემომოყვანილ საბუთში საფიქრებელია, რომ ტერასატურა ტერმარქარაშვილი მის ბატონს მოშორებია. ამიტომ მებატონეს იგი მიწის საკუთრებასთან და მეურნეობასთან დაკავშირებული გადასახადებისაგან გაუთარხნებია. ძველ მებატონესთან მას მხოლოდ პირადი დამოკიდებულება შერჩენია. ეს საბუთი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ მალი პირადი დამოკიდებულების აღმნიშვნელი გადასახადი არ არის და მიწასთან არის დაკავშირებული, მაგრამ გაურკვეველი რჩება, ვის უხდის ყმა მალს: თავის ბატონს თუ სახელმწიფოს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მეფის მიერ რომელიმე ფეოდალის ყმების გათარხნება მალის გადახდისაგან საშუალებას აძლევდა ამ მებატონეს ყმების მალი თავის სასარგებლოდ აეკრიფა. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ზემომოყვანილი საბუთი, დიდმოურავის შვილიშვილის თარხან, ბეჟანისა და სხვების მიერ ტერასატურა ტერმარქარაშვილისადმი მიცემული, სადაც იგი მალს „საჩუენო გადასახადათ" იხსენიებს. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების ცნობით: „Мали—подушный сбор, установленный царями с казенных крестьян городов Тифлиса и Гори с женатых по 1 р. 20 к., а с холостых по 60 к."[51]. რომ

---

[50] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბილისი, 1940, № 150, გვ. 108.

[51] Акты КАК, V, № 327, стр. 265.

შალი მარტო სახელმწიფო გლეხებზე დადებული გადასახადი არ იყო, ამას ზემოთ განხილული საბუთებიც ამტკიცებენ. საფიქრებელია, რომ მალი, როგორც ფულადი გადასახადი, მის გადამხდელ საზოგადოებას უმთავრესად ქალაქებში უყრის თავს. მალისა და მახტის გადამხდელი საზოგადოება სურსათის გადასახადისაგან თავისუფალია[52]. საფიქრებელია, ეს გარემოებაც გარკვეულ ეკონომიურობასთან იყოს დაკავშირებული. სურსათი მარცვლეულის სახით იკრიფება, მალი კი ფულადი სახის გადასახადია (უმთავრესად ქალაქის მცხოვრებლებზე დაკისრებული).

დავასკვნით: მალი მე-19 საუკუნის დამდეგისათვის უმთავრესად ქალაქის მცხოვრებლებზე დადებული სახელმწიფო ფულადი გადასახადია. იგი, როგორც გადასახადი თავდაპირველად უცხო დამპყრობთა სასარგებლოდ იკრიფებოდა, მაგრამ დროთა მსვლელობაში სურსათის მსგავსად, სახე იცვალა და ქართულ სინამდვილეს შეეგუა.

ყალანი როგორც გადასახადი საქართველოში მე-13 საუკუნიდან შემოდის[53]. იგი თავდაპირველად ბეგარა ყოფილა, ხოლო შემდეგ გადასახადად ქცეულა. აკად. ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში" აღნიშნავს: „... ორი ბეგარის მოხდაც იყო სავალდებულო (იგულისხმება მონღოლების დროს). ერთს მათგანს მონღოლურად ყალანი ეწოდებოდა, ქართულად 'კი სალაშქრო, რომელიც თავდაპირველად სამხედრო ბეგარას წარმოადგენდა. შემდეგში ყალანიც ფულად გადასახადად იქცა"[54]. სულხან-საბა ორბელიანი ყალანს განმარტავს როგორც ბეგარას[55]. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ სულხან-საბა ორბელიანი ბეგარას „გლეხთ გამოსაღებს" უწოდებს, აქედან გამომდინარეობს, რომ ყალანი მას ესმის როგორც გადასახადი[56]. ბეგარასთან არის

---

[52] საქართველოს არქივი, თბილისი, 1916, გვ, 11.

[53] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1941, გვ. 57.

[54] იქვე.

[55] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 739.

[56] „ბეგარა" აქ გადასახადის და არა სამუშაო ბეგარის მნიშვნელობით იგულისხმება.

გაიგივებული ყალანი 1662 წელს თეიმურაზ I მიერ ვნისელთ ნაცვალ ხოსროსადმი მიცემულ სითარხნის წიგნში, მაგრამ აქაც ყალან-ბეგარა გამოსაღებად არის მოხსენებული. „...მოგუიდეგით კარსა დარბაზისა ჩუენისასა და ხელახლად სიგლის გაახლებას გვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და წიგნითა ამით ასრე დაგიმტკიცეთ და ასრე გათარხნეთ და გაგათავისუფლეთ, რომე არა საჩუენო გამოსაღები ბეგარ-ყალანი და სათხოვარი და არა საური და მოურავის ულუფა არა გეთხოვებოდეს და გუიბოძებია ისრეე შენი სამკუიდრო“ [57]. ყალანი სალაშქრო მოვალეობა რომ არ არის, არამედ გამოსაღებია, ამაზე მიგვითითებს 1737 წელს თეიმურაზ II მიერ კარდანახელთადმი მიცემული წიგნი: „... ახლა ჩვენს ძმისწულს მეფე ალექსანდრეს მოკითხული ექნა დარბაისელთა კითხულობით, ძველი საფიცრებიც ენახა კიდემ, ხელახლა სახასოდ დაედვენით. ახლა ჩვენც მოკითხული ვქენით, სახასოდ დაგდევით. არა დროს ჩვენ არ გაგვცეთ და არც ეს ჩვენი სიგელი მოგიშალოთ, როგორადაც სხვა სახასოს ყალანი გამოსაღები ედვას და ან ახლა, თქვენ ისრე იმსახურებდეთ შეძლებით და ჩვენც ძველი საფიცრის პირით დაგიმტკიცეთ“ [58].

გვიანფეოდალურ საქართველოში ე. წ. მოყალნეთა ფენა ყოფილა. 1577 წლის ალექსანდრე მეფის მიერ დავით ჯორჯაძისადმი ბოძებულ მალის ამოკვეთის წიგნში ვკითხულობთ: „ვიგულვეთ და ვიგულისმოდგინეთ და ერთობლითა თქუენთა ყმათა მკუიდრთა და ახლადმსახლობელთა, მსახურთა და მოყალნეთა ყოველთავე მალი აღმოუკუეთეთ“ [59] მოყალნეს „დასტურლამალიც“ იცნობს [60]. ბოლნისის გამოსაღების წიგნში აღნიშნულია: „მოყალნეს გუთანი თითო დღეს უხნავს და უფარცსავს“. მოყალნენი ქალაქშიც ყოფილან: „რასაც ქალაქის მოყალნე და თარხანი იქს, ისენიც ისრე გაერევიან“ [61].

მე-19 საუკუნეში ყალანი უკვე ფულით იკრიფებოდა. ამ დროისათვის ეს გადასახადი უმთავრესად მთიან რაიონებში ყოფილა

---

[57] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბილისი, 1940, № 515, გვ. 368.

[58] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, № 557, გვ. 393.

[59] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, № 505, გვ. 359.

[60] დასტურლამალი, გვ. 8, 18, 27, 45, 99.

[61] დასტურლამალი, „ავლაბრის რიგისა და სამსახურისათვის“, გვ. 8.

შემორჩენილი. კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მიერ შეკრებილი აქტების მიხედვით, „Калани... суть денежная подать с горских народов, вместо разных в натуре собиравшихся при царях грузинских вещей и жизненных припасов“ [62].

ხშირად მეფე ფეოდალის ან ეკლესიის ყმებს დამსახურების გამო ათავისუფლებს ყალანის გადახდისაგან [63]. მაშასადამე, ყალანი თავდაპირველად სალაშქრო მოვალეობა (საბზედრო ბეგარა) ყოფილა, ხოლო შემდეგ გადასახადად ქცეულა. ყალანი სხვა გადასახადებთან ერთად სამეფო ხაზინაში შედიოდა და მეფის „საკითხავს“ წარმოადგენდა.

ღალა ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი უძველესი გადასახადია. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ღალა ყანის ბეგარაა [64] (ბეგარა ამ შემთხვევაში გადასახადის მნიშვნელობით არის ნახმარი), ე. ი. ღალა ყანაზე ანუ მარცვლეულზე დადებული გადასახადია. ღალას რუსული წყაროები ასე განმარტავენ: „Галла за пользование казенной землей, которая взыскивалась в натуре ежегодно при описании посевов собственно в Грузии, за исключением селений, плативших Кодис-пури, Калань, или Махту и татарских дистанций; подать сия состояла в платеже одной коды или 2-х пудов 9 фунтов зерна с каждого дневного паханья, равняющегося половине русской десятины, и внесима была в казну по совершенной уборке хлеба“ [65]. დ. ფურცელაძის განმარტებით: „Галла— подать с хлебных посевов. Она в разных местах была различна. Так в одних местах галлу платили по урожаю, в других по одной коде (2 пуда и 7 фунтов) пшеницы с каждого дневного паханья земли ($^1/_2$ десят. земли), в иных с одного воза пшеницы по семи литр, 9 фунтов, а иногда по одной коде зерном, наконец в некоторых местах галла простиралась от 5 до 10-й части урожая“ [66].

---

[62] Акты К. А. К. V, № 327. стр. 266.

[63] დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, I, № 505, გვ. 359.

[64] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 727.

[65] საქ. ცს. ს. ა, ფ. 241, საქ. № 562, გვ. 15.

[66] Д. Пурцеладзе, О крепостном состоянии в Грузии, «Кавказ», 1864, № 86.

მაშასადამე, ღალა მარცვლეულით გადასახადი ყოფილა იმ მიწით სარგებლობისათვის, რომელზეც იგი ითესებოდა. ღალა მარტო სახელმწიფო ანუ სამეფო გადასახადი არ იყო. მას იხდიდნენ ეკლესიის ყმები ეკლესიის სასარგებლოდ და საერო ფეოდალების ყმები თავისი ბატონის სასარგებლოდ[67]. 1546 წლის ახალქალაქის გამოსაღების წიგნში აღნიშნულია: „ქ... ქრონიკონსა სლდ. გამოიღებს ახალქალაქელი თავი კაცი ორნი მოყალნენი ერთს ფურბერწსა და ერთს ცხუარს. რასთენიცა დღის ყანა უთქს, დღიურზედა ოთხი კოდი ღალა“ [68]. საბუთი მცხეთის ეკლესიისაა და ხელს კათალიკოზი აწერს. მაშასადამე, ღალა ამ შემთხვევაში დღიურების, მიწის სიდიდის მიხედვით ყოფილა დაწესებული. ღალა რომ მამულზე, მიწაზე დადებული გადასასადია, ამას ადასტურებს დარეჯან დედოფლის ბრძანება (1793 წლის 7 ივლისის), სადაც ვკითხულობთ: „... როგორც მისის უმაღლესობის ოქმი აცხადებდეს ყოველის კაცის დაუფერებლად, ისე უნდა აღასრულო და იმ მამულების ღალა უკლებლად უნდა გამოურთო და ყორღანიანთ მიაბარო“ [69]. ღალა ყოველთვის მიწის სიდიდის მიხედვით როდი იკრიფება, არამედ ყურადღება ექცევა მიწის ნაყოფიერებასაც. რაც უფრო ნაყოფიერია მიწა (მორწყულია, მოვლილია), ბატონის სასარგებლო გადასახადი უფრო დიდია. „დასტურლამალში“ ვკითხულობთ: „ღალა სარწყავზედ ხუთზედ ერთი ბატონს; ურწყავზედ შვიდზედ ერთი“ [70]. „დასტურლამალშივე“ ვკითხულობთ: „ღალა დღიურზედ სამი ფოხალი პური“ [71]. მაშასადამე, ღალის სიდიდე ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი არ არის. საბუთებში შევხვდებით, რომ ღალა ბატონის სასარგებლოდ 1/5-დან 1/10-მდე იკრიფება. იგი ხან მიწის სიდიდის მიხედვით განიზომება. ხან მისი ნაყოფიერების მიხედვით. ღალა რომ მოსავალზე იკრიფება, ამას ადასტურებს 1785 წლის 3 აგვისტოს დაწერილი თუმანიშვილების არზა, სადაც აღნიშნულია: „... საქართველოს ღალის აღება ასრე არის: უნდა პატრონი მიუყვანოს, დაუთვალოს და ღალა ისე აიღოს“ [72]. მაშასადამე, მოსაველის აღების შემდეგ გამოიყოფოდა გადასახდელი

---

[67] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, № 24, გვ. 20; საქართველოს სიძველენი, III, № 538, გვ. 521.

[68] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, № 6, გვ. 6.

[69] საქართველოს სიძველენი, III, № 306, გვ. 291.

[70] დასტურლამალი, გვ. 26.

[71] იქვე, გვ. 8.

[72] საქართველოს სიძველენი, III. 538, გვ. 521.

ღალა. ღალა მარტო პურით გადასახადი არ ყოფილა, არამედ საერთოდ მარცვლეულზე იყო დადებული: „ჭალის რუს ქვეშ თუ დასთესონ, პურისა და ქერისა, ფეტვისა, ბამბისა ღალა ექვსზედა ბატონსა; თუ ჩალთუკი დასთესონ ასრეე ღალა“ [73]. სამეფო ღალის აკრეფაში, როგორც ჩანს, ხელი მიუწვდებათ მოურავს, სახლთხუცესს, მდივნებს, ხასადარს, მამასახლისსა და ნაცვალს. მათ ღალიდან სარგოც ჰქონიათ დაწესებული: „ღალის ათისთავი, რაც ავიდეს სამი წილი მოურავისა და ხასადრისა, და მეოთხედი სახლთხუცესსა და მდივნებსა“-ო[74]. ან კიდევ: „ღალის ხასადარი, მამასახლისი და ნაცუალი ერთად სჭამდნენ“ [74]. მეფის მამულში, სამეფო ან სახაზინო მიწის სარგებლობისათვის ღალას მეფის მოხელენი ჰკრეფენ. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ხშირია შემთხვევა, როდესაც მეფე რაიმე სამსახურისათვის თავის ყმებს ათარხნებს გადასახადებისაგან. გვაქვს შემთხვევა, როდესაც ყმა თავისუფლდება კოდის-პურისა, ღალისა, კულუსისა და საბალახის გადახდისაგან [75]. ამიტომ არ უნდა იყოს სწორი ბეზაკის ზემომოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ კოდის-პურის გადაბხდელნი თითქოს ღალას არ იხდიდნენ [76]. ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი საბუთები, სადაც ფეოდალი, ათარხნებს რა თავის ყმას, ათავისუფლებს მას როგორც კოდის-პურისაგან, ისე ღალისაგან. ეს ორივე გადასახადი ერთად არის ჩამოთვლილი [77]. როგორც ვხედავთ, ღალა მიწით სარგებლობისათვის იკრიფება. ღალაში ჩანს გლეხის დამოკიდებულება მებატონისადმი. ეს დამოკიდებულება ეკონომიური ხასიათისაა. გლეხი მიწის სარგებლობისათვის ვალდებულია მეფეს ან ფეოდალს ღალა უხადოს. სახელმწიფო მიწით სარგებლობისათვის აკრეფილი სახელმწიფო გადასახადი—ღალა სახელმწიფო ხაზინაში შედის და მეფის „განსაკითხავს“ წარმოადგენს.

კულუხი ერთ-ერთი უძველესი გადასახადია საქართველოში. სულხან-საბა ორბელიანი კულუხს ღვინის ღალად განმარტავს [78]. თუ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას, აგრეთვე ღალის რაობას გავითვალისწინებთ, გამოდის რომ კულუხი ღვინით გადასა-

—

[73] დასტურლამალი, გვ. 98.

[74] იქვე, გვ. 11.

[75] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, № 24, გვ. 20.

[76] საქ. ც. ს. ს. ა, ფ. 241, საქ. № 562. გვ. 15.

[77] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I. № 24, № 102.

[78] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 318.

ხადი ყოფილა იმ მიწით სარგებლობისათვის, რომელზეც ვენახია გაშენებული. მევენახეობა კავკასიისა და კერძოდ საქართველოსათვის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარებაში მევენახეობას წამყვანი როლი ეკუთვნოდა[79]. მევენახეობას, მებაღეობას, მეაბრეშუმეობას გლეხი ხელს ვერ მოჰკიდებდა, თუ ის წლების განმავლობაში ერთსადაიმავე მიწას არ ამუშავებდა, ხოლო თუ გავითვალისწინებთ მიწის საკუთრების უფლებებს, აქედან გასაგები ხდება, თუ რა როლი მიუძღოდა მევენახეობას ფეოდალური მეურნეობის განვითარებაში. კულუხის გადასახადში, ანუ სავენახე მაწით სარგებლობისათვის დაწესებულ გადასახადში, ჩანს ის ეკონომიური დამოკიდებულება, რომელიც იყო მიწის მეპატრონე ფეოდალსა და მის ყმას შორის. ყმა მიწას ამუშავებდა და ამ მიწით სარგებლობისათვის იხდიდა კულუხს. კულუხი რომ, მართლაც, ვენახისათვის განკუთვნილ მიწაზე დადებული გადასახადია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ კულუხს არ იხდიდა ის, ვისაც ვენახი არ ჰქონდა. გლეხი კულუხს იხდიდა მას შემდეგ, რაც ღვინოს მოიყვანდა. გლეხი კულუხს ღვინით იხდიდა, ე. ი. ამ მიწაზე მოყვანილი პროდუქტით. 1801 წლის სადედოფლო მამულებისა და სოფლების ნუსხაში აღნიშნულია: „... იმათ, ვისაც ვენახი აქვს, კულუხი აძევსთ მთელი საკომლოზედ ერთი ცალი ღვინო, რომ იქნება სამოცი მთელი საკომლოს ღვინო წელიწადში ოცდა ათი საპალნე“[80]. ანდა იმავე საბუთში ვკითხულობთ: „... მცირე ვენახები ჰქონდათ, რადგან ახალმოშენენი იყვნენ, არც კულუხი გამოგვირთმეია და არც აბრეშუმი“[80]. ე. ი. ვისაც ვენახი აქვს, ის იხდის კულუხს—ღვინით გადასახადს, ხოლო ახლად დასახლებული ვიდრე ღვინოს არ მოიყვანდა, თავისუფალი იყო ამ გადასახადისაგან.

კულუხი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა რაოდენობით იკრიფებოდა. მისი აკრეფაც ზოგჯერ მოსავალზე იყო დამოკიდებული. „დასტურლამალში“ აღნიშნულია: „კულუხი, რასაც ბატონი შეაგდებს, მოსავალზედ ჰკიდია“[81]. ზოგ ადგილში კულუხი განსაზღვრულიც ყოფილა. „დურნუკის საბატონოს გამოსაღების წიგნში“ ვკითხულობთ: „კულუხი ხუთზედა“[82]. მაგრამ ძირი-

---

[79] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1935, გვ. 598—604.

[80] საქართველოს სიძველენი, III, № 311, გვ. 295.

[81] დასტურლამალი, გვ. 17.

[82] იქვე, გვ. 25

თადად, „კულუხი შეწერით არის; მამულზედ ჰკიდია, დიდს დიდობით და ცოტას ცოტაობით შეაწერენ“ [83]. ამასვე სამართლიანად აღნიშნავს ფურცელაძე: „Кулухи—подать с виноградных садов и эта подать была неопределенная: в одних местах ее собирали по урожаю, а в других взимали от 3 до 7 части произведения. Этой подати подлежали те только крестьяне, которые имели виноградные сады. С новоселенных виноградников, до окончательного устройства их, кулухи не взыскивалась. Замечательно, что галла и кулухи иногда в отношении к какой либо деревни были определительныя. Напр. жители селения Курдгелаури ежегодно платили вино и 110 кол пшеницы [84]. კულუხის აკრეფის დროს, საფიქრებელია, მხედველობაში იქნებოდა მიღებული ამა თუ იმ სოფლის ადგილმდებარეობა და ბუნებრივი პირობები. კულუხის გადასახადი მარტო სახელმწიფო გლეხებს როდი აკისრიათ. კულუხს ისდიან აგრეთვე ფეოდალის ყმები თავიანთი ბატონის სასარგებლოდ; მეფე თავის ყმებს დამსახურების გამო ხშირად ათავისუფლებს კულუხის გადახდისაგან [85]. ასევე იქცევა ფეოდალიც თავისი ყმების მიმართ [86]. კულუხის გადახდა ყველას არ ევალებოდა, თუ კულუხი მართლაც ვენახის გასაშენებლად საჭირო მიწაზე იყო დადებული. ამ გადასახადს სახაზინო პალატის თავმჯდომარე ბეზაკი შემდეგნაირად განმარტავს: „Кулухи или подать с садов, разведенных на казенной земле, которая состояла во взыскании седьмой части урожая вина и поступала только с г. Тифлиса и Телавского уезда“ [87]. ბეზაკის ეს განმარტება სწორი არ არის, რადგანაც, როგორც აღნიშნეთ, გადასახადი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი არ ყოფილა. ამასთანავე, კულუხი ევალებოდა ყველას, ვინც სავენახე მიწით სარგებლობდა და არა მარტო თელავის მაზრისა და ქალაქ თბილისის მცხოვრებლებს.

კულუხის გადასახადი სახელმწიფო მამულებიდან ხაზინაში შედიოდა და მეფის განსაკითხავს წარმოადგენდა.

---

[83] დასტურლამალი, გვ. 26.

[84] Д. Пурцеладзе, О крепостном состоянии в Грузии, «Кавказ», 1864, № 86.

[85] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, № 22, გვ. 12.

[86] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, № 163.

[87] საქ. ცენტ. ს. ა., ფ. 241, საქ. № 562, გვ. 14.

კულუხი ერთ-ერთი უძველესი გადასახადი იყო საქართველოში. საფიქრებელია, რომ იგი ადგილობრივ ნიადაგზე და ადგილობრივი პირობების შესაბამისად იყო წარმოშობილი.

საქართველოს ზოგიერთი კუთხიდან მე-19 საუკუნის დამდეგისათვის ხაზინის სასარგებლოდ იკრიფებოდა გადასახადი „საბალახე". ამ გადასახადს საქართველოს გარკვეული რაიონებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საბალახე, რუსული წყაროებით, თუშებზე და ფშავ-ხევსურებზე დადებული გადასახადია, რომელიც ნატურით იკრიფებოდა. თუშებს ხვდებოდათ წელიწადში 400 ცხვარი და 200 ბატკანი და ფშაველებს ყოველ 50 ცხვარზე თითო ცხვარი[88]. სახაზინო ექსპედიციის თავმჯდომარის ბეზაკის ცნობით: „Сабалахо или сбор в натуре в определенном количестве баранов, свиней и рогатого скота за пастьбу на казенных землях стад"[89]. საბალახე, ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ძველი გადასახადია. სულხან-საბა ორბელიანი საბალახეს „ბალახთ ბეგარად" განმარტავს[90], ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ბეგარა გადასახადის მნიშვნელობით აქვს მას ნახმარი, მაშინ, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „საბალახე" ბალახზე დადებული, ე. ი. საქონლის საკვებზე, საძოვარზე დადებული გადასახადია. დ. ფურცელაძის განმარტებითაც, საბალახე საქონლის საძოვარზე დადებული გადასახადია[91]. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „მონღოლურ ყაფჩერს შეესატყვისება ქართული „საბალახე". „100 საქონელზე ბატრონს 1 სული უნდა გამოეყვანა და მიეცა მონღოლებისათვის. შემდეგ ეს საბალახე ფულად გადასახადათ აქციეს და ისე იყო განსაზღვრული, რომ უნდა შეძლების კვალობაზე გამოერთმიათ 10 დინარიდან მოყოლებული 1 დინარამდე"[92]. საბალახეს საქართველოში მარტო თუშ-ფშავ-ხევსურები კი არ იხდიდნენ, როგორც ამას რუსული წყაროები გვიჩვენებენ, არამედ საბალახეს იხდიდა ყველა, ვისაც საძოვ-

---

[88] Акты К. А. К. I, стр. 480; IV, № 25, стр. 25.

[89] საქ. ცენ. ს. ა, ფ. 241, საქ. № 562, გვ. 16.

[90] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 543.

[91] Д. Пурцеладзе, О крепостном состоянии в Грузии, „Кавказ", № 1864, 86.

[92] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1941, გვ. 56.

რები სჭირდებოდა. „დასტურლამალში“ ჩამოთვლილია სოფლები: ავლაბარი, ბოლნისი, დიღომი, ლილო, შულავერი, თეთრი-სოფელი და სხვ., რომლებიც საბალახეს იხდიან. სახელმწიფო მიწაზე ჯოგის გამოკვებისათვის მოკრეფილი საბალახე მეფის ხაზინაში შედიოდა. ეს გადასახადი გვიანფეოდალურ საქართველოში იკრიფებოდა საქონლის რაოდენობის მიხედვით: „საბალახე სძესთ: ასზედ ბატკნიანი ცხუარი სამი, მშრალი ცხუარი ორი, მობალახის შიშლიგია“[93]. საბალახე „მართებულად“, „საბალახე სამართლიანად“ უნდა ყოფილიყო აღებული. ახლადმოსული კაცი ამ გადასახადისაგან ერთ წელიწადს თავისუფალი იყო, ხოლო შემდეგ ას ცხვარზე ორ ცხვარს და ერთ ბატკანს იხდიდა. გადასახადის აკრეფის დროს დავთარში უნდა ყოფილიყო შეტანილი, თუ რამდენი სული საქონელი ჰყავდა კომლს და რამდენი გადაახდევინეს. ამასთანავე მხედველობაში უნდა ყოფილიყო შიღებული ისიც, თუ რა საქონელს აძოვებდა პატრონი, რათა „ცხუარზედ ცხურის საბალახო ყოფილიყო აღებული, თხაზე თხისა“[94].

საბალახის აკრეფაში, როგორც ჩანს მონაწილეობდნენ სახლთხუცესი, მდივნები, მობალახე და სუფრაჯი. „დასტურლამალში“ ვკითხულობთ: „რაც ბატონის საბალახის ათისთავი დადგების, ამის მეოთხედი სახლთხუცესისა და მდივნების არის, და დანარჩენი სამი წილი—ამისგან ორი წილი მობალახისა და მესამედი სუფრაჯსა“-ო[94]. საამისოდ განსაკუთრებული მოხელე „მობალახეც“ კი ყოფილა[95].

საბალახე არ არის მარტო სახელმწიფო გადასახადი. ამ გადასახადის შემოსავალი მეფის ხაზინაში, ანუ სახელმწიფო ხაზინაში შედის. საერთოდ კი, თუ საბალახე საძოვარზე დადებული გადასახადია, იგი მიწის პატრონის სასარგებლოდ უნდა აკრეფილიყო. 1775 წელს გიორგი XII-ის მიერ დამტკიცებულ გამოძიების წიგნში ვკითხულობთ: „... ჩვენ ნიკოლაოზ მღვდელმა გვითხრა: ჩვენ და ოთარ მდივანი რომ მთაზე ვდაობთო, იმასა კითხეო, ჩვენ ფიცით ვკითხეთ და ასრე თქვა ფიცითა, რომ ის კისის-ხევის მთა მესამედი ამ ნიკოლაოზისა და ამათ მამა-პაპათ მისცემიაო ანა დედოფლისაგან და საბალახესაც ესენი იღებდნენ“[96]. ამრიგად, საბალახე ეკონო-

---

[93] დასტურლამალი, რომ. საბალახის აღებისათვის, გვ. 73.

[94] დასტურლამალი, გვ. 10.

[95] საქართველოს სიძველენი, III, № 205, გვ. 191.

[96] იქვე, № 228, გვ. 215—216.

მიურ ურთიერთობაზე დამყარებული გადასახადი ყოფილა. იგი საზღაურია იმ მიწის სარგებლობისათვის, რომელზედ ჯოგი საზრდოობს.

მე-19 საუკუნის დამდეგისათვის ხაზინის სასარგებლოდ იკრიფებოდა გადასახადი „საკომლო". ის სხვა გადასახადებთან ერთად დასახელებულია როგორც ქართველ მეფეთა დროინდელი გადასახადი. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილ აქტებში ვკითხულობთ: "Сапобао, саагдгомо, сакомло, калани, самаспиндзло, савардени и набада, суть денежные подати с горских народов, вместо разных в натуре собиравшихся при царях грузинских вещей и жизненных припасов"[97]. გვიანფეოდალურ საქართველოში მართლაც არსებობდა ასეთი გადასახადი. კომლი გარკვეული ოჯახია, რომლის წევრები ერთად ცხოვრობენ და ერთად ეწევიან მეურნეობას. კომლის წევრებს მიწის გარკვეული მონაკვეთი უჭირავთ. საბუთებში ხშირად ვხვდებით ასეთ გამოთქმას: „ერთი საკომლო ვენახი"[98] (ერთი საკომლო, ანუ საშუალოდ ერთ კომლზე განსაზღვრული მიწის ნაკვეთი, რომელზეც ვენახია გაშენებული). გადასახადები ხშირად კომლობრივია და კომლზე იკრიფებოდა მეურნეობის შესაფერისად. 1703—1724 წლების მორდალის სარგოს განწესებაში „ცარიელი საკომლოც" არის მოხსენებული[99]. საფიქრებელია, ეს გადასახადი „საკომლო" კომლის კარმიდამზე ყოფილიყო დაწესებული (იმ მიწაზე, რომელზედაც კომლი ცხოვრობს). თუ ეს მართლა ასეა, მაშინ საკომლო მარტო სახელმწიფო გადასახადი როდი ყოფილა. საკომლო იმის სასარგებლოდ აიკრიფება, ვის მიწაზეც კომლია დასახლებული. სადედოფლო მამულებისა და სოფლების 1801 წლის ნუსხაში ვხვდებით საკომლო გადასახადს, რომელიც კომლზე ორი აბაზის რაოდენობით ყოფილა დაწესებული[100]. საკომლო როგორც ცალკე გადასახადი, იხსენიება მე-19 საუკუნეშიც. ამ ხანისათვის ეს გადასახადი იკრიფება როგორც ნატურით (სურსათ-სანოვაგით), ისე ფულად[101].

სამასპინძლო გვიანფეოდალური საქართველოს გადასახადია. თუ თვით ტერმინ მანსპინძლობას ჩავუკვირდებით, იგი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო არა გადასახადი, არამედ გარკვეული და-

---

[97] Акты К. А. К. У. № 327, стр. 266.

[98] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბილისი, 1940, № 7, გვ. 6—7.

[99] საქართველოს სიძველენი, III, № 311, გვ. 296.

[100] იქვე.

[101] Акты КАКУ, № 327, стр. 266.

შოკიდებულების სახე, რომელიც შემდგომში გადასახადად იქცა. აკად. ნ. ბერძენიშვილი მანსპინძლობას სოციალურ ვალდებულებად თვლის: „За период времени X—XIII веков, в эпоху быстрого развития феодального хозяйства, этот слой непосредственных производителей (თავისუფალი ერი) в борьбе со все более усиливающимися крупными азнаурами терпит жестокие экономические стеснения, становится все более и более неспособным нести сословные обязанности (угощение патрона, служение и война) и постепенно переходит в ряды „глехи" (крепостные, барщинники, оброчники)"[102].

„დასტურლამალი" სამასპინძლოს იცნობს როგორც ბატონის გამასპინძლებას—ბატონისათვის გაწეულ სამსახურს, აგრეთვე როგორც გადასახადს. „სამასპინძლოს შეწერის წიგნში" ვკითხულობთ: „თუ ბატონი ზემო ქართლში წაბრძანდეს, ვინც არ დაჰპატიჟებს და ან სამასპინძლოს არ მიართმევს, მოხელენი სამახპინძლოს შეაწერენ"[103]. სამასპინძლო იკრიფებოდა ნატურით (სხვადასხვა პროდუქტები: პური, ქერი, საქონელი) და ფულითაც. იგი ზოგ შემთხვევაში განსაზღვრული იყო, ზოგჯერ კი შეძლების მიხედვით იყო შეწერილი. „როდესაც ბატონი თრიალეთზედ მიბრძანდების, მამასახლისს მსახურს და გლეხს შეძლებით სამასპინძლო"[104]. მაგრამ იმავე დასტურლამალის მიხედვით ბოლნისისათვის სამასპინძლო უკვე განსაზღვრული და დაწესებული იყო[105].

მე-19 საუკუნის დამდეგისათვის სამასპინძლო, აგრეთვე საალდგომო, საშობაო და ძღვენი გადასახადებად არის ცნობილი. რუსული მმართველობის დროს ისინი სხვა სახელმწიფო გადასახადებთან ერთად იკრიფება ხაზინის სასარგებლოდ.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილი აქტების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობაში ხაზინის სასარგებლოდ იკრიფებოდა გადასახადი შევარდენი „Савардени... суть денежные подати с горских народов, вместо разных в натуре собиравшихся при царях грузинских вещей и жизненых припасов"[106]. როგორც სამსპინძლო, ისევე შევარდენი, თავდაპირველად გადა-

---

[102] Н. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношении в Грузии (XII—XVI. вв.). თბილისი, 1938, გვ. 1.

[103] დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოც., თბილისი, 1886, გვ. 73.

[104] იქვე, გვ. 35.

[105] იქვე, გვ. 17.

[106] Акты К. А. К. IV, № 34, стр. 35; № 327, стр. 266.

სახადი არ იყო. ამ გადასახადს თუ ჩაუკვირდებით, იგი იყო ყმის პირადი მოვალეობა ბატონის მიმართ. დასტურლამალი შევარდენს იცნობს როგორც გარკვეულ სამსახურს, რომელიც ზოგიერთმა სოფელმა მეფეს უნდა გაუწიოს. იქ ჩამოთვლილია სოფლები, რომლებსაც შევარდნების ბუდეები აბარია და მათი მოვლა ეკისრებათ. ზოგიერთ მხარეს (კლდეკარს, ჯავახეთს...) ევალებათ მეფეს ორი შევარდენი მიართვან.

ეს სამსახური შემდეგ როგორ სახეს იღებს, ამის შესახებ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება. მე-19 საუკუნეში შევარდენი უკვე გადასახადია და სახელმწიფო ხაზინისათვის იკრიფება.

საქვრივო ბატონყმური გადასახადი იყო. იგი ბატონის სასარგებლოდ გლეხის ქვრივის წამყვანს უნდა გადაეხადა. „დასტურლამალში" აღნიშნულია: „ახალს მოსულის კაცისათვის: საქვრივო ხარი ბატონისა არის" [107]. ანალოგიურად იხდიან აგრეთვე დურნუკის მცხოვრებლებიც. აღეკის ბატონის გამოსაღების წიგნში საქვრივო ბატონის გამოსაღებად ერთი ძროხა ყოფილა [107]. მაგრამ საქვრივო მარტო საქონლით არ გადაიხდებოდა. წიგნში „თრიალეთის რიგისა და გამოსაღებისა საბატონოსა და სამოხელეოსათვის" ვკითხულობთ: „საქურიო აბაზი" [108]. ამასთანავე აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, რომ ქვრივი თუ სადმე სხვა ადგილას (ტერიტორიალურად) გათხოვდებოდა, მაშინ მისი მთხოვნელი გადასახადს ანუ საზღაურს იხდიდა ბატონის სასარგებლოდ, ხოლო „სოფლის კაცმან რომ ქვრივი წაიყვანოს, ხარი არა სძეს, და თუ გარეშემომ წაიყვანოს, ხარი სძეს"-ო [109].

ასეთივე სახის გადასახადი იყო საჩექმეც, რომელიც გლეხის ქალის გათხოვებისათვის იკრიფებოდა ბატონის სასარგებლოდ. „დასტურლამალის" მიხედვით, საჩექმე ფულად გადასახადად ჩანს. „თრიალეთის რიგისა და გამოსაღებისა საბატონოსა და სამოხელეოსათვის" ვკითხულობთ: „საჩექმე ორი შაური", ან კიდევ „დურნუკის მოურავისათვის": „საჩექმე სამი აბასი" [110]. ფულის რაოდენობა ფაქტიურად ორსავე შემთხვევაში ერთიდაიგივეა. გვიანფეოდალურ საქართველოში, როგორც მთელი რიგი საბუთები მიგვითითებს, ორივე გადასახადი იკრიფებოდა ბატონის სასარგებლოდ. ხოლო სამეფო გლეხები მეფეს უხდიან საქვრივოსა და საჩექმეს.

---

[107] დასტურლამალი, გვ. 10, 7, 25.
[108] იქვე, გვ. 36.
[109] იქვე, გვ. 18.
[110] იქვე, გვ. 36, გვ. 25.

.ბატონყმური რიგის გადასახადებია: საღდგომო, საშობაო და ძღვენი. საღდგომო—ბატონისათვის აღდგომას მირთმეული საჩუქარია. ასევეა საშობაოც, მაგრამ არც ერთი და არც მეორე გვიანფეოდალურ საქართველოში წმინდა ნებაყოფლობაზე აღარ არის დამოკიდებული. „დასტურლამალში“ უკვე დაწესებული და შეტანილია, თუ ვის რა უნდა გადაეხადა როგორც აღდგომას, ისე შობას ბატონის ანუ, ამ შემთხვევაში, მეფის სასარგებლოდ. საღდგომო, როგორც გადასახადის სახე, ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული არ არის. ზოგ სოფელში იგი ნატურით იკრიფება (აღეკში, ატენში, ბოლნისში, დიღომში, კავთისხევში და სხვ.)[111]. მაგრამ არის შემთხვევა, როცა მას ფულადი სახითაც კრეფენ. მაგალითად, ფურნუკის მოურავის სარგოს წიგნში ვკითხულობთ: „საღდგომოთ ერთი „შაური“.[111]. გვაქვს შემთხვევები საშობაოს ფულადი სახით მოკრეფისაც, მაგრამ აქაც ნატურალური სახე სჭარბობს.

ასეთივე სახის გადასახადად იხსენიება ძღვენი. იგი თავისთავად ნებაყოფლობით საჩუქრის მირთმევას გულისხმობს, მაგრამ გვიანფეოდალურ საქართველოში უკვე გადასახადის სახითაც გეხვდება[112]. აღდგომას და შობას ყმა თავის ბატონს ძღვენს მიართმევდა. ძღვენი საბუთებში უამდღესასწაულებოდაც იხსენიება[113]. ზემოდასახელებული სამივე გადასახადი პირადი დამოკიდებულების აღმნიშვნელი გადასახადებია და არა ეკონომიური სახისა. მაგალითად, 1782 წლის ერთ-ერთ თავდახსნილობის წიგნში ვკითხულობთ: „... რომე პაპაშენი ჩემს აზნაურიშვილს ყულიაშვილთან მისულიყო და იმის მამულში მდგარიყო. არც ყმობდა, არც ხარჯი და მალი დაედო, მაგრამ იმის ხელათ მდგარიყო და როგორც მოსულის კაცის წესი არის შობასა და აღდგომას ძღვენი მოერთმივა“[114].

ხშირი იყო აგრეთვე შემთხვევა, როცა ბატონისაგან წასული გლეხი, ან გათარხნებული, თავის ძველ მებატონეს უხდიდა თავის პირად მოვალეობებს, ახალ მებატონეს კი წმინდა ეკონომიური სახის გადასახადებს, ე. ი. იმას, რაც მიწით სარგებლობისათვის საეალდებულო გადასახადს წარმოადგენდა[115].

---

[111] დასტურლამალი, გვ. 8, 18, 26, 45.
[112] საქართველოს სიძველენი, III, № 20, გვ. 20.
[113] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, № 24, გვ. 20.
[114] საქართველოს სიძველენი, III, № 20, გვ. 20.
[115] დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან, I, № 24, გვ. 20.

სახელმწიფო გადასახადებს კრეფდნენ მეფის მოხელენი: სახლთხუცესი, მოურავები, მდივნები და გადასახადის ამკრეფი სპეციალური მოხელეები: მეკოდისპურე, მებალახე და სხვ., რომლებიც ამისათვის გასამრჯელოს თვით ამ გადასახადიდან შემოსული შემოსავლიდან იღებდნენ. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ეს მოხელეობა ხშირად მემკვიდრეობითი ხასიათისა იყო. მოხელეობის ეს წესი მე-19 საუკუნეში, რუსული მმართველობის აქ შემოღების შემდეგ, დაირღვა, რაც ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებით უნდა აიხსნას.

მე-19 საუკუნის დამდეგისათვის საქართველო წარმოადგენდა ტიპიურ ფეოდალურ ქვეყანას, სადაც ბატონყმობა სოციალური ურთიერთობის ძირითადი სახე იყო. ბატონყმობის დასაცავად მოქმედებდა იმდროინდელი მთელი სამმართველო აპარატი, კანონმდებლობა და სხვ.

ბატონყმური მეურნეობა საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ხასიათდება ნატურალური მეურნეობის ბატონობით. გადასახადების დიდი უმრავლესობაც ნატურის სახით იკრიფება. რასაკვირველია, ამ დროს საქართველოში ჩვენ ვხვდებით ფულადი სახის გადასახადებსაც, მაგრამ მცირე რაოდენობით. გადასახადები, არა მარტო წმინდა ბატონყმური დამოკიდებულების სახისა, არამედ თვით სახელმწიფოს სასარგებლოდ მოკრეფილიც (სურსათი, კოდის-პური), ნატურის სახით იკრიფებოდა. მემამულის მიწით სარგებლობისათვის გლეხი ვალდებული იყო მემამულისათვის გადაეხადა გარკვეული გადასახადები. გარდა იმ გადასახადებისა, რომლებსაც ეკონომიურად ფეოდალისაგან დამოკიდებული გლეხი იხდის ბატონის სასარგებლოდ, გლეხი ვალდებულია მებატონისავე სასარგებლოდ გასწიოს მუშაობა—დაამუშაოს მისი ბაღ-ვენახები და სხვ., მიართვას ბატონს ძღვენი, რომელიც უკვე გადასახადად ქცეულა, გადასახადის სამასპინძლო, სააღდგომო, საშობაო. მოვალეობანი თანდათან იზრდება. „Тави бегара (главный, древний, первоначальный оброк), который несколько раз возрос против первоначального, теперь, в XV веке (მით უმეტეს ეს ითქმის XVIII საუკუნის მიწურულზე—ლ. გ.), составляет одну и то лишь меньшую часть всех крестьянских платежей феодалу. Наряду с „тави бегара“ крепостной платит бесконечно разные платежи, подводимые под общий термин „схуаи бегара“ (иной, другой, добавочный оброк), приносит „дары“ (все растущие виды обязательных приношений) и „помощь“ в дни несчастья или в дни счастья

„батони“ (господина), несёт разные службы и барщину, которая с нескольких дней в году выросла до „работы постоянной“ („ниадаг мушаоба“)[116]. გადასახადის გადიდების მიზნით მებატონე ადიდებს საწყაოსაც. გლეხი მებატონისაგან პირადად სულ უფრო და უფრო ხდება დამოკიდებული. უამისოდ მებატონე ვერ აიძულებდა გლეხს გაეწია სხვადასხვა სახის სამუშაოები თავის სასარგებლოდ. ფეოდალურ საქართველოში გადასახადების მთელი სიმძიმე ძირითადად გლეხობას აწვა. გარდა საკუთარი მებატონისა, გლეხობას ექსპლოატაციას უწევს სახელმწიფო და ეკლესია. „სახელმწიფო არის კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტი და გამოხატულება“[117]. ასევე იყო ფეოდალური საქართველოც. როგორც გვიანფეოდალური საქართველოს კანონმდებლობა, ისე იმდროინდელი სოციალ-ეკონომიური საბუთების დიდი უმრავლესობა ამ სოციალური ბრძოლის ანარეკლს წარმოადგენს. გლეხების აყრა-გაქცევა, გაბოგანოება, ფირალობა-ყაჩაღობა და სხვა სოციალური მომენტებია და ქვეყნის ეკონომიურ პირობებთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ.

თითოეულ გადასახადთან დაკავშირებით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ზემოთ განხილული გადასახადებიდან მე-19 საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში ხაზინის სასარგებლოდ გადასახადებს იხდიდნენ, როგორც სახელმწიფო, ისე საბატონო, და საეკლესიო გლეხები. სახელმწიფო გადასახადებს იხდიდნენ ქალაქის მცხოვრებლებიც და ელის მოსახლეობაც. ზემოთ განხილულ გადასახადთაგან მე-19 საუკუნის დამდეგიდან საქართველოში გადასახად სურსათს იხდის მთელი მიწათმოქმედი საზოგადოება ხაზინის სასარგებლოდ (ელის მცხოვრებთა გარდა). ყოდის-პური მე-19 საუკუნის დამდეგისათვის ეხლოლდ სახაზინო გლეხებზე დაკისრებულ სახაზინო გადასახადად ჩანს. გარკვეულ მეურნეობასთან დაკავშირებული სახელმწიფო გადასახადებია მალი და მახტა, რომლებსაც ქალაქის მცხოვრებნი იხდიან. პურადი სახის მახტა საქართველოს მუსულმანურ საზოგადოებაზე დაკისრებული სახელმწიფო გადასახადია. რაც შეეხება გადასახადებს ღალას, კულუხსა და საბალახეს—ისინი უშუალოდ მიწით სარგებლობასთან დაკავშირებით იკრიფება მიწის მფლობელის სასარგებლოდ. ჩვენს მიერ აღე-

---

[116] Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), თბილისი, 1938, გვ. 11.

[117] ლენინი, სახელმწიფო და რევოლუცია, თხზ., ტ. 25, მე-4 გამოცემა, 1952, გვ. 472.

ბულ შემთხვევაში სახელმწიფო იგივე ფეოდალის როლში გამოდიოდა. სახაზინო გლეხები სახელმწიფო მიწით სარგებლობისათვის ხაზინას უხდიდნენ ღალას, კულუხსა და საბალახეს, ფეოდალის მიწით სარგებლობისათვის კი—ფეოდალს. ამ დროისათვის მრავალ მოვალეობას ბატონის მიმართ უკვე გადასახადის სახე მიუღია. ასეთებია: სააღდგომო, საშობაო, ძღვენი, შეევარდენი, ნაბადი, სამასპინძლო. ბატონყმური რიგისაა საქვრივე და საჩექმო; ყველა ამ გადასახადს გლეხები საკუთარ ბატონს უხდიან, ხოლო სახაზინო გლეხები—ხაზინას. ამრიგად, თანდათან იზრდება გლეხის მოვალეობანი სახელმწიფოსა და მებატონის წინაშე. ეს მოვალეობანი თანდათან დაკანონებულ ხასიათს იღებენ.

მიწის ფეოდალური საკუთრება იყო იმის მიზეზი, რომ გლეხი თავის ნაკვეთს პრიმიტიული იარაღით ამუშავებდა—რაც ბატონყმური მეურნეობის ერთ-ერთი პირობაა. ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ ფეოდალთა ძალადობა ამ მწარმოებელი ფენის—გლეხთა მიმართ. ყოველივე ამას ემატებოდა საგარეო საფრთხე—მტრების გამუდმებული თარეში, რის შედეგადაც მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. განსაკუთრებით გლეხობა ნადგურდებოდა. ყოველივე ეს ძირს უთხრიდა ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობას. გარეშე მტრების მძლავრობა და თავადურ-ბატონყმური სისტემა ერთიმეორეს ავსებდა და ერთიმეორეს გულისხმობდა[118]. მიუხედავად ამისა, „რაგინდ დაჩიხული იყო ქვეყანა, რაგინდ უმოძრაო ჩანდა ქართული ფეოდალური საზოგადოება, შიგადაშიგ, ხან იქ, ხან აქ მაინც თავს იჩენდა წინსვლის ნიშნები. ბრძოლის სარბიელზე გამოდიოდა პროგრესული ფენა, რეაქციის წინააღმდეგ ქვეყნის ძალთა მობილიზაციას ცდილობდა და საგარეო მეშველ ძალას თავისთვის გაფაციცებით ეძებდა“[119]. ასეთ მეშველ ძალად მხოლოდ რუსეთი ჩანდა.

---

[118] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 137.

[119] იქვე, გვ. 138.

შესავალი

საზოგადოებრივ ურთიერთობაში ბეგარა-გადასახადების საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი ეკონომიკის ნაწილია. ეკონომიური საფუძველი, ეკონომიური ბაზისი ყოველ საზოგადოებაში ქმნის ზედნაშენს—სახელმწიფოს, პოლიტიკურ დაწესებულებებს, იდეებს, თეორიებს. ამიტომ მმართველობისა და წყობილების ყველა საკითხი, კლასთა ბრძოლის საკითხი თავისი გამოხატულების ერთ-ერთ სახეობას ბეგარა-გადასახადებში პოულობს.

ბეგარა-გადასახადების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ის ეკონომიური საფუძველი და გარეშეეკონომიური იძულება, რომელიც ავალდებულებს გლეხს ბეგარა-გადასახადები იხადოს: მემამულის, სახაზინო გლეხს—ხაზინის, ხოლო საეკლესიო გლეხს—ეკლესიის სასარგებლოდ. სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის გამოხატულება ნათლად ჩანს ბეგარა-გადასახადებში. თვით ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის პოლიტიკური ფორმის დასადგენადაც ამ საკითხის შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

ბეგარა-გადასახადების საკითხი საქართველოში ჯერ კიდევ სათანადოდ დამუშავებული არ არის, თუმცა ამ საკითხს თავიანთ შრომებში ეხებოდნენ როგორც რევოლუციამდელი ისტორიკოსების გარკვეული ნაწილი, ისე საბჭოთა მეცნიერები. ეს ისტორიკოსები არც ისახავდნენ მიზნად საქართველოში ბეგარა-გადასახადების საკითხის სპეციალურად შესწავლას.

რევოლუციამდელი ისტორიკოსების შრომებიდან აღსანიშნავია ს. ავალიანის ნაშრომი: „Крестьянский вопрос в Закавказье". ავტორის მიზანს შეადგენდა საერთოდ გლეხთა მდგომარეობის გარკვევა და ამდენად მას შეჩერება უხდებოდა ბეგარა-გადასახადების საკითხზეც. ავტორს მოკლედ აქვს აღწერილი ვალდებულებანი, რომლის მოხდაც გლეხს ევალებოდა.

უფრო ვრცლად ზემოაღნიშნულ საკითხს შეეხო დ. ფურცელაძე ნაშრომში: „О крепостном состоянии в Грузии", მაგრამ ავტორი უმთავრესად ყმა გლეხებზე დაწესებულ ბეგარა-გადასახადებს ეხებოდა. საყურადღებოა ალ. ფრონელის შრომები: „მთიუ-

თავი მესამე

ბეგარა-გადასახადები და საგადასახადო სისტემა მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე აღმოსავლეთ საქართველოში

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ახლადშექმნილმა რუსულმა მმართველობამ თავდაპირველად უცვლელად დატოვა საქართველოში მანამდე არსებული გადასახადები. ბატონყმური რიგის გადასახადებიც (მეფის, როგორც ფეოდალის გადასახადები), რომლებიც ამ დრომდე არსებობდა საქართველოში, ძალაში დარჩა. ძღვენი, საალდგომო, საშობაო და სხვ. რუსული მმართველობის შემოღების შემდეგაც იკრიფება. რუსი მოხელეები მხოლოდ მათ გამორკვევასა და აღწერას აწარმოებდნენ. საყურადღებოა შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო გადასახადებისა მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე არსებითად უცვლელი დარჩა, ახლადშექმნილმა პირობებმა გავლენა იქონია ბეგარა-გადასახადებზე.

XIX საუკუნის დამდეგიდან რუსეთი დიდ გავლენას ახდენს საქართველოს სოციალ-ეკონომიურ თუ კულტურულ ვითარებაზე. თუმცა რუსეთი თვით ფეოდალური სახელმწიფო იყო, მაგრამ სოციალურ-ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით იგი ბევრად უფრო მაღლა იდგა, ვიდრე საქართველო. რუსეთში მე-19 საუკუნის დამდეგისათვის ვითარდება კაპიტალისტური წარმოება. კაპიტალისტურ საწარმოთა რიცხვი იზრდებოდა, ამ საწარმოებში კი სულ უფრო მეტად ხდებოდა თავისუფალი სამუშაო ძალის გამოყენება. საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ და ადგილობრივაც ამზადებდნენ ამ საწარმოთათვის სამუშაო მანქანა-იარაღებს[1]. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში კაპიტალისტური მანუფაქტურების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ცვლილებები ეტყობოდა სოფლის მეურნეობას. იყო ცდები შეეცვალათ მიწათმოქმედების თავდაპირ-

[1] История СССР, ტ. II, მოსკოვი, 1954, გვ. 8—9.

ველი წესი. გავრცელდა ახალი კულტურები. ზოგან სოფლის მეურ-ნეობაში თავისუფალ მუშახელს იყენებდნენ[2]. ყმობიდან განთავი-სუფლების მსურველი გლეხობა დიდ თანხას უხდიდა მებატონეს. განთავისუფლებული გლეხები უმთავრესად საწარმოებში იყრიდნენ თავს, იზრდებოდა დაქირავებულ მუშათა რიცხვი.

მე-19 საუკუნის დამდეგისათვის, კაპიტალიზმის ჩასახვასა და განვითარებასთან დაკავშირებით, რუსეთში იზრდება მოთხოვნი-ლება ფულზე. ჯერ კიდევ ეკატერინე II დროს ფულადი ღალა ერთიორად გადიდდა. ბეგარა-გადასახადების დიდი უმრავლესობა ფულადი იყო, რაც სასაქონლო-ფულადი მეურნეობის ზრდას მოწ-მობს.

საქართველო, როგორც აღვნიშნეთ, ამ მხრივ ბევრად ჩამორ-ჩებოდა რუსეთს. მე-18 საუკუნეში საქართველოში სოციალურ-ეკო-ნომიური განვითარებისათვის შექმნილი არ იყო სათანადო პირო-ბები. საგარეო საფრთხე, რომლისაგანაც საქართველო თავს ვე-ღარ იცავდა, დიდ გავლენას ახდენდა ქვეყნის შინაგან განვითარე-ბაზე. რუსეთთან საქართველოს შეერთებიდან მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე წარმოებული ომებიც დიდად აფერხებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ წინსვლას. ომების წარმოება კი აუცილე-ბელი იყო იმისათვის, რომ საქართველო ირან-ოსმალეთისა და მტრულად განწყობილი სახანო-საფაშოების რბევა-აწიოკებისაგან დაცული ყოფილიყო და ნორმალური პირობები შექმნილიყო ქვეყ-ნის განვითარებისათვის. ყველა ზემოჩამოთვლილი მიზეზის გამო კაპიტალისტურმა ელემენტებმა მე-19 საუკუნის 30-იან წლამდე თითქმის ვერ პოვეს სათანადო განვითარების საშუალება. მეურნეო-ბის გაბატონებული ფორმა ნატურალური მეურნეობა იყო. ბეგარა-გადასახადების უმრავლესობაც მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე ძი-რითადად ნატურის სახით იკრიფებოდა. უყენებს რა თავის მოთ-ხოვნილებებს საქართველოს, რუსეთი ცდილობს გადასახადი თავისი ინტერესების შესაბამისად აკრიფოს. ამის გამო რუსული სამმარ-თველო აპარატი დიდ ყურადღებას აქცევს ბეგარა-გადასახადებს. იგი სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავს: იკვლევს გადასახადების რაობას, რაოდენობასა და მოცულობას,ამოწმებს ხალხის აღწერის დავთრებს, ხელახლა აღწერს გადასახადების გადამხდელ მოსახლეო-ბას, ცდილობს მისცეს ამ გადასახადებს სახელმწიფოსათვის ხელ-საყრელი სახე. შექმნილი ახალი ვითარება გავლენას ახდენს ბეგა-რა-გადასახადებზე. ამდენად მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მან-

[2] სსრ კავშირის ისტორია, II, პანკრატოვას რედ., თბილისი, 1954, გვ. 76.

ძილზე ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ცვლილებას ბეგარა-გადასახადებში. თავდაპირველად იცვლება მათი დანიშნულება, ხოლო ამასთან დაკავშირებით მათი სახეც. რასაკვირველია, ეს პროცესი ხდება თანდათანობით, დროისა და პირობების გაელენით. ზოგი გადასახადის სახელწოდება მთლიანად უქმდება (მაგ. მალის); გარკვეულ შემთხვევაში გაუქმებულ გადასახადს სახელმწიფო სხვა სახის გადასახადით ინაზღაურებს, გაუქმებული გადასახადის ხარჯზე ადიდებს მეორე გადასახადის მოცულობას. ამრიგად, ერთ სახელწოდებაში აერთიანებს ორი სახელწოდების გადასახადს და ინაზღაურებს გაუქმებული გადასახადის თანხას. საქართველოში მეფობის გაუქმების შემდეგ ბეგარა-გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, სხვა სახელმწიფო შემოსავალთან ერთად, საქართველოს უმაღლესი მთავრობის სახელმწიფო-სახაზინო ექსპედიციას გადაეცა. ახლადშემოღებული მმართველობა ცდილობს გადასახადები ან ფულადი სახით იქნას აკრეფილი ან პურეულით (ნატურალური გადასახადებიდან მხოლოდ პურადი გადასახადების დატოვება იყო სასურველი). საკლავი, ღვინო და სხვადასხვა პროდუქტები არ გამოადგება ახალ ხელისუფლებას. ეს პროდუქტები კი, როგორც ვიცით, შედიოდა ზოგიერთ გადასახადში, როგორიც იყო: ღალა, კულუხი, საბალახე, ძღვენი, სააღდგომო, საშობაო და სხვ. სახელმწიფო ცდილობს ამ გადასახადებს ფულადი სახე მისცეს.

შექმნილი საგარეო და საშინაო პირობების გამო ბეგარა-გადასახადების საკითხი, ისევე როგორც სამოქალაქო მმართველობის აპარატი, ამ დროს თითქმის სამხედრო უწყებისადმი იქნა დაქვემდებარებული. ჯარის გამოსაკვებად სახელმწიფოსათვის საჭირო იყო პური. ამიტომ პურად გადასახადებს რუსული სამმართველო აპარატი უცვლელად ტოვებს. მთავრობას თავიდანვე კურსი აღებული ჰქონდა იქითკენ, რომ ბეგარა-გადასახადები ან ფულადი სახით ან პურეულით აკრეფილიყო. „Сборы государственные в казну, и особенно царскому дому прежде принадлежащие, привесть в такое положение, чтобы все то, что кроме хлеба натурой прежде собиралось, обращено могло быть в сбор хлебный по мере надобности онаго к продовольствию войск, а остаток расчислить в подать денежную“, ვკითხულობთ 1801 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულებაში[3]. ამასვე ადასტურებს მთავარმართებელ კნორინგის უქვეშევრდომლესი მოხსენება იმპერატორისადმი[4].

---

[3] Акты КАК., I, № 548, გვ. 434.

[4] Акты КАК,. I, № 543, გვ. 427.

პურეულით აკრეფილ გადასახადებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გადასახადები მთლიანად ხმარდება ჯარის მომარაგებას. იმ გადასახადებს გარდა, რომლებიც ჩვეულებრივ იკრიფებოდა, მთავრობა მოსახლეობისაგან მცირე ფასებში იძულებით ყიდულობდა პურს. საქართველოში არსებული პურადი გადასახადები და იძულებითი შესყიდვით აკრეფილი პური ამიერკავკასიაში მდგომი ჯარის გამოსაკვებად იყო განკუთვნილი. ჯარის გამოკვება ადგილობრივ მკვიდრთ უჭირდათ. ამ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით იკვლებოდა რიგი გადასახადები, ირღვეოდა ძველთაგანვე დაკანონებული წეს-ჩვეულებები, რომელთა ახლით შეცვლა მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. ამ სიძნელეების გადალახვა ძირითადად საქართველოს მწარმოებელი ფენის ხარჯზე ხდებოდა.

ბეგარა-გადასახადებში საგრძნობ ცვლილებას მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ეხედავთ, როდესაც გატარებულ იქნა საფინანსო რეფორმა, მაგრამ ამ რეფორმას საფუძველი წინა პერიოდმა მოუმზადა. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე ვამჩნევთ ერთგვარ ცვლილებას ბეგარა-გადასახადებში. ეს პროცესი თანდათანობით ხდება; იგი ხელს უწყობს, ნიადაგს უმზადებს მე-19 საუკუნის 40-იანი წლების საფინანსო რეფორმას, რომელიც სახელმწიფო გადასახადებში ფულადი რენტის გაბატონებას გულისხმობდა.

გადასახადი ს ურ ს ა თ ი, როგორც ჩვენი ნაშრომის პირველ თავში იყო განხილული, საქართველოში მე-18 საუკუნიდან არის შემოსული და დაკანონებული. მე-19 საუკუნიდან ამ გადასახადის მნიშვნელობა იცვლება. ამ დროიდან სურსათი აღარ წარმოადგენს იმ „სურსათს", ანუ „პროვიანტს", რომელიც ჯარის საკვებად იყო განკუთვნილი. თვით სახე „სურსათის" გადასახადისა ხელუხლებლად იქნა დატოვებული. იგი იკრიფება ისევე, როგორც პურეულზე დადებული სხვა სახელმწიფო გადასახადები, მაგრამ განსხვავება წინანდელ სურსათსა და მე-19 საუკუნის სურსათს შორის ის არის, რომ მარტო სურსათის გადასახადი კი არა, იგივე კოდის-პური, ყალანი, ღალა და პურეულზე დადებული ყველა სხვა გადასახადი ჯარის გამოსაკვებად არის განკუთვნილი. ზემოჩამოთვლილს ემატებოდა მთავრობის მიერ მოსახლეობისაგან იძულებით თუ ნებაყოფლობით შესყიდული პურეული. აკრეფილი პურის ეს რაოდენობა ჯარის საკვებად იყო განკუთვნილი და „პროვიანტის" ცნებაში შედიოდა. „პროვიანტი" აღარ წარმოადგენს ქართული „სურსათის", ანუ ერთ-ერთი გადასახადის სინონიმს, რასაც ჩვენ მე-18 საუკუნის მიწურულში და მე-19 საუკუნის დამდეგს ვხედავთ. მე-19 საუკუნის „სურსათის" ანუ, როგორც რუსული მმართველო-

ბის დროს მთლიანად ჯარის გამოსაკვებად განკუთვნილ პურს უწოდებდნენ, „პროვიანტის“ ცნება გაცილებით უფრო ფართოა ქართულ „სურსათთან“ შედარებით. სურსათის გადასახადი, როგორც სხვა ცალკე აღებული გადასახადი, დატოვებულ იქნა რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ და სხვა გადასახადებთან ერთად „პროვიანტში“ შედიოდა. მე-19 საუკუნიდან მარტო სურსათით აკრეფილი შემოსავალი აღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას.

როგორც საქართველოს სამეფოს გაუქმებამდე, ისე რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ, სურსათი ნატურით—ხორბლეულით იკრიფებოდა. კომლზე ორი კოდი პური და ერთი კოდი ქერი იყო დაწესებული[5].

როგორც საბუთებიდან ჩანს, გადასახადი სურსათი საყოველთაო იყო. მას იხდიდნენ სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო გლეხები. ჩვენ მოგვეპოვება 1802 წლის ნუსხა, სადაც ჩამოთვლილია სურსათის გადამხდელი ქართლ-კახეთის გლეხობა. აქვე არიან შულავერის, შამშადილისა და ბამბაკის მცხოვრებლები, რომლებიც სურსათის გადასახადს გარდა იხდიდნენ აგრეთვე გადასახად მახტას—პურითაც და ფულითაც. სურსათს იხდის ელის მოსახლეობაც. მთლიანად აკრეფილი სურსათის რაოდენობა 1802 წლისათვის ქართლში 23551 კოდი ყოფილა, ხოლო კახეთში 16542 კოდი. მუსლიმანი მოსახლეობის ნაწილი სურსათს იხდის ფულით. საბუთი (ნუსხა) მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგანაც იგი შედგენილია ეგნატე თუმანიშვილის (თუმანოვის) მიერ, რომელიც საქართველოს მეფის კარზე მდივანბეგად იყო და 1801 წელს კნორინგის მიერ დროებით შეყვანილ იქნა მმართველობის აპარატში. სამწუხაროდ, საბუთში მოყვანილი არ არის კომლთა რაოდენობა და მათზე დადებული გადასახადი, მხოლოდ დასახელებულია რომელი ფეოდალის გლეხებს რამდენი უნდა გადაეხადათ. ამ საბუთის შემდგენელი დაინტერესებული იყო იმით, თუ რამდენი კოდი პური უნდა აკრეფილიყო ხაზინის სასარგებლოდ. გადასახადი, როგორც აღვიშნეთ, ასეა დაკანონებული—ორი კოდი პური და ერთი კოდი ქერი კომლზე, მაგრამ რამდენი კომლია გადამხდელი, ვინ იხდის, ამაზე საბუთში არაფერია ნათქვამი. მუსლიმანურ პროვინ-

---

[5] საქ. ცენტ. სახ. არ., ფ. 16, საქ. № 33, № 31, გვ. 26, ფ. 254, საქ. № 184, 312, გვ. 124, 476, გვ. 8—10.

ციებში ეს გადასახადი დაწესებულ-დაკანონებული ყოფილა საერთოდ მთელ საზოგადოებაზე.

მოგვყავს ეს ნუსხა.

Выписка о подати, собирасмой с Карталинии и поступившей действительно в казну под названием Сурсат, полагая с каждой семьи по 3 коды—две части пшеницы и одна ячменю.

		Коды
1	С крестьян царевича Юлона. Карталинских, исключая живуших в горах	1080
2	С крестьян царевича Иоанна, и его же дворянских крестьян, исключая горских	840
3	С крестьян царевича Вахтанга, исключая горских	900
4	С крестьян католикосовых и дворян его же	540
5	С крестьян владельца Мухранского и дворян его же	300
6	С общих Амилахваровых и с собственных каждого из них крестьян, равно и с прочих Карталинских князьям, дворянам, царевичам и царицам принадлежащие	3128
7	С Цицианових, Джаваховых, Тархановых владении княжеских и дворянских крестьян	825
8	Сардаря Ивана Орбелианова, родственников его Барятовых вообще с Сомхетии с крестьян, дворянских и некоторых государственных крестьян	591
9	Живущих на Гатехили-хид-земот. Татар и Армян, равно и принадлежащих царицам и царевичам Татарских народов и Елов	1352
10	С Шулаверов сбор той-же подати сверх денежной и хлебной махты	600
11	С казахских татар и армян	9000
12	С шамшадильских татар и армян	3000
13	С бамбакских татар и армян	1500
	итого	23651

С шулаверов вместо правианту требуемо было иногда 1000 р. сер., иногда 2000 р. сер. деньги, а иногда более и менее.

ხელს აწერს ეგნატე თუმანოვი (თუმანიშვილი)[6].

ასეთივე ნუსხა (იმავე წლის) მოგვეპოვება კახეთიდან აკრეფილი სურსათისა. სურსათის გადასახადი, როგორც ამ საბუთიდან ჩანს, აკრეფილია 1802 წლის მაისიდან ნოემბრამდე:

	Сурсат	Коды
1	С Кизикских вообще	4398
2	Начиная от Гурджана до Карданахи и с владения Андроникових, называя Савачнадзе по ту́ и по сю стороны	1707
3	От деревни Жимита до деревни Булачаури	2019
4	От деревни Чумлака до реки Тура	2023
5	От деревни Руиспира до деревни Писанета	1770
6	От деревни Матан до деревни Гаваза	2975
7	От татарских кахетинских елов	1650
	итого	16542

ზემომოყვანილი საბუთი მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმ მხრივაც, რომ აქ ჩამოთვლილია სოფლები, საიდანაც აკრეფილია სურსათი, რასაც სხვა საბუთებში ვერ ვხვდებით. საბუთებში ჩვეულებრივად ნაჩვენებია მთელ მაზრაში აკრეფილი გადასახადის საერთო რაოდენობა. ხშირად მოცემულია მთლიანად აღმ. საქართველოში აკრეფილი პურის რაოდენობა, რომელშიც სურსათს გარდა პურეულით დაწესებული სხვა გადასახადებიც შედის. ჩვენ მიერ მოყვანილ საბუთში, როგორც დავინახეთ, ჩამოთვლილია თითოეული სამფლობელოს მიხედვით გადასახდელი სურსათის რაოდენობა. რუსული მმართველობა, როგორც ჩანს, ცდილობს დააზუსტოს ყმა გლეხებზე დადებული გადასახადების მოცულობა.

ჩვენ მოგვეპოვება უფრო გვიანდელი, 1811 წლის უმაღლესი სახაზინო ექსპედიციის ნუსხა, სადაც ჩამოთვლილია მაზრების მიხედვით მთელი რიგი სოფლები, რომლებშიც მოსახლე ყმა გლეხობას ევალება სურსათის გადახდა. ყველგან, სადაც სურსათის გა-

---

[6] საქ. ცენ. ს. ს. ა., ფ. 16, საქ. № 31, 33; Акты КАК, I, საქ. № 158. სურსათის შესახებ საბუთები გამოქვეყნებულია მასალებში საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, შ. ხანთაძის მიერ, თბილისი, 1955.

დასახადზეა ლაპარაკი, მისი სახე განსაზღვრულია: ორი კოდი პური და ერთი კოდი ქერი კომლზე, სულერთია, იქნება ეს სახაზინო, საბატონო თუ საეკლესიო გლეხი. ამ საბუთის მიხედვით სურსათის გადასახადი აკრეფილა:

	პური	ქერი
	კოდები	
თბილისის მაზრასა და ბორჩალოს დისტანციაში	3531	1765 კოდი 5 ლიტრი
გორში	426	213
გორის მაზრაში	3632	1816
ანანურის მაზრაში	1384	692
თელავში	296	148
თელავის მაზრაში	5638	2819
სიღნაღში	540	270
სიღნაღის მაზრაში	6380	3190
შამშადილის დისტანციაში	2000	1000
ბამბაკში	1000	500
სულ	24827	12413 კოდი 5 ლიტრი

ჩვენ მოგვეპოვება აგრეთვე 1841 წლის საბუთი, რომელშიც-ისევე როგორც ზემოთ განხილულ საბუთში აღწერილია მაზრებ-ის მიხედვით საქართველოს მცხოვრებთაგან აკრეფილი სურსათის რაოდენობა[7].

	პური	ქერი
	კოდები	
თბილისიდან	86	43
თბილისის მაზრიდან	2056	1028
დუშეთის მაზრიდან	1848	924
ბორჩალოს ყოფილი დისტანციიდან	4314	2157
გორიდან	432	216
გორის მაზრიდან	4464	2233
თელავიდან	334	167
თელავის მაზრიდან	5450	2725
სიღნაღიდან	590	295
სიღნაღის მაზრიდან	6635	3365
სულ	26209	13153

სათანადო საბუთების შესწავლა ამტკიცებს, რომ მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე გადასახად სურსათის მოცულობა კომლობრივად უცვლელი რჩება. როდესაც სურსათის სახეს ვეხებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსული მმართველობა ცდილობდა ამ გადასახადისათვის ფულადი სახე მიეცა, მაგრამ ამის განხორციელება

[7] სჰ. ც. ს. ს. ა., ფ. 254/99, საქ. № 1498.

ამიერკავკასიაში შექმნილი საგარეო და საშინაო პირობების გამო შეუძლებელი აღმოჩნდა. ჩვენ მოგვეპოვება 1802 წლის „სურსათის“ აკრეფის წესები, რომელთა შემოღებასაც ფიქრობდა მთავარმართებელი პაველ ციციანოვი.

„Правила на сбор в Грузии за 1802 год, под названием сурсат, хлебной подати. 1) Поелику подать сурсат хотя собственно значит сбор для войск провианта, но не есть однакож чрезвычайная или по случаю собираемая, как-то: Салеко (для лезгин), Сарусо (для русских) и проч., одна только из общественных или поголовных податей, всегда собиралась в Грузии на необходимые нужды государственные; то и ныне обращая подать сию на сей же предмет по прежнему положению, по которому вниманию оной подлежат все без изъятия купцы, промышленники, ремесленники, земледельцы и прочие состояния всех племен обитателей Грузинских, кроме Осетинцев и др., в горах живущих... от них вместо хлеба деньгами или скотом либо другими родящимися у них произведениями. 2) Положение Сурсата, по примеру прежних во время правления царей в Грузии постановленный, определяется и ныне с каждого комли, т. е. дыма или семьи, по две коды пшеницы и по одной ячменя, считая коду в 220 стиль. Сверх того накладка саясауло или для сборщиков на каждую коду по одной литре, что составит всего с дыму 3 литры каждая в 22 стиля, а на российский вес, полагая в фунте $2^1/_2$ стиля, причитается всего с дыму 7 пудов 10 фунт. Более сего при сборе сем никому и ни за что не брать и не требовать, под опасением строгого по законам взыскания, а дабы в точности был известен сей установленный вес, розданной печатью вымерки и вивески коде, литре, пуду—и десяти-фунтовку,.. и т. д....

„...8) Буде сами обыватели какого селения или части онаго в общем счете пожелают, во избежании затруднений в перевозке и отдаче положенного хлеба на своем страхе, вместо того внести в казну деньгами, то сие им позволяется с положением цены по прежнему установлению за каждую коду по 1 рублю, а за литру в 22 стиля по 10 коп. серебряною грузинскою монетою, с тем однакож, чтоб деньги сие вносимы

были определенным к сбору чиновникам, непременно в тот же срок, какой положен для взноса хлеба"[8].

ამიერკავკასიაში მდგომ ჯარს არ ყოფნიდა საგადასახადო პური. მთავრობა იძულებული იყო ნებით თუ იძულებით შეესყიდა სურსათი მოსახლეობისაგან. ამრიგად, სურსათისათვის ფულადი სახის მიცემა ვერ განხორციელდა. თვით ციციანოვი, დარწმუნდა რა, რომ მისი განზრახვა ვერ განხორციელდებოდა, 1803 წლის ერთ-ერთ საბუთში გრაფ კოჩუბეის სწერს: „Здешнее правительство вместо хлеба взимало иногда подать сию деньгами, полагая за коду пшеницы по одному рублю, иногда по 70 к. а за ячмень 40 коп., но привести сей доход натурою в единообразную известность и превратить в деньги, я усомнился, поелику в исполнении высочайших предписании, предместнику моему данных, повелено превратить в деньги из подати хлебной остающееся только количество от продовольствия войск, в Грузии находящихся. А как всего собранного хлеба не достает и на половину продовольствия войск на лицо состоящих, то оставил я подать хлебную натурою до времени в прежнем ее виде"[9].

როგორც ზემომოყვანილი საბუთებიდან დავინახეთ, ნატურალური სახე შეინარჩუნა სურსათმა 1845 წლამდე. სურსათის გადასახადისაგან, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო გადასახადებისაგან, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან არავინ არ თავისუფლდებოდა. გაუქმებულ იქნა ამა თუ იმ პირთა გადასახადებისაგან განთავისუფლების თუ შეუვალობის შესახებ საქართველოს მეფეთა /მიერ ნაბოძები სიგელები[10].

სურსათის გადასახადისათვის პასუხისმგებლობა მებატონეს ევალებოდა. თუ ყმა სურსათს ვერ, ან არ გადაიხდიდა, ამ შემთხვევაში ხაზინა გადასახადს მებატონეს ახდევინებდა.

1807 წლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ:

„უზენაესს საქართველოს მმართველობის კაზენის ექსპედიციასა შინა თავადის მაღალოვის მოხსენება.

ჩემნი ყმანი სამნი კომლნი დიდი ხანია ჩემი ყმობიდამ თავდახსნილობით თავისუფალნი არიან და რომლითაც დავთართ გლეხთ სურსათი აწერიათ ის თავდახსნილნი ჩემნი კაცნიც მას

---

[8] Акты КАК, II, საქ. № 4, გვ. 7.

[9] Акты КАК, II, საქ. № 40, გვ. 31.

[10] Акты КАК, III, საქ. № 20, გვ. 7—8.

რიცხვსა შინა სწერავენ. და აქ ტფილისშიაც ცხოვრობენ. და ახლა მე ქართლში გახლდი და შემოსულან ჩემს სახლში და იმ კაცების წილი სურსათი ჩემთვის წაურთმევიათ. გთხოვთ ამაზედ კმაყოფა მომცეს. იმ საქმეზედ ამას წინათ ერთი არზაც მივართვი იმავ ექსპედიციას და არცამარა კმაყოფილი პასუხი სექდემბერს, დ, წელსა ჩყზ. მაღალოვი“ [11].

მსგავს შემთხვევას ეხედავთ იმავე წლის სხვა საბუთებშიც [11]. ასეთ შემთხვევებში სახაზინო ექსპედიცია ასკვნის, რომ საქმის საბოლოო გამოძიების შემდეგ საბატონო გლეხები გადაწერილ უნდა იქნენ სახაზინო გლეხთა სიაში, ხოლო შემდეგ ეხსნებოდათ მებატონეებს სურსათის გადასახადი [11]. ამასთანავე, თუ მებატონე გაათავისუფლებდა ან გაჰყიდდა გლეხს, გლეხი მაინც ვალდებული იყო ახალ აღწერამდე ეხადა გადასახადი სახელმწიფოსათვის (იგულისხმება, რასაკვირველია, თუ ხელი მიუწვდება მებატონეს გლეხზე), თუ მებატონეს გლეხი გაექცეოდა, ამ გლეხის სურსათს ხაზინა მებატონეს თხოვდა იმ დრომდე, სანამ ხელახლა ხალხის აღწერა არ მოხდებოდა. 1813 წლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ:

„უზენაესს საქართველოს კაზონის ექსპედიციასა შინა. თავადის იოვანე ბარათოვის მიერ თხოვნა:

ჩემმა სიდედრმა კნეინა ნინომ თავის მკვიდრ ყმას ტერ-ფეჩხუაშვილს ხარაზ გიქუას თავი დაახსნევინა გუბერნიის გახსნის შემდგომ, და რადგან თავდახსნამდინ მარადის სახელმწიფოს სურსათს აძლევდა ჩვენ კაცებთან, და დღესაც მაგის სურსათი ჩვენ გვეთხოვება. საქართველოში მრავალნი არიან ამგვარად თავდახსნილნი და გაყიდულნიც, მაგრამ სახელმწიფო სურსათისაგან კი ვერ გათავისუფლდებიან, როდესაც სახელმწიფო სურსათი შესწერდებათ და თავიანთ მებატონეთ ეთხოვებათ, იმ თავდახსნილს თუ გაყიდულ კაცთ თავიანთ ხვედრ სურსათს შეახვდენენ და სახაზინოთ მიაცემინებენ მანამდის მეორე აღწერა მოხდება. იმ ხსენებულს კაცის სურსათისათვის ჩემს სიდედრს გამოერთვა ოთხი თუმანი და რამდენიმე მინალთუნი თეთრი ფული. ეს კაცი რომ ვერ ჩაიგდეს ხელში, ამის გულისათვის იმას გამოართვეს და ამ თეთრზე იმავე ექსპედიციას ებრძანებია პოლიციისათვის ეს ხსენებული თეთრი გამოერთვას ტერ-ფეჩხუაშვილებს და მიეცეს ჩემს სიდედრს რომელ ამ ჟამამდინ ჯერაც არ მისცემია. ეკითხოს სადაც..... რომელიც კაცს გაჰყიდის ანუ თავს დაახსნევინებს სახელმწიფოს სურ-

---

[11] საქ. ცენ. ს. ს. ა, ფ. 254, საქ. № 102, გვ. 6—8.

სათს მისცემს ანუ არა მეორედ აღწერამდინ უმდაბლესად ვითხოვ სადაც ჯერ იყოს ებრძანოს, რომ სახელმწიფო სურსათიც გამოერთვას და ხსენებული თეთრიც, რომელიც ჩემს სიდედრს გამორთმეული.

თავადი იოანე ბარათოვი“ [13].

ამ გარემოებას აღნიშნავს პროფ. გ. გოზალიშვილი ნარკვევში: „გლეხთა მდგომარეობის ისტორიის მასალებიდან მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში“. იგი წერს: „ყმა, მიიღებდა რა თავდახსნილობის სიგელს, უნდა გამორიცხულიყო მებატონის ყმათა რიცხვიდან და მიჰკუთვნებოდა სახელმწიფო ყმათა რიცხვს, მაგრამ სინამდვილეში საქმე ცოტა სხვანაირად იყო. თავდახსნილი ყმა ბატონის ყმათა სიიდან ვერ ამოიშლებოდა იმ დრომდე, ვიდრე ხალხის ხელახალი აღწერა არ მოხდებოდა და მებატონეს მისგან უკვე თავგამოსყიდულ ყმაზედაც ეთხოვებოდა გადასახადი, ე. წ. „სურსათი“. რასაკვირველია, მებატონე თავის ბელლიდან არ მისცემდა ყმის მაგიერ გადასახადს და ეს ყოფილი ყმა, ან თავდახსნილი მოქალაქე, იძულებული იყო ესეც ეხადა სახაზინო გადასახადთან ერთად“ [13].

სახაზინო გლეხი, რომელიც ქალაქში ცხოვრობდა და იხდიდა სხვა საქალაქო გადასახადებთან ერთად მახტასა და მალს, თავისუფალი იყო სურსათის გადასახადისაგან. ამის დასამტკიცებლად ჩვენ მრავალი საბუთი მოგვეპოვება [14]. სხვა მდგომარეობაში იყვნენ საეკლესიო და საბატონო გლეხები, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის სხვა მცხოვრებთა მსგავსად იხდიდნენ საქალაქო გადასახადებს, სურსათის გადასახადისაგან არ თავისუფლდებოდნენ. ისინი არ იხდიან მახტას. ამ კატეგორიის გლეხთა სათანადო მდგომარეობა საბოლოოდ დაკანონდა 1823 წელს უმაღლესი ბრძანებით, სადაც აღნიშნულია: „...Крестьяне помещичьи и церковные, платя в казну особую хлебную подать сурсат, должны быть изъяты от махты, не менее того однакож, по жительству их в городе об-

---

[13] საქართველოს არქივი, II, თბილისი, 1927, გვ. 11.

[13] იქვე, გვ. 7.

[14] იქვე, გვ. 11—12.

язаны, так как и прочие жители участвовать в общественных городских повинностях и вместе с другими давать определенный для того каждогодную масраф"[15].

სურსათის აკრეფა ევალებოდათ სახელმწიფო მოხელეებს (ჯერ მოურავებს, ხოლო შემდეგ საერობო ისპრავნიკებს). მათ გადასახადის ასაკრეფად სახაზინო ექსპედიცია აძლევდა სათანადო მითითებებსა და ნუსხებს[16]. საერობო ისპრავნიკებს ევალებოდათ აკრეფილი სურსათი საპროვიანტო დეპოში ჩაებარებინათ, რის შემდეგაც პროვიანტმეისტერების მიერ დამოწმებული ბარათები ჩაბარებული სურსათის რაოდენობის შესახებ საერობო ისპრავნიკებს სახაზინო ექსპედიციისათვის უნდა წარედგინათ. სახაზინო ექსპედიცია ადგენდა სახელმწიფო შემოსავალ-გასაელის ნუსხას[16].

ამრიგად, გადასახადი სურსათი XIX საუკუნის 40-იან წლებამდე, ისევე როგორც მე-19 საუკუნემდე, სახელმწიფო გადასახადია და პურეულზე დადებულ სხვა გადასახადებთან ერთად ხაზინისათვის იკრიფება. 1845 წლამდე გადასახადის სახე და მოცულობა უცვლელი დარჩა. სურსათს ერთნაირად იხდის საქართველოს გლეხობა, იქნება გლეხი სახაზინო, საბატონო თუ საეკლესიო (ორი კოდი პურისა და ერთი კოდი ქერის რაოდენობით). გამონაკლისს შეადგენენ ქალაქში მცხოვრები სახელმწიფო გლეხები, რომლებიც მახტასა და მალს იხდიან. სურსათის გადასახადი ევალებათ სოფლად მცხოვრებ ვაჭრებსა და ხელოსნებსაც[17]. სურსათს საერობო ისპრავნიკები კრეფდნენ. გადასახადი ძირითადად ნატურალურია, მაგრამ არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც მას ფულით იხდიან (მუსლიმანური მოსახლეობის ნაწილი). სურსათი, სხვა პურეულზე დადებული გადასახადების მსგავსად, ჯარის გამოსაკვებად იკრიფებოდა. იგი უკვე აღარ წარმოადგენს ამ მიზნისათვის გან-

---

[16] Полное собрание законов Российской Империи, т. 38, გვ. 763—766.

[17] საქ. ცსსა, ფ. 16, საქ. № 1615, ფურ. 11—17, 116—117.

[17] Акты КАК, II. д. № 4, стр. 7.

კუთვნილ ერთადერთ გადასახადს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნემდე.

მე-19 საუკუნეში, როგორც წინათ, საქართველოში იკრიფებოდა გადასახადი კოდის-პური. რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ, კოდის-პურის გადასახადი უცვლელად იქნა დატოვებული. მისი სახე ნატურალური დარჩა (პურეულით იკრიფებოდა). უცვლელი დარჩა ამ გადასახადის მოცულობაც (კომლზე 4 კოდი პური იყო დაწესებული).

ჩვენს ხელთ არის რუსული მმართველობის გახსნამდე არსებული 1801 წლის კახეთის ანგარიში[18]. ამ ნუსხაში მოცემულია ქიზიყის ანგარიში. ნუსხა შედგენილია ადგილობრივი მოხელეების მიერ. საბუთის მიხედვით, ქიზიყის მცხოვრებთაგან 1801 წლის 29 აგვისტოს მოუთხოვიათ ორი ათასი კოდი პურის გადახდა. აუკრეფიათ სულ $1732^1/_2$ კოდი, აუკრეფავი დარჩენილა $167^1/_2$ კოდი. აკრეფილი გადასახადის ნაწილი მოხელეებისათვის ჯამაგირად გაუცია. სახლთხუცესსა და მდივნებს წესისამებრ ეკუთვნოდათ 200 კოდი. ექვსი კოდი ეშიკაღასბაშისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო ნაცვალს, მეფე გიორგის განწესებისამებრ, უბოძეს 24 კოდი. გადასახადის ამკრეფს ყოველ ოც კოდზე ერთი კოდი თავის სასარგებლოდ უნდა აეღო (ე. ი. 100 კოდი). პროვიანტმეისტერსაც 262 კოდი მიუღია. ე. ი. მოხელეთა ჯამაგირზე დახარჯულა სულ 594 კოდი. გიორგი მეფის ბარათის ძალით (წყალობით), თუ ლაზარევის ბრძანებით, აკრეფილი პურის რაოდენობიდან ზოგიერთ პირთათვის მიუციათ პური ან გარკვეული სამსახურის საფასურად ან წყალობის სახით. ნაწყალობევთა შორის არიან სასულიერო წოდების წარმომადგენლებიც. ხშირად წყალობა ეძლეოდათ მონასტრებს. მონასტრებისათვის მიცემული პურის რაოდენობა $281^1/_2$ კოდს უდრის. მაშასადამე აკრეფილი $1732^1/_2$ კოდი პურიდან ხაზინაში შესულა 857 კოდი პური. ზოგი სოფელი, მოუსავლობის გამო, კოდის-პურის გადასახადისაგან გაუთავისუფლებიათ, ხოლო ზოგი შეღავათებით იხდიდა ამ გადასახადს. საბუთში არ არის მოცემული კომლებზე აკრეფილი კოდის-პურის რაოდენობა. აქ მხოლოდ მოყვანილია, თუ რომელ სოფელს რამდენი კოდის გადახდა ევალებოდა და რამდენი ჩამოუკლეს. სოფლებზე დადებული და აკრეფილი კოდის-პურის გადასახადი შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

---

[18] საქ. ცს. ს. ს. ა, ფ. 16. საქ. № 33.

	სოფლები	მოთხოვნილი კოდის-პურის რაოდენობა	შეღავათები	აკრეფილი კოდის-პური
1	მირზაანი	298 კოდი	114 კოდი	184 კოდი
2	მეჩხაანი	307 ჯ.	$153^1/_2$ ჯ.	$153^1/_2$ ჯ.
	ნაღარო	407 ჯ.	$203^1/_2$ ჯ.	$203^1/_2$ ჯ.
4	ჯუგაანი	207 ჯ.	$103^1/_2$ ჯ.	$103^1/_2$ ჯ.
5	საკობია	237 ჯ.	$118^1/_2$ ჯ.	$118^1/_2$ ჯ.
6	ვაკირი	42 ჯ.	—	42 ჯ.

ამ საბუთშივეა მოთავსებული 1801 წელს მარტყოფში აკრეფილი კოდის-პურის რაოდენობაც, რომლის მიხედვით მარტყოფზე 250 კოდი პური ყოფილა დაწესებული. მთავრობას 125 კოდის პურის აკრეფა გადაუდვია სამმართველო აპარატის გახსნამდე, ხოლო დანარჩენი 125 კოდიდან — მდიანს 25 კოდი აუღია, ნაცვალს 5 კოდი, ხოლო გადასახადის ამკრეფთ $29^1/_2$ კოდი. გარდა ამისა, მთავრობას სოფლისათვის ჩამოუკლია გადასახდელი $9^1/_2$ კოდი. ლაზარევის ბრძანებისამებრ ამ გადასახადიდან დავით ბირთველს მიეცა 40 კოდი პური. წყალობა გაუცია მეფე გიორგისაც, რის გამო 16 კოდი პური აუკრეფელი დარჩენილა[19]. ზემომოყვანილი საბუთების მიხედვით, მოხელეებს გასამრჯელო კოდის-პურის გადასახადისაგან მისცემიათ, რასაც ჩვენ გადასახად „სურსათის“ აკრეფის დროს ვერ ვხედავთ. საფიქრებელია, ამან მისცა საბაბი სენატორ განს კოდის-პური შემდეგნაირად განემარტა: „Кодиспури в переводе значит хлеб, взимемый с коды и есть хлебная подать, которую брали с некоторых только значительных селений Тифлисского, Сигнатского и Телавского уездов, вероятно в пользу управителей, за упразднением коих при российском правительстве обращена в казну“[20].

ეს განმარტება მცდარია. კოდის-პური საერთოდ სახელმწიფო საჭიროებისათვის იკრიფებოდა და მასში მოხელეთა ჯამაგირიც იგულისხმებოდა. მოხელეთა სარგოს რომ კოდის-პურის გადასახა-

---

[19] საქ. ც. ს. ც. ა. ფ. 16, საქ. № 33.

[20] ЦГИАЛ, Ф. Кавказского Комитета № 1268, д. № 1706, стр. 21.

დიდან შემოსული შემოსავლით იხდიან, ეს 1811 წლის მასალებიდანაც ჩანს [21].

კოდის-პური ნატურის სახით იკრიფება რუსული მმართველობის დაწესების შემდეგაც. ჩვენს ხელთ არის 1802 წლის მაისიდან ნოემბრამდე კახეთში აკრეფილი კოდის-პურის ნუსხა [22]. კოდის-პური იქ ნატურალური სახით იკრიფება. ნუსხაში ჩამოთვლილია კოდის პურის-გადამხდელი სოფლები.

ქიზიყის სახელმწიფო გლეხებიდან, წმინდა ნინოს გლეხთა გამოკლებით	2040 კოდი
მარტყოფიდან	340 კოდი
საგარეჯოსა და პატარძეულიდან	360 კოდი
კალაურიდან	140 კოდი
შაშიანიდან	80 კოდი
ქვემო ხოდაშნიდან	30 კოდი
სულ	2990 კოდი

მართალია, აქ მოყვანილი არ არის კომლების რაოდენობა, მაგრამ ჩანს, რომ გადასახადი მთელ რიგ სოფლებზე ნატურის სახით ყოფილა დადებული. 1811 წლის საბუთში, სადაც მოყვანილია თელავისა და სიღნაღის მაზრის სოფლებზე დადებული გადასახადი, აღნიშნულია, რომ კომლზე ოთხი კოდი პურია დაწესებული [23].

საქართველოს უმაღლესი მთავრობის სახაზინო ექსპედიციის სარგოს დავთარი

სახელმწიფო გლეხებზე გაწერილი კოდის პურის ნუსხა, კომლზე ოთხი კოდი პურის რაოდენობით

1811 წლის სარგოს მიხედვით ხაზინაში უნდა შემოვიდეს

თელავის სოფლებიდან	კოდი	ლიტრი
მარტყოფი და ნორიო. 175 კომლიდან 700 კოდი, მაგრამ წლიურ სარგოს გამოაკლდება ქათალი-კოსისათვის ნახევარი, მოურავისათვის მეათედი და ნაცვლისათვის შვიდი კოდი. ხაზინაში შევა	308	—

[21] საქ. ცენ. ს. ა. ფ. 16, საქ. 31, გვ. 26; ფ. 254, საქ. № 199; 311; ფ. 254/99, საქ. № 1498.

[22] საქ. ცენ. ს. ა. ფ. 16, საქ. 31, გვ 26.

[23] იქვე, გვ. 26.

თელავის სოფლებიდან	კოდი	ლიტრი
სართიჭალაში მცხოვრები 20 კომლიდან 80 კოდი. აქედან მოურავს მეათედი, ხოლო ნაცვალს 5 კოდი. ხაზინისათვის აიკრიფება 67	67	
საგარეჯო, გორიწმინდა, პატარძეული, ბერთუბანი. 129 კომლიდან 258 კოდი. აქედან ნახევარი კათალიკოსს, ხოლო მოურავს მეათედი ორ ნაცვალს ოთხ-ოთხი კოდი და 6 ლიტრი [24]. ხაზინის სასარგებლოდ	223	
მაღრანი. 11 კომლიდან 44 კოდი. მოურავს მეათედი	40	
ფშავის-ბოლო. 25 კომლიდან	100	
ნაქალაქევი 8 კომლი	32	
ენისელი. 60 კომლიდან 240 კოდი. მოურავს მეათედი, ხოლო ნაცვალს ოთხი კოდი	212	
სანავარდო 48 კომლიდან 192 კოდი, აქედან მოურავს მეათედი, ხოლო ნაცვალს ოთხი კოდი	168	8
კუპატანი. 40 კომლიდან 160 კოდი, აქედან დაწესებულია მოურავისა და ნაცვლის სარგო ცხრა კოდი	151	
ჩიქოანი. 15 კომლიდან 60 კოდი, აქედან მეათედი მოურავს, ნაცვალს ოთხი კოდი	50	
გავახი. 70 კომლიდან 280 კოდი. აქედან მოურავს მეათედი, ხოლო ნაცვალს ოთხი კოდი	248	
თიანეთი. 50 კომლიდან 200 კოდი. აქედან მეათედი მოურავს, ხოლო ოთხი ნაცვალს	176	
მარილისი. 10 კომლიდან	40	
ქისტაური. 14 კომლიდან 56. აქედან მოურავს მეათედი	50	4

[24] მესამე პუნქტში ჩვენ შემდეგი შესწორება შეგვაქვს: დასახელებული სოფლების 129 კომლიდან უნდა აკრეფილიყო 516 კოდი ხორბალი ნაცვლად დასახელებული 258 კოდისა, ხოლო მას შემდეგ, რაც კათალიკოსი თავის სარგოს მიიღებდა, რჩებოდა 258 კოდი. აქედან მოურავს ეძლეოდა მეათედი, ხოლო ზემოდასახელებული ოთხ-ოთხი კოდი და 6 ლიტრი ორ ნაცვალს, რის შემდეგაც ხაზინის სასარგებლოდ, როგორც ეს საბუთშია ნაჩვენები, მართლაც უნდა აკრეფილიყო 123 კოდი ხორბალი.

თელავის სოფლებიდან	კოდი	ლიტრი
შალაური. 15 კომლიდან 60 კოდი. აქედან მოურავს მეათედი, ხოლო ნაცვალს 3 კოდი	51	
ტოგნიანი. 25 კომლიდან 100 კოდი. აქედან მეათედი მოურავს	90	
სოფელ ქვემო ხოდაშენიდან. 10 კომლიდან 40 კოდი. წლიური სარგოდან ნახევარი კათალიკოსს, მეათედი მოურავს, ერთი კოდი ნაცვალს	17	
კალაური. 55 კომლიდან 220 კოდი. წლიური სარგოდან ნახევარი კათალიკოსს, მეათედი მოურავს და $5^1/_2$ კოდი ნაცვალს	93	
შაკრიანი. 40 კომლიდან	160	
შაშიანი. 35 კომლიდან 140 კოდი. წლიური სარგოდან ნახევარი კათალიკოსს, მეათედი მოურავს და 5 კოდი ნაცვალს	58	
ვეფხისციხე. 15 კომლი	60	
სულ თელავის მაზრიდან	2395	

სიღნაღის მაზრა	კოდი	ლიტრი
ვაკირი 157 კომლიდან	628	
ფანიანი 18 კომლიდან	72	
ანაგა 97 კომლიდან	388	
მცირე საკობია 75 კომლიდან	300	
მაღარო 115 კომლიდან	460	
ნუკრიანი 40 კომლიდან	160	
პოტორი 17 კომლიდან	68	
დიდი საკობია 57 კომლიდან	228	
ზემო მაჩხაანი 95 კომლიდან	380	
ქვემო მაჩხაანი 50 კომლიდან	200	
წულუკანი 19 კომლიდან	76	
მირზაანი 68 კომლიდან	272	

სიღნაღის მაზრა	კოდი	ლიტრი
არბოშიკი 20 კომლიდან	80	
ჯუგაანი 55 კომლიდან	220	
პრასიანი 5 კომლიდან	20	
ქოთანი 5 კომლიდან	20	
ტიბაანი 24 კომლიდან	96	
ახანი 8 კომლიდან	32	
ველისციხე 100 კომლიდან 400 კოდი. აქედან წლიური სარგო მოურავს მეათედი	360	
მანავი 30 კომლიდან	120	
ყანდაური 40 კომლიდან 160 კოდი, წლიური სარგოდან ნახევარი კათალიკოსს	80	
სულ სიღნაღის მაზრიდან	4260	
სულ კაბეთიდან	6655	7

ასეთივე ნატურალური სახე აქვს კოდის-პურს 1841 წლის მასალების მიხედვითაც[25]. ამ საბუთში დანაწილება მაზრების მიხედვით ხდება და შესაბამისად შეტანილია პურის განაწილებაც. საბუთის მიხედვით კოდის-პური შემდეგ მაზრებში იკრიფება.

თბილისის მაზრა	308 კოდი	
თელავის მაზრა	2162 კოდი	2 ლიტრი
სიღნაღის მაზრა	4260 კოდი	

როგორც დავინახეთ, მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე კოდის-პურის გადასახადში ცვლილება არ მომხდარა. ამ გადასახადს იხდის აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობა. მე-19 საუკუნის მასალების მიხედვით კოდის-პურს იხდიდნენ მხოლოდ სახაზინო გლეხები[26], თუმცა, როგორც ჩვენი ნაშრომის პირველ თავში აღვნიშნეთ, მე-19 საუკუნემდე კოდის-პურის გადახდა ეევალებოდათ არა

[25] საქ. ცს. ს. ა. ფ. 254/99, საქ. № 1498.

[26] საქ. ცს. ს. ა. ფ. 254/99, საქ. № 1498; ფ. 16, საქ. № 31, გვ. 26; ფ. 254, საქ. № 199, გვ. 4; № 311.

შარტო სახელმწიფო, არამედ საბატონო გლეხებსაც. მხოლოდ საბაზინო გლეხებზე დადებულ გადასახადად იცნობს კოდის-პურს საბაზინო პალატის თავმჯდომარე ბეზაკი თავის საფინანსო პროექტში [27]. კოდის-პური რომ მე-19 საუკუნეში მართლაც მხოლოდ სახელმწიფო გლეხებზე დადებული გადასახადი იყო, ამას ამტკიცებს 1803 წლის სახაზინო ექსპედიციიდან დუშეთის მაზრის უფროსისადმი მიცემული მითითება, სადაც ვკითხულობთ: „С селений, поступивших во владение князей Эристовых, которые значились в прошлом (1802) году казенными, взыскать за тот только год подать Кодис-пури“ [28].

კოდის-პურს არ იხდიდნენ თბილისში, გორში და დუშეთში მცხოვრები სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო გლეხები (მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის არც ერთ საბუთში, სადაც საქალაქო გადასახადებია მოხსენებული, კოდის-პურის გადასახადი არ იხსენიება). კოდის-პურს იხდის გლეხობის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც პურეულის მეურნეობას ეწევა. ამ გადასახადის გაწერაში ცვლილებანი რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ არ უნდა მომხდარიყო.

კოდის-პურს, სხვა პურეულზე დაწესებული გადასახადების მსგავსად, კრეფდნენ სახელმწიფო მოხელეები—მოურავი, ნაცვალი და სხვ. და აბარებდნენ საპროვიანტო დეპოს [29]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, კოდის-პურის გადასახადში არსებითი ცვლილება მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში არ მომხდარა. რუსული მმართველობა მხოლოდ ცდილობს დააზუსტოს და გამოარკვიოს მისი რაოდენობა. მე-19 საუკუნეში ჩვენ არ ვხვდებით კოდის-პურისაგან „გათარხნებას“, ან კოდის-პურის „წყალობის“ შემთხვევას, რასაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნემდე. აკრეფილი კოდის-პური სახელმწიფოს ბარდება.

ჩვენ მიერ განხილული გადასახადები, როგორც დავინახეთ, ძირითადად ნატურით—პურეულით იკრიფებოდა, მაგრამ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა ისეთი გადასახადებიც, რომლებიც ზოგჯერ ნატურით და ზოგჯერ ფულადი სახითაც ანდა ნაწილობრივ ფულით და ნაწილობრივ ნატურით იკრიფებოდა. ასეთებია: ღალა, ყალანი, მახტა.

---

[27] საქ. ცენ. ს. ს. ა. ფ. 241, საქ. № 562, ფურც. 16.
[28] საქ. ცენ. ს. ს. ა. ფ. 254, საქ. № 19, ფურც. 107.
[29] საქ. ცენ. ს. ს. ა. ფ. 16, საქ. № 1615, ფურც. 84—91, 116—117.

ღალა, როგორც ამ ნაშრომის პირველ თავში გვქონდა გარკვეული, ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი უძველესი გადასახადია. მას იხდიან იმ მიწით სარგებლობისათვის, რომელზედაც გლეხი ეწევა მეურნეობას. ასეთად დარჩა ღალა მე-19 საუკუნეშიც (აღებულ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ სახაზინო მიწით სარგებლობას ვგულისხმობთ და არ განვიხილავთ იმ ღალას, რომელსაც მებატონის გლეხი უხდიდა ბატონს). ჩვენ მოგვეპოვება 1830 წლის საბუთი, რომელიც საყურადღებო ცნობებს შეიცავს ამ გადასახადის გარკვევისათვის. საბუთი წარმოადგენს გორის მაზრის ხაზინადრის მოხსენებას საქართველოს სახაზინო ექსპედიციის ეკონომიურ განყოფილებაში: „Во исполнение предписания... по отделению от 3-го сего ноября № 649-й Горийское уездное казначейство, по учинению с делами онаго и бывшего Комиссара Джораева, выправки, часть имеет донести, что вместо следуемой с жителей Горийского уезда, занимавшихся хлебопашеством на казенных землях, за 1827-й год хлебной недоимки 96 код пшеницы и $18^1/_2$ код ячменя поступило в сие казначейство, от онаго комиссара в 1830-ом году, при отношении его от 5-го генваря № 3-й с селения Швидис, за 50 код пшеницы по справочным ценам деньгами за коду по 1 р. 20 к. серебром 60 рублей. Да внесено им же в горийский правиантский магазин за тот-же 1827-й год, в число оной Галлы, 40 код пшеницы из ячменя, о принятии коего получена им квитанция за № 54-ом по донесении Казенной Экспедиции. В 1830-м году рапортами по донесении, генваря 6-го и февраля 13-го за № 5-м и 26-м с приложением при последнем квитанции; О поступлении же последней недоимочной галлы, 6 код пшеницы и $15^1/_2$ код ячменя. в правиантский магазин или в казначейство за оную деньгами из дел-же видно, а на запрос казначейства комиссар Джораев отозвался, что она приостановлена взысканием по Высочайшему манифесту и подлежит к сложению; о зачислении же недоимку за означенную галлу по справочным ценам деньгами вперед, до поступления в указе Казенной Экспедиции от 26-го апреля 1829-го года за № 3884-м сему казначейству... упомянуто а предписано по доставлении от него за ту Галлу деньгами, записать только на приход.

Казначей князь Джавахов“ [30].

---

[30] საქ. ც. ს. ს. ა. ფ. 254, საქ. № 99/858.

საბუთი მრავალმხრივ არის საყურადღებო: ღალას იხდიან სახელმწიფო მიწაზე მოსახლე გლეხები ხაზინის სასარგებლოდ. ისინი მარცვლეულის მეურნეობას ეწევიან. მათ ევალებათ ღალა პურეულით გადაიხადონ. მართლაც, მათ გადასახადის ნაწილი 1827 წელს გადაუხდიათ პურით, ხოლო დანარჩენი გადაუხდელი ნაწილი—ფულით. ამასთანავე, კოდი პური მთავრობის მიერ 1 მან. და 20 კაპ. ყოფილა შეფასებული. ღალას კომისიონერები კრეფდნენ და აბარებდნენ საპროვიანტო დეპოს, ხოლო როდესაც გადასახადი ფულით იკრიფებოდა—მაშინ თანხა ხაზინაში შედიოდა. ამ საბუთიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: ღალას იხდის ხაზინის სასარგებლოდ გლეხობის ის ნაწილი, რომელიც სახაზინო მიწაზე ეწევა მეურნეობას. ამდენად, ღალა სახელმწიფო ხაზინისათვის იკრიფება. მისი აკრეფის ორგანიზაციაც სახელმწიფო მოხელეებს ევალებათ. ღალას მე-19 საუკუნეში ვხვდებით როგორც ნატურალურ, ისე ფულადი სახის გადასახადად. ვფიქრობთ, რომ ღალის მოცულობა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნემდე, დადგენილი არ არის. 1816 წლის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით: „Гала—по Тифлисскому и Горийскому и Калань по Ананурскому уездам, суть денежные сборы хлеба с крестьян по качествам земли и урожая“ [31]. მეორე საბუთის მიხედვით კი „Галла есть не окладная хлебная подать, под именем коей взимаются десятая часть урожая с посевов произвольных на казенной земле“ [32]. ასეთივე სახე აქვს ღალას მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე [33]. ამრიგად, ღალა წარმოადგენს სახელმწიფო გადასახადს, რომელიც ძირითადად ნატურით იკრიფება, მაგრამ ვხვდებით ღალის ფულად სახეობასაც.

ყალანიც, ისევე როგორც ზემოჩამოთვლილი გადასახადები, ერთ-ერთი უძველესი გადასახადია. მე-19 საუკუნისათვის იგი უმთავრესად საქართველოს მთიან რაიონებშია შემორჩენილი. ბეზაკი თავის პროექტში ყალანს ახასიათებს ისეთ გადასახადად, რომელსაც დუშეთის მაზრის ზოგიერთი სოფელი იხდის. ეს სოფლები იხდიან სურსათის გადასახადსაც [34]. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების ცნობით, მთაში ძველთაგანვე არსებობდა გადასახადი ყალანი. იგი წარმოადგენდა გლეხის საკომლო მიწაზე დაწესებულ გადასახადს. გადასახადში შედიოდა ხორბალი, ქერი, თივა, საკლავი საქონელი და სხვ [35]. ამ ცნობის საფუძველზე ჩვენ დავასკვნით:

---

[31] Акты КАК, V, ч: II, № 327, стр. 265.
[32] ЦГИАЛ. Ф. Кавказского Комитета. 1268, д. № 170-б, л. 19.
[33] Акты КАК, X, № 65, стр. 79; № 75, стр. 103.
[34] საქ. ცენ. ს. ა, ფ. 241, საქ. № 562, გვ. 17.
[35] Акты КАК, т. VII, стр. 348, д. № 298.

ყალანი თუ საერთოდ გლეხის მიწაზე დადებული გადასახადია, მაშინ ეს გადასახადი ევალებოდა ყველას, ვინც საკომლო მიწით სარგებლობდა. ყალანი ნატურალური გადასახადიც იყო. 1809 წლის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, ყალანი ანანურის მაზრის გლეხობისაგან იკრიფებოდა პურეულითაც. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ ზემომოყვანილი საბუთიც, აგრეთვე 1811—1812 წლების საბუთებიც. ყველგან აღნიშნულია, რომ ყალანი პურით იკრიფებოდა[36]. აქვე აღნიშნულია, რომ ყალანთან ერთად იკრიფებოდა მეორე ნატურალური სახის სახელმწიფო გადასახადი სურსათი. საბუთის მიხედვით: ანანურის მაზრის მცხოვრებთაგან უნდა აკრეფილიყო ყოველ წელიწადს სურსათი 2076 კოდი და ყალანი 1363 კოდი, სულ 3439 კოდი წელიწადში, ხოლო 1809 წლამდე, ხუთი წლის მანძილზე—1802, 1803, 1804, 1805, 1808 წლებში—17195 კოდი. აქედან 1806 და 1807 წლებში აკრეფილა სულ 497 კოდი და $6^1/_4$ ლიტრი პური[37]. ასეთივე პურეულით დაწესებულ გადასახადად ვხედებით ყალანს მე-19 საუკუნის 40-იან წლებშიც. სენატორი განი თავის პროექტში აღნიშნავს, რომ დუშეთის მაზრაში ამ დროისათვის აკრეფილა ყალანი 958 კოდი პური და 477 კოდი ქერი. ამრიგად, ყალანი 1843—1845 წლების საფინანსო რეფორმამდე პურეულის გადასახადად ჩანს. ბეზაკიც და განიც თავის პროექტებში ამ გადასახადს სახელმწიფო გლეხებზე დადებულ გადასახადად ასახელებენ. თუ ჩვენ მიერ ზემომოყვანილ ცნობასაც მივიღებთ მხედველობაში, გამოდის, რომ ყალანი საკომლო მიწაზე დადებული სახელმწიფო გადასახადია. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ცნობებში ყალანი საერთოდ სხვა გადასახადებთან ერთად არის მოხსენებული და არაფერია ნათქვამი მის მოცულობაზე. ვფიქრობთ, რომ ყალანის მოცულობა მიწის ფართობზე უნდა იყოს დამოკიდებული.

მეორე მხრივ, ჩვენ შოგვეპოვება აგრეთვე საბუთები, სადაც ყალანი ფულად გადასახადებს შორის იხსენიება. 1815 წლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „Денежные и хлебные недоимки, накопившиеся за 1813 и 1814-й годы, поступают весьма в малом количестве. То сообщить в Исполнительную Экспедицию дабы благоволила подтвердить всем местам и липам, ведающим казенными сборами о безотложном оных взыскании и представлении денег казначейство и хлеба в провиант-

---

[36] საქ. ცენტ. ს. ა., ფ. 16, საქ. № 1615, გვ. 2.

[37] იქვე, გვ. 2.

ские магазины, а в Казенную Экспедицию требуемых ею по 6-му пункту высочайшего манифеста и во исполнение вами его высокопревосходительства главнокомандующего в Грузии реестров и сведений о незаплаченных с 1813-го года податьях, денежных 1. махта, 2. малле, 3. кулухе, 4. сабалахо, 5. саагдгомо, сашобо, сакомло, калань, самасиндзло, саварделн и набади"[38]. ყალანი ფულად გადასახადად ჩანს ამავე ხანის (1816 წ.) სხვა საბუთების მიხედვითაც[39]. ვფიქრობთ, რომ სოფლები, რომლებიც 1816 წელს ყალანს პურით იხდიან, ამ სახითვე იხდიდნენ მას 1845 წლამდე. ვითვალისწინებთ რა 1801 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულებას, რომელშიც ნათქვამია—„Сборы государственные в казну и особенно царскому дому принадлежащие привесть в такое положение, чтобы, все то, что кроме хлеба натурой прежде собиралось обращено могло быть в сбор хлебный по мере надобности онаго к продовольствию войск а остаток расчислить в подать денежную"[40], ვვარაუდობთ, რომ ყალანში შემავალი პროდუქტები და საქონელი ქცეულ იქნა ფულად გადასახადად, რაც უფრო ხელსაყრელი იყო სახელმწიფოსა და ახალი მმართველობისათვის (მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ გადასახადის ფულზე გადაყვანა მარტო მთავრობის სურვილზე არ იყო დამოკიდებული).

ყალანს, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო გადასახადებს, მოურავები და საერობო ისპრავნიკები კრეფდნენ[41]. მათ ევალებოდათ აკრეფილი პური საპროვიანტო მაღაზიაში, ხოლო ფული სამაზრო ხაზინაში ჩაებარებინათ, რის შემდეგაც საპროვიანტო დეპოდან მიღებული ბარათები საქართველოს უმაღლესი მთავრობის სახაზინო ექსპედიციისათვის უნდა წარედგინათ[41].

ამრიგად, მე-19 საუკუნეში ყალანი აღარ წარმოადგენს ძველ გადასახად ყალანს. მას ამ დროისათვის მხოლოდ მთიან რაიონებში ვხვდებით. ყალანი ნაწილობრივ ფულად გადასახადად არის ქცეული და მთავრობა ცდილობს ეს გადასახადი სახელმწიფოს ახალ მოთხოვნებს დაუქვემდებაროს.

გადასახადი მახტა, როგორც პირველ თავში იყო აღნიშნული, საქართველოში არსებობდა მე-19 საუკუნემდე. მე-19 საუკუნის 40-იან

---

[38] საქ. ცენ. ს. ს. ა, ფ. 16, საქ. № 1615, გვ. 2; ფ. 16, საქ. № 31, გვ. 26.
[39] Акты КАК, V, ч. I, стр. 265, № 327.
[40] Акты КАК, I, стр. 434, № 548.
[41] საქ. ცენ. ს. ს. ა, ფ. 16, საქ. № 1615, გვ. 90—10.

წლებამდე მახტა ორგვარი სახით იკრიფებოდა: ფულით და ნატურით—პურეულით. პურადი მახტა, როგორც სხვა პურეულით დაწესებული გადასახადები, რუსულმა მმართველობამ უცვლელად დატოვა. მახტა პურადი სახით, როგორც ნაშრომის პირველ თავში გვქონდა გამორკვეული, უმთავრესად საქართველოს მოსახლეობიდან იკრიფებოდა. 1801 წლისათვის ყაზახთა დისტანციას უნდა გადაეხადა გადასახადი მახტა: 2/3 ხორბალი, ხოლო 1/3 ქერი—მთლიანად 433 ხალვარი ხორბალი და 216 2/3 ხალვარი ქერი (ხალვარი 10 კოდია), ე. ი. 4333 1/3 კოდი ხორბალი და 2166 2/3 კოდი ქერი. ბამბაკის დისტანციას კი ევალებოდა 194 2/3 სომარი ხორბლის და 97 1/3 სომარი ქერის გადახდა (სომარი—4 კოდი), ე. ი. 778 2/3 კოდი ხორბლისა და 389 1/3 კოდ ქერის გადახდა. მაგრამ ისინი იხდიდნენ მახტას ფულითაც[42]. პურადი მახტა იკრიფებოდა თბილისის მაზრის ზოგიერთ სოფლებსა და ბორჩალოს დისტანციაში. 1811 წელს ამ სოფლებში უნდა აკრეფილიყო 740 კოდი პური და 70 კოდი ქერი, ხოლო ამავე წელს ყაზახთა დისტანციაში 6500 კოდი პური[43]. საქართველოში პურადი სახის მახტა 1845 წლამდე იკრიფებოდა. ყველა საბუთში პურად მახტასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ იგი საზოგადოებაზე ყოფილა დაწესებული, ხოლო როგორ ნაწილდება გადასახადი ამ საზოგადოების წევრებს შორის, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. გადასახადი მახტა წელიწადში ერთხელ, მოსავლის აკრეფის დროს იკრიფებოდა. 1811 წლის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, მას დისტანციებში კრეფდნენ მოურავები, ხოლო მაზრებში საერობო ისპრავნიკები, მოურაობის გაუქმების შემდეგ კი მხოლოდ საერობო ისპრავნიკები[44]. ამრიგად, პურადი მახტა სახელმწიფო გადასახადია, რომელიც სხვა პურეულით დაწესებული გადასახადების მსგავსად საპროვიანტო დეპოს ბარდება[45].

მე-19 საუკუნეში ამავე სახელწოდებით ცნობილია ფულადი გადასახადი—ფულადი მახტა. როგორც პურადი, ისე ფულადი მახტა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იკრიფება და სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს. ფულადი მახტა იკრიფება ქ. თბილისში, თბილისის მაზრაში, ქ. გორში, გორის

---

[42] Акты КАК, I, стр. 480, № 575.
[43] საქ. ც. ს. ს. ა, ფ. 254, საქ. № 199. გვ. 4.
[44] ЦГВИА, ф. ВУА, д. № 607, гв. 93, гв. 1.
[45] საქ. ც. ს. ს. ა, ფ. 254, საქ. № 199, გვ. 4.

შაზრასა და თელავის მაზრაში[46]. მე-19 საუკუნეში მახტის გადახდა, ისევე როგორც მე-19 საუკუნემდე, ევალებოდათ ვაჭრებს, მოქალაქეებსა და სახელმწიფო გლეხებს[47]. საქართველოში რუსული მმართველობის შემოღებამდე ფულადი მახტისაგან განთავისუფლებული ყოფილან ქალაქში მცხოვრები სამეფო საგვარეულოს კუთვნილი გლეხები. ისინი განსაკუთრებულ გადასახადს, აგრეთვე მახტის სახელწოდებით, უხდიდნენ თავიანთ მფლობელს; ნახტისაგან გათავისუფლებული ყოფილა ქალაქის მცხოვრებთა ნაწილიც[48]. აღსანიშნავია, რომ აღა-მაჰმად ხანის შეჭრისევის შემდეგ, თვით მე-19 საუკუნის დამდეგამდე, მახტა აღ იკრიფებოდა[49]. საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ, როგორც ცნობილია, გაუქმებულ იქნა შეღავათები და თავისუფლების სიგელები. სხვა მოქალაქეთა და სახელმწიფო გლეხთა მსგავსად, მახტისაგან „გათავისუფლებულნი" რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ ვალდებული იყვნენ ეხადათ ეს გადასახადი[50]. მახტისაგან განთავისუფლებული იყვნენ საეკლესიო და მემამულეთა გლეხები, რომლებიც იხდიდნენ გადასახად სურსათს.

1804 წლის 23 სექტემბრის უმაღლესი ბრძანებულების თანახმად, მეფის ოჯახის წევრთა მამულები ხაზინას გადაეცა[51]. ამდენად ამ მამულში მცხოვრები გლეხებიც სახაზინო გლეხთა უწყებაში გადაირიცხნენ. მათგან აკრეფილი ბეგარა-გადასახადები სახელმწიფო ხაზინას ბარდებოდა. ამრიგად, ქალაქში მცხოვრები საუფლისწულო გლეხებიც ამიერიდან მახტის გადამსდელთა რიცხვში უნდა ჩაწერილიყვნენ. მახტას იხდიდნენ უცხოეთიდან საქართველოში, კერძოდ, ქალაქ თბილისში საცხოვრებლად გადმოსახლებულნი. როგორც ვხედავთ, საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ ქალაქ თბილისში მახტის გადამხდელთა რიცხვი უნდა გაზრდილიყო. თბილისში მახტა ხაზინის სასარგებლოდ 4000 მანეთის რაოდენობით იკრიფებოდა. სახელმწიფო შემოსავლის გადიდების მიზნით, საქართველოს მთავარმართებელმა ერმოლოვმა გამოჰყო კომისია, რომელსაც ევალებოდა დაედგინა გადასახადების შინაარ-

---

[46] ЦГИАЛ, Ф. 1268, Кавказский комитет, д. 170-6, л. 2.
[47] ЦГВИА, Ф. ВУА, д. № 607, л. 93.
[48] საქ. ცენტ. ს. ა, ფ. 254, საქ. № 145, გვ. 1.
[49] Акты КАК, I, № 353, გვ. 294.
[50] საქ. ცს. ს. ა, ფ. 254, საქ. № 145, გვ. 114—116.
[51] Акты КАК, II, № 139, გვ. 91.

სი. კომისიას ევალებოდა გაერკვია: ვის ევალებოდა გადასახადის გადახდა, რა რაოდენობით იქნა იგი ხაზინის სასარგებლოდ აკრეფილი, გადასახადის გადამხდელი მოსახლეობის რაოდენობა, რა ბოროტმოქმედება იქნა ჩადენილი გადასახადის ამკრეფთა მიერ. კომისიას ევალებოდა შეემოწმებინა ადგილობრივი გადასახადები. კომისიის მუშაობის მიზანი იყო დაედგინა სახელმწიფო შემოსავალგასავალი ქალაქ თბილისში [52].

კომისიის ძიების შედეგად გამოირკვა, რომ ერეკლე II-ის დროს ქალაქ თბილისში მოქალაქეთა 556 კომლი ვალდებული იყო 4000 მანეთი მახტა გადაეხადა. უფრო გვიან, ძნელბედობის გამო, თბილისში მოქალაქეთა რიცხვი საკმაოდ შემცირებულა და, მიუხედავად რუსული მმართველობის აქ დამყარებისა და შემდგომ შექმნილი ვითარებისა, 1817 წლისათვის თბილისში მოქალაქეთა მხოლოდ 416 კომლი მოსახლეობდა. მათ რიცხვში შედიოდა მოქალაქეთა 19 კომლი, რომლებიც გათარხნებულნი ყოფილან, ხოლო თარხნობის გაუქმების შემდეგ იხდიდნენ გადასახად მახტას. მოქალაქეთა რიცხვის ასეთი შემცირების გამო მათთვის სამძიმო გამხდარა 4000 მან. მახტის გადახდა, და ამიტომ მოქალაქეებს მახტა გადაუხდევინებიათ თბილისში ახლადდასახლებულ უცხოელთათვისაც. ახლადმოსულნი დარეჯან დედოფალს ეკუთვნოდნენ. ისინი დარეჯან დედოფალს გადასახლებამდე უხდიდნენ ყოველწლიურად 300 მანეთ გადასახადს მახტას სახელწოდებით. სწორედ მათთვის 1809 წელს მოქალაქეებს გადაუხდევინებიათ 363 მან. ვერცხლით. ეს თანხა მოქალაქეებისაგან აკრეფილ მახტას შეუერთდა და ხაზინას ჩაბარდა [52]. 1810 წელს მოქალაქეებმა „ახალმოსულებს" 693 მან. 90 კაპ. მახტა გადაახდევინეს.

მახტა, როგორც ეს პირველ თავში უკვე გამორკვეული გვქონდა, გარკვეულ საზოგადოებაზე ყოფილა გაწერილი. ასევე იკრიფებოდა იგი მე-19 საუკუნის დასაწყისიდან 1817 წლამდე. გადასახადს კრეფდნენ მოქალაქეთაგან არჩეული პირები ხუთიდანთორმეტამდე კაცის რაოდენობით. მათ ებარათ ნუსხები. ამ მოქალაქეებს ორი წლის ვადით ირჩევდნენ. ამორჩეული მოქალაქეები ანაწილებდნენ მოსახლეობაზე დაწესებულ თანხას და ყოველივეს აღნიშნავდნენ ნუსხებში. ორი წლის შემდეგ ამ ნუსხებს ახლადამორჩეულ მოქალაქეებს აბარებდნენ. ეს ამორჩეული მოქალაქენი პასუხისმგებელნი იყვნენ საზოგადოების წინაშე (საზოგადოების სურვილით მომხდარა მახტის გადასახადში სხვა წოდების წარმომადგენელთა შეყვა-

---

[52] საქ. ც. ს. ს. ა, ფ. 254, საქ. № 145, გვ. 114—161.

ნაც). აკრეფილი გადასახადი ხაზინას ბარდებოდა. გორელებსა და ავლაბრელებზე დაკისრებულ მახტას მოურავი კრეფდა[53]. გადასახადის ამკრეფთა ცნობების საფუძველზე შესაძლებელი ხდება დაახლოებით დადგენა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან 1817 წლამდე აკრეფილი მახტის რაოდენობისა. ზემოგანხილული საბუთის საფუძველზე ჩვენ შემდეგ ცხრილს ვადგენთ:

წლები	მ-საბლეობიდან აკრეფილი თანხა		ხაზინას ჩაბარდა		გადაუხდელი თანხა.		წინა წლების ნაშატი	
1802, 1803, 1804	7754 მ.	60 კ.						
1805—1806	8000 მ.	—					236 მ.	
1807—1808	6194 მ.	10 კ.			1805 მ.	90 კ.		
1809—1810	6700 მ.							
1811—1812	7178 მ.		5413 მ.	40 კ.				
1813—1814	7499 მ.	90 კ.	8000 მ.				502 მ.	25 კ.
1815—1816	8000 მ.	85 კ.	8000 მ.					

როგორც საბუთებიდან ირკვევა, გადასახადის აკრეფაში დიდ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, ეს კი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ყოველგვარი ბოროტმოქმედებისათვის. საქართველოს მთავრობის სახაზინო ექსპედიცია, რომელსაც ბარდებოდა აუკრეფელი თანხა, ამ მხრივ. გულგრილობასა და უყურადღებობას იჩენდა. იგი კმაყოფილდებოდა მოქალაქეების-მიერ აკრეფილი მახტით[54]. მთავარმართებელ ერმოლოვის მიერ გამოყოფილმა კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ, ვინაიდან მოქალაქეთა ქონებრივი შესაძლებლობა საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ გაიზარდა, ამიტომ გადასახადი მახტა, 4000 მან. რაოდენობით, დადებულ იქნას მხოლოდ მოქალაქეებზე. უცხო ქვეყნიდან თბილისში საცხოვრებლად ახლადგამოსახლებულებს, რომლებიც 1817 წლისათვის 609 კომლს შეადგენდნენ და 1810 წლიდან მოქალაქეებთან ერთად იხდიდნენ მახტას (4000 მან. რაოდენობით), მოქალაქეთაგან გან-

[53] საქ. ც. ს. ს. ა, ფ. 254, საქ. № 145, გვ. 14.
[54] საქ. ც. ს. ს. ა, ფ. 254, საქ. № 145, გვ. 160—161.

სხვავებით, დაედოთ 1800 მან. მახტა, რაც შეადგენდა დაახლოებით 3 მანეთს კომლზე. ამრიგად, ახლადგადმოსახლებულნი გადასახად მახტას მოქალაქეებთან ერთად აღარ იხდიდნენ. მახტა დაედოთ საუფლისწულო გლეხებსაც, რომელთა ნაწილი უფლისწულთა მამულების ხაზინისათვის გადაცემის შემდეგ (1804 წ.) არაფერს არ იხდიდა, ხოლო ნაწილი შედიოდა მოქალაქეებთან ერთად 4000 მან. მახტის გადამხდელთა რიცხვში. საუფლისწულო გლეხები 1817 წლისათვის თბილისში 931 კომლს შეადგენენ. კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რათა ამ კატეგორიის გლეხებზე დაედოთ მახტა 2800 მან. რაოდენობით, რაც შეადგენდა კომლზე 3 მან. ცოტა მეტს. მახტისაგან განთავისუფლებულნი უნდა ყოფილიყვნენ სურსათის გადამხდელი საეკლესიო და მემამულეთა გლეხები, რომელთა რაოდენობა თბილისში 1817 წლისათვის 1163 კომლს შეადგენდა [55]. გადასახადების აკრეფა უნდა მიმხდარიყო წელიწადში ორჯერ. იანვრიდან პირველ მარტამდე და ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე. გადასახადების გადაუხდელობის ორი კვირის შემდეგ „ნედოიმკა" პროცენტებით იკრიფებოდა. გადასახადს ნუსხების მიხედვით კრეფდნენ წოდებიდან ამორჩეული პირები. ისინი აკრეფილ თანხას სახაზინო ექსპედიციას აბარებდნენ. ამრიგად უნდა გადიდებულიყო ქალაქიდან შემოსული სახაზინო შემოსავალი მახტა. კომისიის მიერ წამოყენებული ყველა მოსაზრება უმაღლესი ბრძანებულებით დადასტურებულ იქნა 1823 წელს [56]. გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში მთავრობა ძალდატანებას მიმართავდა. 1854 წლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ:

„...ტფილისის გოროდოვოის ობჩესტვენნის უპრავლენიე გამოუცხადებს გრაჟდანინსა ოჰან გასპაროვსა ჩაწერილსა კომერალნი აღწერაში 1848 წლის ნოემბერსა ქვეშე № 2258 მისთვის, რომელ იმაზედ ირიცხება ხარჯის ნედაიმკა... და აარის იმაზედვე შეწერილი 1854 წლის ხარჯი მახტა და მასრაფი 1 მანეთი და 60 კაპეიკი, რომელიც ვალდებულ აარს ზემომოხსენებული ნედოიმკა და ხარჯი შემოიტანოს გოროდოვოის უპრავლენიეში, სადაც მიიღებს კვიტანციასა კაზნაჩეისაგან. ნედოიმკა ახლავე მიღებისამებრ ამა უწყებისა და ხარჯი პირველის ნახევრისა მარტში და მეორე ნახევრისა აგვისტოს თვეში და იმაზედაც ადრე სრულის წლისა ერთად. და ვინცა გადააცილებს იმა ვადებსა, რომელიც ამ უწყებაში ნა-

---

[55] საკ. ც. ს. ს. ა, ფ. 254, საკ. № 145 გვ. 160—161.

[56] Полное собрание законов Российской Империи, т. 38, გვ. 763—766.

ჩვენებია, მაშინ ვოენნის ეკზეკუციით ძალა დაეტანებათ, გამოიტანენ იმათის სახლებიდან ნივთებსა და გაიყიდება აუკციონის ტორგით, ხოლო ამას გარდა მიღებულ იქნება სხვა კანონიერი ზომა და ძალის დატანება. იანვრის დღესა 1854 წელსა" [57].

როგორც ზემომოყვანილ 1854 წლის საბუთში დავინახეთ, ასეთი წესით იკრიფებოდა მახტა უფრო ადრეც (მაგ. 1849 წ.) [58].

1849 წლიდან გადასახადი მახტა კოშლზე სამი მანეთის რაოდენობით ქალაქის ყველა მცხოვრებზე იქნა დადებული, ხოლო მოქალაქეებზე 9 მან. და 20 კაპ. ვერცხლით. ამას ადასტურებს 1849 წლით დათარიღებული შემდეგი დოკუმენტი:

„По прежнему камеральному описанию до 1841 года числилось по г. Тифлису городских жителей платящих подати, а именно:

По обществу мокалаков—499 семейств.

По обществу вновь поселившихся обывателей—1205 семейств.

Удельных крестьян—1444 семейств.

Крестьяи церковных—484 семейств и помещичьих—1145 семейств.

Все казенные крестьяне не были обложены уравнительными податьми, а отбывали подать под названием махта, по раскладкам обществ; С сего 1849 года все городские обыватели, как казенного ведомства, так и равно церковные и помещичьи крестьяне обложены подымною махтавою податью по 3 руб. сереб. каждое семейство в год, а мокалаки по 9 руб. 20 коп. серебром. Это новое обложение последовало с поводу произведенной в 1848 году поверки камеральных описаний жителям городов Тбилисской Губернии, по которой в Тифлисе открыто городских обывателей казеннаго ведомства платящих подати: по обществу мокалак—757 семейств, вновь поселившихся обывателей или граждан, с присоединением и удельных крестьян—3663 семейств; крестьян церковных—847 семейств и помещичьих—551 семейств" [59].

---

[57] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საქ. № 3679.

[58] ЦГИАЛ. Ф. 1268; Кавказский Комитет, д. № 45, л. 3. д. № 170-б, л. 2.

[59] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 8, საქ. № 48.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სახელმწიფო-ფულადი გადასახადი მახტა მე-19 საუკ. პირველ ნახევარში თანდათან იცვლის სახეს. მახტას მოცულობა მატულობს გადამხდელთა ზრდის ხარჯზე. მახტას მე-19 საუკუნიდან მარტო მოქალაქენი კი არ იხდიან, არამედ 1810 წლიდან მათ ემატებათ სხვა ქვეყნებიდან თბილისში საცხოვრებლად გადმოსახლებული უცხოელები და საუფლისწულო მამულებში მცხოვრები გლეხები. გადამხდელთა ამგვარი შემადგენლობა 1823 წლისათვის უმაღლესი ბრძანებულებით საბოლოოდ დაკანონებულია. 1849 წლიდან მახტის გადახდა ქალაქის ყველა მცხოვრებს ევალებოდა, მათ მორის თბილისში მცხოვრებ საეკლესიო და ყმა გლეხებსაც. მახტის მოცულობა იზრდება, რადგანაც იგი საზოგადოებაზე დადებულ გადასახადად კი არ რჩება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე, არამედ იგი უკვე კომლობრივ გადასახადად გვეელინება. მე-19 საუკუნის 40-იანი წლების მახტა აღარ ჰგავს წინანდელ გადასახად მახტას. ამ გადასახადმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. მახტის, როგორც ფულადი გადასახადის ზრდა. დაკავშირებულია 1843—1845 წლებში გატარებულ საფინანსო რეფორმასთან. კომლობრივად მახტის დაწესებაც ამ რეფორმის გატარების შემდეგ მოხდა. ამიერიდან მახტის სახელწოდებით ცნობილია თბილისის მცხოვრებლებზე კომლობრივად დაწესებული ფულადი გადასახადი.

მახტასთან ერთად უნდა აღინიშნოს მეორე ფულადი სახის გადასახადი—მალი. მალი მე-19 საუკუნეში უცვლელად იქნა დატოვებული, ე. ი. დარჩა ფულად გადასახადად. იგი დაწესებული იყო უცოლშვილოზე—60 კაპ., ხოლო ცოლშვილიანზე 1 მან. და 20 კაპ. მე-19 საუკუნეში გადასახად მალს ჩვენ ვხედებით მხოლოდ თბილისსა და გორში[60]. გადასახადი მალი ევალებათ მოქალაქეებსა და სახაზინო გლეხებს. მას, ისევე როგორც მახტას, მოქალაქეები კრეფდნენ. 1802. 1803 და 1804 წ. განმავლობაში ქ. თბილისში აკრეფილ იქნა 2350 მან. 50 კაპ. მალი[61]. 1807 წლიდან სახაზინო ექსპედიციამ მოახდინა კამერალური აღწერა და თბილისის მცხოვრებლებს დააკისრა. ყოველწლიურად 1167 მან. 60. კაპ. მალის გადახდა. ამრიგად, 1805 წლიდან 1817 წლამდე ქალაქ თბილისის მცხოვრებთაგან აკრეფილ იქნა სულ 9463 მან. 60 კაპ. მალი, ხოლო აუკრეფაეი დარჩა 2730 მან. 90 კაპ[61]. მთავარ-

---

[60] Акты КАК. ტ. I. № 171, გვ. 207; № 593, გვ. 492; ტ. IV, № 35, გვ. 35; ტ. V, № 327, გვ. 265.

[61] საქ. ც. ს. ს. ა, ფ. 254. საქ. № 145, გვ. 118.

მართებელ ერმოლოვის მიერ დანიშნულმა კომისიამ, მახტასთან ერთად, მალის საკითხიც გამოარკვია. აღმოჩნდა, რომ მოქალაქეებმა მათზე ყოველწლიურად დაკისრებული თანხის გადამხდელთა რიცხვში ახლადგადმოსახლებულებიც შეიყვანეს. მაგ., 1810 წელს მოქალაქეებს მათთვის 283 მან. მალი გადაუხდევნებიათ.

„Подать малла не имеет никакой определительности, подвержена многим злоупотреблениям. При царях грузинских собиралась оных по одному рублю двадцати копеек с женатых, и по шестидесяти копеек с холостых, от пятнадцатилетнего возраста. Следуя сему, подлежит правительству вести верное исчисление всем жителям женатым и холостым с возобновлением оного ежегодно, но таковая мера весьма неудобна, тем более, что до самого учреждения комиссии не было порядочного исчисления жителей и в первые годы Казенная Экспедиция, принимала махты без всякого расчета только то, что ей доставляли коменданты. По сим уважениям общее собрание полагает, отменив во все означенную подать, взамен оной прибавить на мокалаков к 4000 рублям махты шестьсот рублей, на людей вновь поселившихся и удельных сверх определяемой с них маллы уже не прибавлять“ [62].

კომისიის მოსაზრება უმაღლესი ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა 1823 წელს [63]. 1823 წლამდე კი მალი ძველებურად იკრიფებოდა [64]. მართლაც, უფრო გვიანდელ საბუთებში გადასახადი მალი აღარ გვხვდება. გადასახად მახტას კომლობრივ გადასახადად ქცევასთან დაკავშირებით მალიც მახტის ნაწილად იქცა და მოქალაქეებზე კომლობრივად განაწილებულ მახტას დაემატა.

ზემოაღნიშნულმა კომისიამ მახტასთან და მალთან ერთად გამოარკვია ქალაქ თბილისში გადასახად კულუხის მდგომარეობაც. კომისიის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, თბილისში დემურჩასალის ბაღებიდან იკრიფებოდა გადასახადი კულუხი. ამავე კომისიის ცნობებით, საქართველოში რუსული მმართველობის შემოღებიდან 1807 წლამდე გადასახადი კულუხი ქალაქ თბილისში უცვლელად იქნა დატოვებული და ამ ხანის განმავლობაში აკრეფილ იქნა სულ 200 მან. და 37 კაპ. [65], ხოლო 1807 წლიდან კი 1817

---

[62] საქ. ცენ. ს. ა, ფ. 254, საქ. № 145, გვ. 147—148.

[63] Полное собрание законов Российской империи, т. 38, გვ. 763—766.

[64] საქ. ცენ. ს. ა, ფ. 254, საქ. № 517, № 476.

[65] საქ. ცენ. ს. ა, ფ. 254, № 145, გვ. 118.

წლამდე დაწესებულ იქნა ყოველწლიურად 70 მან. გადასახადი. ამრიგად, 1807 წლიდან 1817 წლამდე აკრეფილ იქნა 630 მან. კულუხი, აუკრეფავი დარჩა 70 მან.[66]. როგორც ეხედავთ, გადასახადი კულუხი ქალაქ თბილისში ფულად გადასახადად ქცეულა. ეს გარემოება უმაღლესი ბრძანებულებით დადასტურებულ იქნა 1823 წელს[67] (აღსანიშნავია, რომ კომისია არკვევდა მხოლოდ ქალაქ თბილისში აკრეფილი კულუხის რაოდენობას). კულუხის ფულად გადასახადად ქცევის ცდები მთავარმართებელ ციციანოვის დროიდან ხდებოდა. კულუხმა ფულადი სახე, თბილისს გარდა, საქართველოს სხვა კუთხეებშიც მიიღო. იგი იკრიფებოდა ყოველწლიურად ღვინის მოსავლის შეფასების მიხედვით[68]. მას კაპიტან-ისპრავნიკები კრეფდნენ. კულუხი ფულად გადასახადად იხსენიება თელავისა და სიღნაღის მაზრებშიც[69].

მე-19 საუკუნის საბუთების ნაწილში ფულად გადასახადად მოხსენებულია საბალახე. საბალახეს თანხა კულუხთან შედარებით თითქოს ერთგვარად უფრო დადგენილი იყო—ცხვარზე 2 მანეთი, ხოლო ბატკანზე 1 მან. და 60 კაპ. (მაშინ როდესაც კულუხი მოსავალზე იყო დამოკიდებული და მოსავლის აღების შემდეგ იკრიფებოდა ფული. მხოლოდ თბილისში იყო დაწესებული ყოველწლიურად 70 მან. კულუხის გადახდა). ამ რაოდენობით იკრიფებოდა საბალახე 1810 წლის საბუთების მიხედვით[70]. ასევე იკრიფებოდა იგი 1820 წელსა[71] და 1824 წელსაც[72]. ამ გადასახადს ფშავ-ხევსურეთში მოურავი კრეფდა[73]. საბალახე, კულუხთან ერთად, 1804 წლიდან ფულად გადასახადად უნდა ქცეულიყო. საბუთების მიხედვით, ფშავ-ხევსურეთში საბალახის რაოდენობის დაკანონება მოხერხდა, რადგანაც საქონლის რიცხვი დაკანონებული იყო. იმ დროისათვის არა თუ საქართველოს მთიან რაიონებში, არამედ ბარშიაც კი ამ გადასახადის ფულად გადასახადად ქცევა საეჭვოა. საფიქრებელია, რომ სახაზინო ექსპედიცია ნატურის სახით კრეფდა საბალახეს და მერე თვით ჰყიდდა საქონელს. გადასახად საბალახეს შე-

---

[66] საქ. ც. ს. ს. ა, ფ. 254, საქ. № 145, გვ. 118.

[67] Полное собрание законов Российской империи, т. 38, გვ. 763—766.

[68] ЦГВИА, Ф. ВУА, д. № 609, л. 93.

[69] საქ. ც. ს. ს. ა, ფ. 16, საქ. № 1615, გვ. 57, ფ. 254, საქ. № 476, გვ. 8—10.

[70] Акты КАК, т. IV, № 25, გვ. 25, საქ. ცსსა, Ф. 254, д. № 476, 312.

[71] Акты КАК, т. IV, № 25, გვ. 25, საქ. ცსსა, Ф. 254, д. № 476.

[72] საქ. ცსსა, ფ. 254, საქ. № 312, გვ. 124.

[73] ЦГВИА, Ф. ВУА, д. № 607, გვ. 93.

სახებ 1810 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „Подать сия была при царях и ныне взыскивается в натуре. Продаются бараны от экспедиции желающим с публичного торгу для превращения же оной в денежную“ [74]. ამრიგად, მიუხედავად მთავრობის სურვილისა, ჯერ კიდევ არ ხერხდება ყველა გადასახადისათვის ფულადი სახის მიცემა. საჯარო ვაჭრობის შემთხვევაში მხოლოდ მიახლოებით შეიძლება ასაკრეფი თანხის ვარაუდი. ეს რომ მართლაც ასეა, ამას ამტკიცებს 1835 წლის საბუთი, რომელიც გორისა და ქვემო ქართლის საძოვრებს შეეხება. ამ საბუთში ნათქვამია: „...Под именем Сабалахо, известный доход за пастьбу скота, мы соображаясь с таковым в других местах собираемым, полагаем определить следующий с каждой сотни баранов по одному барану в натуре; сбор сей, как мы полагаем, может простираться в год на тысячу рублей серебром, а со временем и более“ [75].

როგორც ვხედავთ, აქ ვარაუდობენ გადასახადის გარკვეული თანხით გადახდის შესაძლებლობას და ჯერ კიდევ 1835 წელს, როგორც ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი საბუთი გვიჩვენებს, არ ხერხდება გადასახადის რაოდენობის დადგენა და არც ფულადი სახის მიცემა. საბალახეს, ისევე როგორც კულუხს, მთავრობა ფულად სახეს აძლევს მაშინ, როდესაც მოსახერხებელია. თუშ-ფშავ-ხევსურეთში საბალახე ნატურალურ გადასახადად დარჩა 1843—1845 წლების საფინანსო რეფორმის გატარების შემდეგაც.

საბალახე, საფიქრებელია, ტერიტორიულად მხოლოდ იქ ვრცელდებოდეს, სადაც მოსახლეობის წამყვანი მეურნეობა მესაქონლეობა იყო.

მე-19 საუკუნის პირველ წლებში (1804) უნდა მომხდარიყო ზოგიერთი ქართული ნატურალური გადასახადისათვის ფულადი სახის მიცემა. ასეთებია, მაგალითად, სააღდგომო, საშობაო, საკომლო, სამასპინძლო, გასამყრელო, შევარდენი, ნაბადი და სხვ. ყველა საბუთში ეს გადასახადები ერთად მოიხსენიება როგორც ფულადი გადასახადები და ერთად იკრიფება. აკრეფილი თანხა ბარდება საქართველოს უმაღლესი მთავრობის სახაზინო ექსპედიციას [76].

---

[74] ЦГВИА, ф ВУА, საქ. № 607, ფ. 93.

[75] საქ. ცსსა, ფ. 254/99, საქ. № 1179, გვ. 12.

[76] Акты, КАК, ტ. IV, № 34, გვ. 35; ტ. V, № 327, გვ. 265, საქ. ც. ს. ს. ა, ფ. 254, საქ. № 476, ფ. 16, საქ. 1615, გვ. 25—31.

ცალკე უნდა აღინიშნოს გადასახადი საქვრივო, რომელმაც 1816 წელს მიიღო ფულადი სახე[77].

გარდა ზემოჩამოთვლილი გადასახადებისა, არანაკლებ მძიმე იყო საქართველოს მოსახლეობისათვის სამხედრო სასურსათო ბეგარა-გადასახადების გადახდა. როგორც აღვნიშნეთ, ჯარის მომარაგება საქართველოს მწარმოებელი საზოგადოების ხარჯზე ხდებოდა. ამ გადასახადებს გარდა, რომლებიც ჩვეულებრივ იკრიფებოდა, მთავრობა, საჭიროების შემთხვევაში, რეკვიზიციის წესით კრეფდა მოსახლეობიდან პურს, აწარმოებდა განაწილებას, თუ რომელ სოფელს რამდენი კოდი პური უნდა გაეღო ჯარის მომარაგებისათვის; იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობისაგან პურს ვერ აკრეფდა, მაშინ ეგზეკუციას ჩაატარებდა და ძალით მიჰქონდა სურსათსანოვაგე.

მთავრობა გადასახადს ზემოთ აკრეფილი პურისათვის ფულს უხდიდა მოსახლეობას. ეს თანხა თავისთავად მეტად მცირე იყო (მთავრობა მოსახლეობას კოდ პურში 1 მან. 20 კაპ. უხდიდა, მაშინ როდესაც თვით გლეხი ბაზარზე 4 მან., 7 მან. და ხშირად უფრო ძვირადაც ყიდულობდა). ხშირად ამ ფულსაც მოხელეები ითვისებდნენ და მოსახლეობამდე მათი კუთვნილი თანხა ვერ აღწევდა[78]. ამ სახით აკრეფილ პურს მოსახლეობისათვის იმავე გადასახადის მნიშვნელობა ჰქონდა. უფრო მეტიც, აუტანელი სამხედრო ბეგარა არაერთხელ გამხდარა აჯანყების ერთ-ერთ მიზეზად (1804 წლის მთიანეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის გლეხთა აჯანყება და სხვ.)[79].

საქართველოდან აკრეფილი პურადი გადასახადები საპროვიანტო მაღაზიებს ბარდებოდა. საპროვიანტო მაღაზიები იყო: 1. თბილისში, 2. გორში, 3. სურამში, 4. დუშეთში, 5. კაიშაურში, 6. სიღნაღში, 7. ხაშმში, 8. ყვარელში, 9. მანგლისში, 10. წალკაში, 11. ლორეში, 12, გუმრში, 13. ბაშკიჩეთში, 14. ახალციხეში, 15. აუყურში, 16. სტრაწნოოკოპში, 17. ახალქალაქში, 18. ხერთვისში[80].

1801—1844 წლებში კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო სამმართველოს მიერ საინტენდანტო ნაწილის მოქმედების

---

[77] Акты КАК, т. V. № 323, გვ. 262.

[78] ЦГВИА, Ф. ВУА, д. № 4258, გვ. 292.

[79] ЦГВИА, Ф. ВУА საქ. 4258. გვ. 302, 303, 235, 284, 324, 340. 363, 369, 424. 432. 438, 453, 463, 465, 490.

[80] ЦГИАЛ, Ф. 1268, Кавказский Комитет. д. № 44, л. II.

შესახებ შედგენილი ანგარიშის[81] მიხედვით, აკრეფილი საგადასახადო სურსათის რაოდენობა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ (აქ მოცემულ ტაბულაში მხოლოდ საგადასახადო სურსათია წარმოდგენილი):

წლები	აკრეფილი სურსათი	ფურაჟი	შენიშვნა
1800	48878 კოდი. ან 10719 ჩეტ.		
1801—1805	12740 ჩეტ. ფქვილი	3100 ჩეტ. ბურღული	
1806—1809	43860 ჩეტ. ფქვილი	30450 ფუთი შვრია	
1810—1815	68014 ჩეტ. ფქვილი	14835 ჩეტ. ბურღული	
1816—1826	120000 ჩეტ. ხორბალი	1800 ჩეტ. ბურღული	ამ რაოდენობაში აბლადშემოერთებული პროვინციებიდან შემოსული გადასახადიც შედის.
1827—1831 1832—1837			მოყვანილია ციფრები საერთოდ დამზადების შესახებ, ხოლო საგადასახადო პურზე არაფერია ნათქვამი.
1839	39415 ჩეტ. ფქვილი	10424 ჩეტ. ბურღული	აღნიშნულ რაოდენობაში იგულისხმება მთლიანად ამიერკავკასია, დაღესტანისა და დასავლეთ საქართველოს გარდა.
1840	39550 ჩეტ. ფქვილი	7669 ჩეტ ბურღული	ამიერკავკასია მთლიანად.
1842	47569 ჩეტ. ხორბალი	15748 ჩეტ. ქერი და ბურღული	ამიერკავკასია მთლიანად.
სულ 1839—1842	126534 ჩეტ: ფქვილი	30630 ჩეტ. ბურღული	
1843	52682 ჩეტ. ხორბალი	14275 ჩეტ. ქერი	
1844	54513 ჩეტ. ხორბალი	9341 ჩეტ. ქერი	

[81] ი. ანთელავა, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. საისტორიო მოამბე, თბილისი, 1950, № 5, გვ. 287—429.

აქ წარმოდგენილი მასალა სრული არ არის. ხშირად ცნობები გვაქვს მთელი ამიერკავკასიიდან შემოსული „სურსათის“ შესახებ (სურსათად ამ შემთხვევაში იგულისხმება მთლიანად ჯარის საკვები, აკრეფილი აუცილებელი გაყიდვით თუ გადასახადებითა და თავისუფალი ვაჭრობით), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოზე არაფერია ნათქვამი. გადასახადი კომლობრივ იკრიფებოდა. ამავე საბუთში მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ 1801 წლიდან 1805 წლამდე აკრეფილ გადასახადს—12740 ჩეტ. ფქვილისა და 3100 ჩეტ. ბურღულს გარდა, საქართველოშივე აქ მდგომი ჯარისათვის აუკრეფიათ, ნაწილობრივ რეკვიზიციითა და ნაწილობრივ თავისუფალი ვაჭრობით, დაახლოებით 199680 ჩეტვერიკი ფქვილი და 9302 ჩეტ. ბურღული. ფურაჟის დამზადება საქართველოში ხდებოდა ნაწილობრივ კომისიონერების და ნაწილობრივ ჯარის ნაწილების მიერ. 1806 წლიდან 1809 წლამდე საქართველოს მცხოვრებთაგან როგორც გადასახადის სახით, ისე რეკვიზიციითა და თავისუფალი ვაჭრობით აუკრეფიათ სულ 274535 ჩეტ. ფქვილი, 10855 ჩეტ. ბურღული, 967076 ჩეტ. შვრია და 11400900 ფუთი ბურღული.

1810—1815 წლების სურსათი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

	ფქვილი	ბურღული	შვრია	თივა
გადასახადის სახით შემოვიდა	68014 ჩეტ.	14835 ჩეტ.	—	—
ამას გარდა აკრეფილ იქნა აღმოსავლეთ საქართველოში პურეული და ფქვილი	287100 ჩეტ.	26465 ჩეტ.	745483 ჩეტ.	8255000 ფუთი
ცხრილში, სადაც აღნიშნულია ფქვილი უნდა ვიგულისხმოთ ხორბალი და ფქვილი ერთად				

1811 წელს საქართველოში სურსათის დამზადება ერთობ გაძნელდა. მოსახლეობას მთელი მოყვანილი პური გადასახადებისა და იძულებითი შესყიდვისათვის მოუნდომებია, ხოლო გასაყიდი პური აღარ დარჩენილა. ამიტომ მთავრობამ უკანასკნელ საშუალებას მიმართა—გახსნეს ორმოები, სადაც მოსახლეობის საკვები ინახებოდა, მაგრამ ვერც ამან გამოიღო შედეგი. სოფლებში ჩაყენებულ იქნა

ეგზეკუციები. ჯარისათვის უნდა დამზადებულიყო კიდევ 1546 ჩეტ-ვერიკი ფქვილი და 4082 ჩეტვერიკი ბურღული. ამ დროის განმავ-ლობაში საქართველოს მცხოვრებლებს, გარდა საგადასახადო პუ-რისა, დაუმზადებიათ კიდევ 30000-მდე ჩეტვერიკი სურსათი; მთავ-რობას შეუსყიდია 11000 ჩეტვერიკი. ყოველივე ამის შედეგად მოსახლეობა ისე შეწუხებულა, რომ ახალი განაწილება ჯარისათვის ასაკრეფავი პურისა შეუძლებელი შექმნილა. გარდა საგადასახადო სურსათისა, მცხოვრებლებს 41000 ჩეტვერიკი სურსათი გადაუხდია-თ[52]. 1815—1826 წლებში აღმოსავლეთ საქართველოსა და მის პროვინციებში დამზადებულა 1300000 ჩეტ. ფქვილი და 120000 ჩეტ. ბურღული.

ჯარის მომარაგება რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში ადგი-ლობრივ მოსახლეობას აწვა მძიმე ტვირთად. მთავრობა არავითარ საშუალებას არ ზოგავდა, რომ ჯარი უზრუნველეყო საკვებით და, რასაკვირველია, ომის ეს სიმძიმე ამიერკავკასიის მოსახლეობას და-ეკისრა. 1827—1837 წლებში ჯარის მომარაგება აღმოსავლეთ სა-ქართველოში შემდეგი საშუალებებით ხდებოდა: 1. საგადასახადო პურით, 2. საქართველოს თავად-აზნაურთაგან იღებდნენ იჯარით, 3. კომისიონერების საშუალებით ხდებოდა მოსახლეობიდან შესყიდ-ვა, 4. სოფლებზე ანაწილებდნენ ხაზინისათვის იძულებით მისაყიდ სურსათს, 5. ჯარის ნაწილები თვით იძენდნენ სურსათ-სანოვაგეს, ასეთივე ხერხებით ხდებოდა ჯარის საკვების აკრეფა მომდევნო წლებშიც.

როგორც ვხედავთ, ერთობ დიდი იყო საქართველოს ეკონო-მიური როლი ამიერკავკასიაში მდგომი ჯარის მომარაგების საქმე-ში. რეგულარული ჯარის მომარაგება ახალი, უჩვეულო და განსა-კუთრებით მძიმე იყო ფეოდალური საქართველოსათვის. რეგულა-რული ჯარი არ იყო ფეოდალური ლაშქარი, რომლის მომარაგები-სათვის საკმარისი იყო საგადასახადო სურსათი. როგორც სამართ-ლიანად აღნიშნავს ალექსანდრე ჭავჭავაძე: „Новое правительство основываясь на том, что жители Грузии содержали когда-то вспомогательные войска своим провиантом, положило, что для народа продовольствовавшего прежде войска даром, назначение малых цен на то самое продовольствие не должно быть чувствительно. Но правительство не входило в разсмотрение, что

---

[52] ი. ანთელავა, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისა-თვის, საისტორიო მოამბე, თბილისი, 1950, № 5, გვ. 301—307.

1827 წლიდან 1837 წლამდე დამზადებული სურსათი და ფურაჟი შემდეგნაირად წარმოგვიდგება

წ ლ ე ბ ი	ფქვილი	ბურღული	ქერი	ქერი და შვრია ფურაჟი-სათვის	თივა	ჩალა
1827 წელს დამზადდა საქართველოში	85186 ჩეტ.	21000 ჩეტ.	17986 ჩეტ.	100000 ჩეტ.	1900000 ჩეტ.	130000 ფუთი
1828	110000	10422	71000	100000	1900000	100000
1829	96800	4800	17000	100000	1580000	120000
1830	100000	20000	30000	50000	1137000	80000
1831	70800	10000	20000	60000	1020000	80000
1832 წელს საქართველოსა და ამიერკავ-კასიის პროვინციებში დამზადება	94700 ჩეტ.	13156 ჩეტ.	100000 ჩეტ.	—	1030000 ფუთი	90000 ფუთი
1833	64643	10506	79843	16000	955000	79000
1834	116682	16090	93587	—	904000	276000
1835	108120	13296	77352	7677	869700	67158
1836	41781	7102	—	88000	898000	70000
1837	84865	6296	—	103000	1130000	68000

1837 წლიდან 1845 წლამდე საქართველოსა და ამიერკავკასიის პროვინციებში აკრეფილი პროვიანტი (მთლიანად) და საგადასახადო სურსათი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

წ ლ ე ბ ი	ფქვილი	ბურღული	ქერი	ქერი და შვრია ფურაჟისათვის	თივა	ჩალა
	ჩეტვერიკები				ფუთები	
1838 წელს დამზადდა აღმოსავლეთ საქართველოს და ამიერკავკასიის პროვინციებში	105236	11578	87143	—	1060000	68000
1839 წელს დამზადდა	89798	7640	98000	—	1060000	68000
აიკრიფა საგადასახადო სურსათი	39415	10427	—	—	--	—
1840 წელს დამზადდა	83638	13841	91421	1062000	68000	—
აიკრიფა საგადასახადო (დაღისტნის ჩათვლით)	39550	7669	—	—	—	—
1841 წელს დამზადდა	190370	16454	-	—	—	—
ფურაჟი საქართველოში	—	—	94000	—	1000000	64000
1842 წელს დამზადდა	168687	15535	89930	—	1000000	60000
საგადასახადო შემოვიდა	47569	15748	20000	—	—	—
1843 წ. ამიერკავკასიის საპროვიანტო მაღაზიებს ჩაბარდა	141877	14483	—	91648	113000	64000
საგადასახადო აიკრიფა	52682	—	14275	—	—	—
კომისიონერების საშუალებით დამზადდა	15000	1406	12871	—	—	—
1844 დამზადდა	137483	16381	—	—	—	—
აიკრიფა საგადასახადო	54513	—	9341	87917	1000000	60000

значило продовольствие вспомогательных войск при царях сборным хлебом без платы: во первых потребность в вспомогательных войсках представлялась в течении 30 лет четыре или пять раз. Во вторых число тех войск редко превышало 3000 человек, а в третьих их призывали на самое краткое время, для нанесения какого нибудь удара на границах Турции или Персии" [83].

სამხედრო ბეგარა-გადასახადები სისტემატურად იკრიფებოდა. ისინი მოსახლეობის გაღატაკებას იწვევდნენ, რასაც თან სდევდა მოთმინებიდან გამოსულ გლეხთა ხშირი აჯანყებები.

დასასრულ, მოკლედ შეეეხოთ გადასახადის აკრეფის წესს, რომელიც ნაწილობრივ განხილული იყო ცალკეული გადასახადების აღწერის დროს.

ზემოჩამოთვლილი გადასახადები ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობიდან არ იკრიფებოდა. გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხობას მხოლ მეურნეობის შესაფერისი გადასახადი ევალებოდა. კულუხს არ იხდიდა, ვისაც ვენახი არ გააჩნდა, საბალახეს—ვინც მესაქონლეობას არ მისდევდა და ა. შ.

გადასახადს ყველა როდი იხდიდა. გადასახადისაგან სრულიად თავისუფალი იყო სასულიერო წოდება, რის გამო სახაზინო ექსპედიციის ნებადაურთველად იკრძალებოდა ერისკაცის სასულიერო წოდებაში გადასვლა. ყმას კი ბატონის ნებადაურთველად არ შეეძლო სასულიერო წოდებაში გადასულიყო [84]. გადასახადისაგან გარკვეულ დრომდე განთავისუფლებული იყვნენ კოლონისტებიც.

გადასახადების უმრავლესობა კომლობრივი იყო. თავდაპირველად გვხვდებოდა გადასახადები, რომლებიც საზოგადოებას ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ თანდათან ხდებოდა მათი კომლობრივად ქცევა. ხშირია შემთხვევა, როდესაც გადასახადი სოფლებზეა დაკისრებული და ასეთი გადასახადის კომლობრივად ქცევას თვით სოფლის მცხოვრებნი მოითხოვდნენ [85].

გადასახადის აკრეფა თავდაპირველად მოურავებს ევალებოდათ, ხოლო შემდეგში საერობო ისპრავნიკებს. საერობო ისპრავნიკები აწარმოებდნენ აღწერას, კრეფდნენ გადასახადს და აკრეფილ გადასახადს აბარებდნენ საპროვიანტო მაღაზიებს (პურადს) და ხაზინას (ფულადს). გადასახადის ჩაბარების შემდეგ მიღებულ

---

[83] ЦГИАЛ, Ф. 1268, Кавказский Комитет. д. № 9, გვ. 15.

[84] საქ. ცენ. ს. ა, ფ. 254, საქ. № 143, გვ. 1.

[85] საქ. ცენ. ს. ა, ფ. 48, საქ. № 747, 748.

ქვითრებს აბარებდნენ სახაზინო ექსპედიციას[86]. სახაზინო ექსპედიციაში ინახებოდა ნუსხები და აუკრეფავი გადასახადის ანგარიშები. სახაზინო ექსპედიცია ვალდებული იყო მოხელეებისათვის მიეწოდებინა ცნობები. თავის მხრივ, სახაზინო ექსპედიცია მუშაობის შესახებ ანგარიშს უდგენდა ფინანსთა მინისტრს. დადგენილი იყო გადასახადის აკრეფის ვადა, რომლის გასვლის შემთხვევაში გადაუხდელი გადასახადი უკვე პროცენტებით იკრიფებოდა[87]. ხშირი იყო ერთხელ აკრეფილი გადასახადის ხელმეორედ აკრეფის შემთხვევები. მოხელეები ამას სჩადიოდნენ ან უვიცობის გამო, ან ბოროტმოქმედების მიზნით. 1811 წლის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით[88], 1811 წელს გადასახადი გორის მაზრის გლეხებისათვის ხელმეორედ გადაუხდევინებიათ. გორის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკს სახაზინო ექსპედიციისათვის არა თუ არ წარუდგენია პურის ჩაბარების შესახებ საპროვიანტო მაღაზიიდან მიღებული ქვითარი, არამედ სახაზინო ექსპედიციისათვის წარდგენილ ანგარიშში არ აღუნიშნავს 1809, 1810 წლების აკრეფილი „ნედოიმკა". მომდევნო კაპიტან-ისპრავნიკმა ხელმეორედ მოითხოვა 1809, 1810 წლებში მოსახლეობაზე შეწერილი სურსათის „ნედოიმკა"[88]. ანალოგიური შემთხვევები მრავალია საბუთებში.

მთავრობას ტენდენცია ჰქონდა გადასახადებისათვის ფულადი სახე მიეცა ან პურეულით აეკრიფა. გადასახადების ამ სახით აკრეფა ხელსაყრელი იყო სახელმწიფოსათვის. მთავრობის ამ სურვილის სისრულეში მოყვანა ხშირად არ ხერხდებოდა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ზემომოყვანილი ფაქტი, როცა სახაზინო ექსპედიცია იძულებული იყო კულუხისა და საბალახეს საჯარო ვაჭრობა მოეწყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად საშუალოდ ნავარაუდებ თანხასაც ვერ იღებდა. ამის მიზეზი იყო იმდროინდელი საქართველოს საწარმოო ძალების სუსტი განვითარება.

ცალკეული გადასახადების განხილვის დროს ჩვენ შევეხეთ თითოეულ გადასახადში მომხდარ ცვლილებას. ზოგიერთი ბეგარა-გადასახადი, რომელიც იკრიფებოდა მე-19 საუკუნემდე, ამ დროისთვის აღარ ჩანს, მაგალითად, საური, საუდიერო, სალეკო, სარუსო და სხვ. ზემოჩამოთვლილი გადასახადების გაქრობის მიზეზად ახლადშექმნილი საშინაო და საგარეო პირობები უნდა ვივარაუდოთ.

---

[86] საქ. ცენტ. ს. ა, ფ. 16, საქ. № 1615, გვ. 90—101.
[87] ЦГВИА, Ф. ВУА, д. № 607, л. 93.
[88] საქ. ცენტ. ს. ა, ფ. 16. საქ. № 1615, გვ. 14.

ეს გადასახადები საბუთებში რუსული მმართველობის შემოღების პირველ წლებშივე არა ჩანს. თვით მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გადასახადები სახეს იცვლის. როგორც ჩვენი ნაშრომის მესამე თავში აღვნიშნეთ, მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდეც ბეგარა-გადასახადებში მნიშვნელოვან ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. ნატურალურ გადასახადებს თანდათან ფულადი გადასახადები ცვლის.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 40-იანი წლებისათვის ძირითადად სამგვარი სახის გადასახადები გვხვდება: ნატურალური—სურსათი, კოდის-პური; ნახევრად ფულადი, ნახევრად ნატურალური—ღალა, ყალანი, მახტა; ფულადი—მალი, კულუხი, საბალახე, საალდგომო, საშობაო, საქვრივე, საჩექმე, გასამყრელო, საკომლო, სამასპინძლო, შეკარდენი, ნაბადი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ აღებული გადასახადების დაყოფა არ გულისხმობს იმას, რომ მათ შორის მკვეთრი ზღვარის გაკეთება შეიძლებოდეს. გარკვეულ ხანაში და გარკვეულ პირობებში ზემოგანხილული გადასახადებიდან თითოეული შეიძლება იყოს ნატურალური სახისაც და ფულადი სახისაც (მაგალითად, კულუხი და საბალახე. იგივე ითქმის სხვა გადასახადებზედაც).

ნატურალურ გადასახადებთან შედარებით ფულადი სახის გადასახადების ზრდის მიუხედავად, მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე ნატურალური სახელმწიფო ბეგარა-გადასახადების ხვედრითი წონა სჭარბობს ფულადი ბეგარა-გადასახადების ხვედრით წონას. სახაზინო ექსპედიციის თავმჯდომარე ბეზაკი თაეის საფინანსო პროექტში წერს რომ 1842 წლისათვის ნატურალური სახელმწიფო ბეგარა-გადასახადების ხვედრითი წონა საქართველო-იმერეთის გუბერნიაში 54,6%-ს უდრიდა, ხოლო ფულადი სახის სახელმწიფო ბეგარა-გადასახადებისა 45,5%-ს [60]. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე, მიუხედავად ფულადი რენტის მნიშვნელოვანი ზრდისა, ძირითადად მაინც ნატურალური რენტა სჭარბობდა ფულადს.

---

[60] Безак, Краткое обозрение ныне существующей системы доходов в Грузино-Имеретинской губернии.

საქ. ცენ. ს. ა., ფ. 241, აღ. 7. საქ. 562, გვ. 19, 20.

თავი მეოთხე

1843—1845 წლების საფინანსო რეფორმა აღმოსავლეთ საქართველოში და მისი შედეგები

როგორც აღნიშნული გვქონდა, საქართველოში მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე ხაზინის სასარგებლოდ აკრეფილ გადასახადებში ნატურალური სახის გადასახადები სჭარბობდა ფულადს; ამასთან შესამჩნევი იყო, რომ თვით ამ გადასახადებში ნატურალურ სახეს თანდათან ფულადი ცვლიდა. გარდა პურადი გადასახადებისა, ყველა სახაზინო გადასახადს ფულადი სახე მიეცა. ფულადი სახე მიეცა ისეთ გადასახადებს, როგორიც იყო კულუხი და საბალახე. მათ საქართველოს ზოგიერთი კუთხის შეურნეობაში წამყვანი როლი ეკუთვნოდათ. ეს პროცესი განსაკუთრებით მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან ხდება შესამჩნევი და ნიადაგს უმზადებს 1843—1845 წლების საფინანსო რეფორმას. რეფორმის მიზანი იყო ნატურალური ბეგარა-გადასახადების ფულად ბეგარა-გადასახადებად ქცევა, რაც იმ დროისათვის უფრო ხელსაყრელი იყო სახელმწიფო ხაზინისათვის.

ცარიზმმა ჯერ კიდევ 1823 წელს იმერეთში, ხოლო 1840 წელს გურიაში ნატურალურ სახელმწიფო ბეგარა-გადასახადებს ფულადი სახე მისცა, რამაც ერთგვარად შეუწყო ხელი აღნიშნული საფინანსო რეფორმის გატარებას აღმოსავლეთ საქართველოში [1].

ნატურალური რენტის ფულად რენტად გადაქცევა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ წყობაში მომხდარი გარკვეული ცვლილების მაჩვენებელია. როგორც მარქსი გვასწავლის „პირველად სპორადი-

---

[1] ი. ანთელავა თავის ნაშრომში „Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века“ წერს: „Правительство стремилось к замене последних (ლაპარაკია ბეგარა-გადასახადებზე—ლ. გ.) денежным эквивалентом, и оно в этом направлении еще до 40-х годов прошлого столетия предприняло некоторые шаги. Мы имеем в виду реформы 1823 года в Имеретии и 1840 года в Гурии, по которым натуральные казенные подати, отбываемые крестьянами указанных областей, заменялись денежными сборами“, Сухуми, 1955, გვ. 391.

ულად, ხოლო შემდეგ კი მეტად თუ ნაკლებად ნაციონალური მასშტაბით მიმდინარე გადაქცევა პროდუქტების ფორმაში მოცემული რენტისა ფულად რენტად გულისხმობს ვაჭრობის, საქალაქო მრეწველობის, საზოგადოდ საქონლის წარმოების და ამასთან ერთად ფულადი მიმოქცევის მნიშვნელოვან განვითარებას"[2].

მართლაც, მე-19 საუკუნის 30—40-იანი წლებიდან საქართველოში ფართოვდება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, ხელისშემწყობი პირობები ექმნება ვაჭრობას, ვითარდება საგზაო მშენებლობა, უმჯობესდება მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ხდება ადგილობრივი ვაჭრების მიერ ფულადი კაპიტალის დაგროვება. სასაქონლო პროდუქციის ზრდასთან დაკავშირებით უფრო და უფრო ფართოვდება საშინაო ბაზარი: საქართველოს ერთ კუთხეში ვითარდება მესაქონლეობა (უმთავრესად მთიან რაიონებში), მეორეში მეღვინეობა და მარცვლეულის მეურნეობა; ხდება სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების სპეციალიზაცია. ამის შედეგად საქართველოს ცალკე კუთხეებს შორის სასაქონლო ურთიერთობა ვითარდება და იზრდება. პროდუქტები ბაზარზე გააქვთ გასასყიდად. ღვინო, საქონელი, პური ყიდვა-გაყიდვის საგანი ხდება.

ცარიზმი, თავის მხრივ, გამომდინარეობს რა საკუთარი ინტერესებიდან, თავის მოთხოვნებს უყენებს საქართველოს, ცდილობს გადააქციოს საქართველო ერთი მხრივ რუსული სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზრად, ხოლო მეორე მხრივ დანერგოს აქ და განავითაროს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, რომლებიც ნედლეულის სახით გამოყენებას პოვებენ რუსეთის მრეწველობაში. მთავრობა საამისოდ აარსებს სოფლის მეურნეობის წამახალისებელ საზოგადოებებს, რომლებიც, მართალია, საბოლოოდ მარცხს განიცდიდნენ, მაგრამ მაინც უწყობდნენ ხელს მარტივი სასაქონლო მიწათმოქმედების ზრდას. ცარიზმი საქართველოსა და ამიერკავკასიის ათვისებასა და ეკონომიურ დამორჩილებას ცდილობდა და მე-19 საუკუნის 30—40-იან წლებში რუს მოხელეთა მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მოსაზრებანი თუ პროექტები ამ მიზანს ემსახურებოდნენ. ამავე მიზეზით ცარიზმი რუს ვაჭარ-მრეწველებს მფარველობდა ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში. „რუს ფაბრიკანტებს მთავრობამ უკვე 1831 წელს სავაჭრო დეპო გაუხსნა თბილისში და ყოველგვარად შეეცადა სა-

[2] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. მე-2. თბილისი, 1934, გვ. 316.

ვაჭრო კომპანიების გავრცელებას, მაგრამ თვით ფაბრიკანტებმა ვერ შესძლეს ესარგებლათ ამ შეღავათებით. ისინი გულგრილობას იჩენდნენ ამიერკავკასიის მიმართ, ისე რომ, თვით ვორონცოვი, რუსული საგაჭრო კომპანიების სულისჩამდგმელი, მალე იცვლის ორიენტაციას. რუსი ფაბრიკანტების მფარველობიდან ის ადგილობრივი ბურჟუაზიის მფარველობის პოლიტიკაზე გადადის, რა თქმა უნდა, იმ მიზნით, რომ ამან ზიანი არ მოუტანოს სამშობლო მრეწველობას"[3].

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ზრდა ცარიზმის ცდებისა და სურვილისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება გამოიხატა ფულადი რენტის ზრდითაც, რაც ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევისა და ახალი ურთიერთობის აღმოცენების საწინდარი იყო.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით აიხსნება მთავრობის სურვილი ნატურალური სახის სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები ფულადად აქციოს, რაც შექმნილ პირობებში უფრო ხელსაყრელი გახდა ხაზინისათვის.

საფინანსო რეფორმისათვის მზადება მთავრობამ 1842 წლიდან დაიწყო. წარმოდგენილი პროექტებიდან ყველაზე მეტად მოწონებულ იქნა სახაზინო ექსპედიციის თავმჯდომარის ბეზაკის პროექტი: „Краткое обозрение ныне существующей системы доходов в Грузино-Имеретинской губернии"[4], და რეფორმაც, ძირითადად, ამ პროექტის საფუძველზე გატარდა. პროექტის მიზანი იყო ნატურალური სახის ბეგარა-გადასახადების ფულად ბეგარა-გადასახადებად ქცევა. ფულადი რენტის შემოღების იდეას ბეზაკს გარდა სხვა პროექტების ავტორებიც იზიარებდნენ. (მაგ., სენატორი განი თავის საფინანსო პროექტში იმავე მიზანს ისახავდა და სხვ.). ბეზაკის პროექტი იმით იყო ყველაზე ხელსაყრელი წარმოდგენილ პროექტებს შორის, რომ ავტორი ხხვებზე მეტად უფარდებდა შექმნილ პირობებსა და მოთხოვნილებას თავის პროექტს. პროექტის მიხედვით, საგადასახადო სისტემა, საკუთრივ საქართველოს გარდა, უნდა გატარებულიყო ელისავეტოპოლის, ბელაქნის, ერევნისა და ნახჭევნის მაზრებში (აღებულ თემასთან დაკავშირებით, ჩვენ ვარკვევთ, თუ როგორ გატარდა რეფორმა აღმოსავლეთ საქართველოში და ამასთან დაკავშირებით განვიხილავთ ბეზაკის პროექტსაც).

---

[3] აბელ კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, 1954. გვ. 216—217.

[4] საქ. ცს. ს. ა, ფ. 241, საქ. № 562.

ბეზაკს თავის პროექტში ცალცალკე აქვს განხილული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად განიხილავს ელისავეტოპოლის მაზრასა და ყაზახისა და შამშადილის დისტანციებს, რაც რეფორმის ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც სოციალურ-ეკონომიური თუ კულტურული თვალსაზრისით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო უფრო ნაკლებად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველო და ყაზახი, შამშადილი თუ სხვა მუსლიმანური პროვინციები.

რეფორმა არ შეხებია თუშ-ფშავ-ხევსურებს.

ბეზაკი, ჩამოთვლის რა თბილისის, თელავის, გორის, ელისავეტოპოლის მაზრებში და შამშადილისა და ყაზახის დისტანციებში არსებულ ბეგარა-გადასახადებს, იძლევა მათ მოკლე ისტორიას, ხოლო შემდეგ მიუთითებს იმ ცვლილებებზე, რომლებიც შეტანილ იქნა გადასახადებში რუსული მმართველობის მიერ 1801 წლიდან 1842 წლამდე [5]. თავის პროექტში ბეზაკმა არსებული გადასახადები ნატურალური და ფულადი სახის გადასახადებად დაყო. მისი ცნობის მიხედვით, 1842—1943 წლებში ხაზინის სასარგებლოდ ფულადი სახის გადასახადები შემდეგი რაოდენობით იკრიფებოდა [6]:

			კაპ.
1	მახტა	41,598	77
2	კულუხი	2 880	77
3	საბალაბე		—
4	საადგომო, საშობაო და სხვ.	506	77
5	ბეკარია და საჩუქარი	262	55
6	სამასპინძლო	35	10
7	სხვადასხვა სამუშაოები	864	50
	სულ	48.625	47

[5] საქ. ცენ. ს. ა. ფ. 241, საქ. № 562, გვ. 15—18.
[6] საქ. ცენ. ს. ა, ფ. 241, საქ. № 562, გვ. 19.

ნატურალური სახის გადასახადები ბეზაკს პურადი სახის გადასახადებად აქვს მოცემული. 1842—1843 წლებში ხაზინის სასარგებლოდ ნატურალური სახის გადასახადები შემდეგი რაოდენობით იკრიფებოდა [7]:

		პური კოდობით	ქერი კოდობით
1	სურსათი	26,946	14,129
2	მახტა	14,551	4226
	კოდის პური	6,730	
4	ყალანი	9,58	477
	სულ	49,185	18,832

მთლიანად ნატურალური გადასახადები ბეზაკს 58577 მანეთად და 78 კაპ. აქვს შეფასებული. აღნიშნული თანხა, როგორც ვხედავთ, ფულადი სახის გადასახადებიდან აკრეფილ თანხას სჭარბობს და ერთხელ კიდევ მოწმობს მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე საქართველოში ნატურალური რენტის უპირატესობას ფულადთან შედარებით.

ბეზაკი პროექტში იძლევა XIX საუკუნის 40-იან წლებამდე საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის მოკლე აღწერას და აღნიშნავს ამ სისტემის უარყოფით მხარეებს. ბეზაკის აზრით, მთავარი ნაკლი ამ სისტემისა იყო შემდეგი: 1. გადასახადით დაბეგვრა ხდებოდა მიწის ფართობის მიხედვით, რის გამოც ცალკეულ სოფლებზე დადებული გადასახადები საფინანსო სამმართველოსათვის ცნობილი არ იყო. ამის შედეგი იყო მრავალი გაუგებრობა. ამასთანავე ეს ახალი აღრიცხვისა და ახალი გადასახადების შემოღების საშუალებას არ იძლეოდა. საქართველოს სამეფოს გაუქმებამდე გადასახადები უშუალოდ სოფლებზე იყო დაწესებული, რის გამო ახლადწარმოქმნილი სოფლები დაუბეგრავი რჩებოდა. 2. გადასახადთა მოცულობა, რომელიც 1801 წლიდან არსებობდა, შეუფერებელი გახდა, რადგანაც ორმოცი წლის განმავლობაში ქვეყა-

[7] საქ. ცს. ს. ა, ფ. 241, საქ. № 562, გვ. 19.

ნამ მრავალი ცვლილება განიცადა. 3. სხვადასხვა უმნიშვნელო გადასახადები, რომლებსაც ხაზინისათვის ნაკლები სარგებლობა მოჰქონდათ, გაუგებრობას იწვევდა და ხელს უწყობდა ბოროტმოქმედთ. 4. გადასახადი კულუხი არ შეესაბამებოდა მთავრობის მიზნებს, რადგანაც ღვინის გადასახადი კისრად ედოთ არა მწარმოებლებს, არამედ მომხმარებლებს. 5. მარცვლეულით დაკისრებული გადასახადებიდან, ბეზაკის აზრით, მიუღებელი იყო კოდის-პური და ყალანი, რადგანაც მათი გადამხდელი სოფლები ამ გადასახადებს გარდა სურსათისაც იხდიდნენ. საერთოდ, დასძენს ბეზაკი, მარცვლეულით დაკისრებული გადასახადი მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული, რადგანაც მოსახლეობისათვის გაურკვეველი იყო გადასახადის ჩაბარების ადგილი. ჯარის მოძრაობასთან დაკავშირებით სურსათის გადატან-გადმოტანასაც დიდი ზარალი მოჰქონდა მთავრობისათვის, რადგანაც 1/5 შეწერილი გადასახადისა ყოველთვის აკლდებოდათ, ამასთან ხელი ეშლებოდა მოსახლეობის მეურნეობასაც[8].

როგორც ვხედავთ, ბეზაკი ხაზინის ინტერესებით ხელმძღვანელობს და ყოველნაირად ცდილობს გაზარდოს სახაზინო შემოსავალი. ამ მიზანს ემსახურება ბეზაკის პროექტი. ეს სურვილი ყოველ მის მოსაზრებაში ჩანს.

ლაპარაკობს რა გადასახად საბალახეზე, ბეზაკი აღნიშნავს, რომ პირდაპირი გადასახადის დადება მესაქონლეობაზე საქონლის რაოდენობის მიხედვით შეუძლებელია, ხოლო საძოვრებზე დადებული გადასახადი ხაზინისათვის არახელსაყრელია შემდეგი მიზეზების გამო: ა) მესაქონლეობაზე ძველთაგანვე დაწესებული გადასახადი დიდდება ზომაზე მეტად და ამით არღვევს ქვეყნის წესჩვეულებას. ბ) დიდი ნაწილი სახაზინო სოფლებისა მემამულეთა საძოვრებით სარგებლობს, რისთვისაც გარკვეულ თანხას უხდის მებატონეს. სახაზინო გლეხების ეს ნაწილი არ მოისურვებდა მებატონეთა საძოვრების მიტოვებას განსაკუთრებული სარგებლობის მიუღებლად. თუ სახაზინო საძოვრებზე დაწესდებოდა გადასახადი, გლეხობის ეს ნაწილი მესაქონლეობაზე დაწესებული გადასახადისაგან თავისუფლდებოდა, რაც ხაზინისათვის ხელსაყრელი არ იყო. ბეზაკს გამოაქვს დასკვნა, რომ საძოვარზე დადებული გადასახადი უსარგებლო იყო ხალხისთვისაც და ხაზინის თვისაც. მას ხელსაყრელად არ მიაჩნდა მიწის ფართობის მიხედვით ყანებზე დაწესებული გადასახადიც, რადგან მოსავლის მიღება მარტო მიწის ფართობზე არ იყო დამოკიდებული, არამედ გლეხისა და მუშა საქონლის მუ-

---

[8] საქ. ცენ. ს. ა, ფ. 241, საქ. № 562, გ. 20—22.

შაობასთანაც იყო დაკავშირებული[9]. ხაზინის შემოსავლის გადიდების მიზნით ბეზაკი საკომლო გადასახადის დაწესებას ვარაუდობდა. ეს საკომლო გადასახადი უნდა გადიდებულიყო იმ სახაზინო გლეხებზე, რომლებიც მემამულეთა მიწებით სარგებლობდნენ, რათა ისინი იძულებულიყოთ სახაზინო მიწებზე გადმოსახლებულიყვნენ. ამ საკომლო გადასახადს დაემატებოდა კიდევ საერობო გადასახადი და შეიქმნებოდა ერთი საერთო ფულადი სახის კომლობრივი გადასახადი. ამასთანავე ბეზაკი იძლეოდა დაახლოებით ვარაუდს, თუ სხვადასხვა კატეგორიების გლეხებზე რა მოცულობით უნდა ყოფილიყო გადასახადი დაწესებული:

1	გორის მაზრის და თბილისის მაზრის დუშეთის მიდამოს გლეხები ოჯების გამოკლებით (იბდიან მხოლოდ საეოობო გადასახადს)	1 მან. 50 კაპ. ვერცხ.
2	თბილისის, თელავის[10], ალექსანდრეპოლის მაზრებისა და შამშადილისა და ყაზახის დისტანციებში	2 მან. ვერცხლით
3	ყველა მაზრის სახაზინო გლეხებზე, რომლებიც მემამულეთა მიწებზე მოსახლეობდნენ	3 მან. ვერცხ.
4	სახაზინო გლეხებზე და თავისუფალ მოსახლეობაზე, რომლებიც სოფლად ეწეოდნენ ვაჭრობას	3 მან. 50 კაპ.

მეორე სახის საკომლო გადასახადი იყო საღალო (оброчный) გადასახადი, რომლის გადახდა ევალებოდა სახაზინო მიწებზე მცხოვრებ სახაზინო გლეხებს. ეს გადასახადი ხუთი ზომისა იყო:

ა	50 კაპ.
ბ	1 მან. 50 კაპ.
გ	2 მან.
დ	2 მან. 50 კაპ.
ე	3 მან. 50 კაპ.

ყველაფერ ამას ემატებოდა სანი სახის საერობო გადასახადი:

ა	50 კაპ.
ბ	1 მან. 50 კაპ.
გ	2 მან.

---

9 სჭკ. ც. ს. ს. ა. ფ. 241, საქ. № 562, გვ. 23, 24.

10. თუშ-ფშავ-ხევსურებისა და საერთოდ საქართველოს მთიანი რაიონების გამოკლებით, რომლებიც ძველებურად საბალახეს ნატურით იჭდიდნენ.

ამრიგად, ამ გადასახადების (საკომლოს და საერობოს) შეერთებით, რომელთაგანაც თავისუფალი იყვნენ მხოლოდ მთიანეთში მცხოვრები ყმა გლეხები, წესდებოდა შემდეგი სახის სრული გადასახადები:

1	თბილისის მაზრის დუშეთის მიდამოებისა და გორის მაზრის საეკლესიო და ყმა გლეხებზე	3 მან.
2	თბილისის მაზრის სხვა მიდამოების, თელავისა და ალექსანდროპოლის მაზრების საეკლესიო და ყმა გლეხებზე	3 მან. 50 კაპ.
3	მემამულეთა მიწებზე მცხოვრებ სახაზინო გლეხებზე	4 მან. 50 კაპ.
4	სახაზინო გლეხებზე, რომლებიც სოფლად ვაჭრობას ეწეოდნენ.	5 მან.
5	სახაზინო მიწაზე მცხოვრებ სახაზინო გლეხებზე ხუთი სიდიდის გადასახადი:	

1	1 მან. 50 კაპ.
2	5 მან.
3	6 მან.
4	7 მან.
	7 მან. 50 კაპ.

პირველი სახის გადასახადის გადამხდელთა რიცხვს ეკუთვნოდა ქუთაისის მაზრის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობა და ოსთა ზოგიერთი სოფელი.

მეორის—თბილისის მაზრის დუშეთის მიდამოს და გორის მაზრის სახაზინო გლეხები.

მესამის —თბილისის მაზრის სახაზინო გლეხები.

მეოთხის—ყაზახში მცხოვრები სახაზინო გლეხები.

მეხუთის—ბორჩალოში მცხოვრები სახაზინო გლეხები[11].

მოსახლეობის ასეთ დაყოფას, მის მიერ დაწესებული გადასახადების მიხედვით, ბეზაკი ასაბუთებს გორის მაზრასა და დუშეთის მიდამოებში მოსახლეობის დაბალი, გადამხდელუნარიანობითა და მიწის სიმცირით, ხოლო ბორჩალოსა და ყაზახში გადასახადის გაზრდას იგი ხსნის მიწის ნაყოფიერებით. შენიშვნის სახით ბეზაკი დასძენს, რომ ახალი საგადასახადო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით გაუქმებული უნდა ყოფილიყო მანამდე არსებული ყვე-

[11] საქ. ცენ. ს. ს. ა, ფ. 241, საქ. № 562, გვ. 29.

ლა გადასახადი, გარდა საბალახესი, რომელიც რჩებოდა მხოლოდ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობისათვის[12].

როგორც ვხედავთ, ბეზაკის პროექტის ძირითადი ნაწილი მიმართულია იქითკენ, რათა გაზარდოს სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები და ამასთანავე მისცეს ამ ბეგარა-გადასახადებს ფულადი სახე.

ბეზაკის პროექტი, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში და კავკასიის საქმეთა კომიტეტში სათანადო განხილვის შემდეგ, 1843 წლის 12 იანვარს დამტკიცებულ იქნა იმპერატორის მიერ[13].

იმპერატორის ბრძანებულების შემდეგ ამიერკავკასიის მთავარმართებლობამ შესთავაზა ბეზაკს წარედგინა თავისი შეხედულებანი კონკრეტულად როგორ უნდა გატარებულიყო რეფორმა და პრაქტიკულად როგორ უნდა შესდგომოდნენ საქმეს. ამის პასუხად ბეზაკმა 1843 წელს წარადგინა ვრცელი მოხსენება, სადაც მოითხოვდა, რომ თბილისის მაზრის უფროსისა და სხვა თანამდებობის პირთათვის ორი თვის ვადა მიეცათ ხელახალი კამერალური აღწერის ჩასატარებლად. მუშაობის უკეთ წარმართვისათვის მათ მუშაობის პროცესში ცნობები უნდა წარედგინათ მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორისათვის, რომელსაც ყოველივე უშუალოდ მთავარმართებლისათვის უნდა მოეხსენებინა[14].

ბეზაკი თავის მოხსენებაში მოითხოვდა ადგილზე გაერკვიათ და დაედგინათ გადასახადები. ყველა ნატურალური სახის გადასახადი ფულზე გადაყვანილი და საერთო თანხაში შეტანილი უნდა ყოფილიყო. საერობო გადასახადი უნდა დაედგინათ საჭიროების მიხედვით და საამისოდ ეხელმძღვანელათ წარსულის გამოცდილებით. ერთი საერთო თანხის შემოღება, ბეზაკის აზრით, დიდ სარგებლობას მოუტანდა ხაზინას: ერთი მხრივ გაიზრდებოდა გადასახადების მოცულობა, ხოლო მეორე მხრივ გაირკვეოდა ბეგარა-გადასახადების საკითხი მთავრობისათვის. საერობო გადასახადების დადგენისა და მაზრების უბნებად (полоса) დაყოფის შემდეგ ყველა საქმე უნდა გადასცემოდა სპეციალურ კომისიას, რომლის მუშაობასაც მთავარმართებელი ხელმძღვანელობდა. კომისიას ევალებოდა საერობო გადასახადები მაზრებსა და უბნებზე გაენაწილებინა და ისინი საერთოდ დაკისრებულ თანხაში შეეტანა, რათა საბო-

---

[12] საქ. ცენ. ს. ა, ფ. 241, საქ. № 562, გვ. 30.
[13] იქვე, გვ. 12.
[14] იქვე, გვ. 99—100.

ლოდ ერთიანი გადასახადი გამოსულიყო. კომისიის მიერ წარდგენილი დებულება გადასახადების შესახებ ჯერ მთავარმართებელს, ხოლო საბოლოოდ იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა[15].

1842 წელს დაწყებული მოსახლეობის აღწერა მხოლოდ 1843 წლის აპრილში დასრულდა, რის შემდეგაც ადგილზე შეუდგნენ გადასახადების გაწერას. უკვე ამ გაწერის დროს მთავრობა ბევრ სირთულეს წააწყდა. ასეთი იყო, მაგალითად, საკითხი, თუ როგორ უნდა გაწერილიყო გადასახადი კომლობრივად და რას ნიშნავდა კომლი[16]. ამას გარდა, თელავის მაზრის სიღნაღის უბნის მოსახლეობაზე შეწერილი გადასახადები ბევრად აღემატებოდა იმ თანხას, რომელსაც ეს მოსახლეობა აქამდე იხდიდა. ამის საკომპენსაციოდ მოსახლეობა მოითხოვდა დაებრუნებინათ მისთვის ჩამორთმეული მიწები, რომლებზეც სამხედრო პირები იყვნენ დასახლებული[17].

საკითხის გარკვევისათვის ბეზაკმა 1843 წელს დამატებით შეადგინა „კომლებზე გადასახადის განაწილების წესების პროექტი („Проект правил для исчисления дымов при обложении податьми"). ამ პროექტის § 1 მიხედვით გადასახადის გადამხდელ კომლად ითვლებოდა ოჯახი, რომლის წევრები ერთად მოსახლეობდნენ, ჰქონდათ გაუყოფელი საკუთრება და ერთად ეწეოდნენ მეურნეობას. § 2 მიხედვით ოჯახის გაყოფა ახალი კომლის შესაქმნელად თვით ოჯახის წევრების სურვილზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. § 3 თანახმად, რადგანაც მეურნეობის წარმოება პირობაა საკომლო გადასახადისა და ფულადი ბეგარისა, გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ:

1. 59 წლის ასაკს გადაცილებულები, თუ მათ არა ჰყავდათ შრომისუნარიანი მემკვიდრეები, რომლებიც მის ოჯახში ცხოვრობდნენ და თუ ისინი მეურნეობაში არ იყენებდნენ თავისუფალი მუშის შრომას.

2. ობლები, რომლებსაც ჯერ არ შესრულებიათ 21 წელი.

---

[15] საქ. ცენ. ს. ა., ფ. 241, საქ. 562, გვ. 111.

[16] Бахтадзе, Податное обложение государственных крестьян Закавказского края, Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, том I, часть III, Тифлис, 1887, გვ. 98.

[17] Бахтадзе, Податное обложение государственных крестьян Закавказского края, Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, том I, часть III, Тифлис, 1887, გვ. 101.

3. პირველ პუნქტში დასახელებული პირები, რომელთა შვილებს ან ნათესავებს ჯერ კიდევ არ შესრულებოდათ 18 წელი, არა ჰყავდათ ოჯახი და მეურნეობაში არ იყენებდნენ თავისუფალი მუშის შრომას.

4. ინვალიდები, რომლებსაც შრომისუნარიანი ოჯახის წევრები არა ჰყავდათ და მეურნეობაში არ იყენებდნენ თავისუფალი მუშის შრომას.

§ 4. წინა პარაგრაფის საფუძველზე გადასახადისაგან განთავისუფლებული პირები არ თავისუფლდებოდნენ ნატურალურ ბეგარისაგან თანასოფლელების მსგავსად. § 5. ყველა, ვინც § 3 მიხედვით თავისუფლდებოდა გადასახადისაგან, შეტანილი უნდა ყოფილიყო სიაში. სიები გადასახადების დამტკიცების შემდეგ სახაზინო ქონებათა პალატის განკარგულებაში გადადიოდა[18].

ამ პროექტს მთავარმართებლის საბჭომ კიდევ § 6 და § 7 დაუმატა, ხოლო § 3-ში ზოგიერთი შესწორება შეიტანა. სახელდობრ: § 6 გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც დაშვებულია § 3, ეხება მხოლოდ იმ სოფლებს, სადაც კომლების რიცხვი კამერალური აღწერის ან გადასახადების გაწერის დროს ოცდახუთ კომლზე ერთი კომლი მოდიოდა. § 7. ის პირები, რომლებიც § 3 მე-2 და მე-3 პუნქტებშია აღნიშნული, როგორც კი შესაძლებელი გახდებოდა, შეტანილი იქნებოდნენ გადასახადის გადამხდელთა რიცხვში, რის გამო სახელმწიფო ქონებათა პალატას ისინი მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდა[18].

ამრიგად, ბეზაკმა საქართველოს მოსახლეობა უბნებად, მაზრებად და დისტანციებად დაჰყო და თითოეული უწყების გლეხთათვის, მათი გადასახადებისდა მიხედვით, დააწესა შესაფერისი გადასახადები.

გადასახადი მაზრების მიხედვით უნდა აკრეფილიყო. ახალი საგადასახადო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით თადარიგის დაჭერა ევალებოდა საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამოქალაქო გუბერნატორს, რომელსაც მაზრებისა და ოკრუგების უფროსები საგადასახადო ნუსხებით უნდა უზრუნველეყო, სახაზინო პალატას კი ამიერკავკასიის მთავარმართებლის საბჭო მოამარაგებდა საჭირო ცნობებითა და მითითებებით[19]. ამ ცხრილების მიხედვით ნუსხებში შეტანილი უნდა ყოფილიყო მოსახლეობიდან აკრეფილი წლიური გადასახადი. მაზრის უფროსებს თვალყური უნდა ედევნებინათ, რომ გადასახადები დროულად ყოფილიყო შეტანილი სამაზრო ხაზინებში[19].

---

[18] საქ. ც. ს. ს. ა., ფ. 241, საქ. № 562. ფურც. 241.
[19] საქ. ც. ს. ს. ა., ფ. 245, საქ. № 100, გვ. 97—98.

მაზრები, უბნები და დისტანციები, რომლებზეც გადასახადია განაწილებული	საკომლო გადასახადი ყველა კატეგორიის გლეხებზე		საკომლო-საღალო გადასახადი სახაზინო გლეხებზე		საკომლო გადასახადი მეგობლეობა მიწებზე მცხ. სახაზინო		საკომლო გადასახადი სახაზინო გლეხებზე, რომლებიც სოფლად გაჩერდნენ		საკომლზე დაწესებული საერთო გადასახადი		სახაზინო მიწებზე მცხოვრები სახაზინო გლეხებზე დაწესებული საერთო გადასახადი		მეგობრეობა მიწებზე მცხოვრებ სახაზინო გლეხებზე დაწესებული საერ-თო გადასახადი		სოფლელნი მიდაკერე გლეხებზე დაწესებული საერთო გადასახადი	სოფლელნი და ყმა გლეხებზე დაწესებული საერთო გადასახადი	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ	მან.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	მან.	კაპ.
1 გორის მაზრა ოსეთის უბნის გამოკლებით	1	50	1	50	3	3	50	1	50	4	50	4	50	5	3	
2 გორის მაზრის ოსეთის უბანი	—		—	50	—		—	—	50	1		—		—	60	
3 თბილისის მაზრა მთიანეთის და ბორჩალოს გამოკლებით	2		2	—	3	3	50	1	50	5	50	4	50	5	3	50
4 დუშეთის უბანი	1	50	1	50	3	3	50	1	50	5	50	4	50	5	3	
5 ბორჩალო და ბაშკიჩეთი	2		3	50	3	3	50	1	50	7		4	50	5	3	50
6 თელავის მაზრა თუშ-ფშავ-ხევსურების გამოკლებით	2		2		3	3	50	1	50	5	50	4	50	5	3	50 [20]

[20] საქ. ცსსა, ფ 245, საქ. № 100, გვ. 99.

წინასწარი მუშაობის ჩატარების შემდეგ, 1844 წელს ამიერ-კავკასიაში (ზოგიერთი ოლქის გამოკლებით) და კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში საგადასახადო სისტემა გატარებულ იქნა. რეფორმა თუშ-ფშავ-ხევსურებს არ შეხებია. როგორც აღნიშნული გვქონდა, რეფორმის მიზანი იყო ნატურალური სახის ბეგარა-გადასახადებისათვის ფულადი სახის მიცემა.

რეფორმის გატარების შემდეგ ნატურალურმა გადასახადებმა მართლაც ფულადი სახე მიიღეს. საფიქრებელია, რომ გადასახადის ერთი სახიდან მეორე სახეზე გადასვლა მოსახლეობისათვის უმტკივნეულოდ არ უნდა მომხდარიყო. მართლაც, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გლეხთა უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1845 წელს თბილისის მაზრის სოფელ ბანეთის მცხოვრებნი თხოვნით მიმართავენ ნამესტნიკს, რომ „Соблаговелите дать нам льготу вперед до исчисления состояния нашего или же обложить нас денежною податью согласно состоянию нашему и тем бедственное семейство наше оградить начальнической защитой“[21].

მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა, ძირითადად მაინც, ნატურალური სახის გადასახადებისათვის ფულადი სახის მიცემა. ამ პერიოდში ამიერკავკასიაში მყოფი ჯარის მომარაგება უმთავრესად კომისიონერების მიერ შესყიდული პურით წარმოებს. 1845 წლიდან 1850 წლამდე ჯარის მომარაგება სურსათით შემდეგი სახით მოხდა: (იხ. ცხრილი 109-ე გვ.).

მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომლებშიც კომისიონერები აყენებდნენ მოსახლეობას, მათ მაინც მოახერხეს პურის აკრეფა. „პროვიანტის“ გაღება მოსახლეობის მხრივ სახელმწიფოსათვის ნატურის სახით კი აღარ ხდება, არამედ სურსათით გადამხდელ მოსახლეობასა და მთავრობას შუა კომისიონერი ჩადგა და გლეხი იძულებულია მას მიჰყიდოს პური, ხოლო მისგან აღებული თანხით კი მასზე საფინანსო რეფორმის შემდეგ დაწესებული ფულადი სახის გადასახადი გადაუხადოს მთავრობას. ამიერიდან სურსათს, ქოდის-პურს, ყალანს და სხვა პურად გადასახადებს გლეხი სასურსათო მაღაზიებში აღარ აბარებს, იგი მას მიჰყიდის ხოლმე კომისიონერს, ხოლო უკეთეს შემთხვევაში ბაზარზე გააქვს გასასყიდად. პური ყიდვა-გაყიდვის საგანი გახდა. გლეხი ასევე ჰყიდიდა მის მიერ მოყვანილ სხვა მოსავალსაც და, ამრიგად, იგი ბაზარს უკავშირდებოდა.

---

[21] საქ. ცენტრ. ს. ა., ფ. 4, აღწერილობა 2, საქ. № 68, გვ. 4—5.

ფულადი გადასახადების არსებობას მოწმობს იმდროინდელი სხვა საბუთებიც. ტიტულიარნი სოვეტნიკი დობროინრავოვი, რომელიც ბივლიოგრაფული იყო დუშეთის ბაზრაში 1845 წელს წერს: „...Крестьяне еще при грузинских царях были обложены постоянною хлебною податью, называемою Сурсат и Калань, которая взималась с них по 1844 год, а с этого года хлебная подать заменена денежною“[23]. ფულადი გადასახადით — ფულადი მახტით დაბეგრილ იქნენ ქალაქში მცხოვრები საეკლესიო გლეხები და ცალკეულ ფეოდალთა ყმები, რომლებიც აქამდე არ იხდიდნენ მახტას, არამედ, სოფლად მცხოვრები სხვა ყმების მსგავსად, იხდიდნენ სურსათს. ნატურალური სახის გადასახადების ფულად გადასახადებად ქცევასთან დაკავშირებით მათაც დაედოთ ახალი ფულადი გადასახადი—კომლზე წლიურად 3 მან. ვერცხლით[24].

	ფქვილი ჩეტ.	ბურღული ჩეტ.	ქერი ჩეტ.	ქერი და შვრია ფურაჟისათვის ჩეტ.	თივა ფუთი	ჩალა ფუთი
1845 წელს ხუბალოვმა დაამზადა ამიერკავკასიაში	179,334	28099	—	107000	1200000	65000
ქართული პოლკის უფროსმა დაამზადა	6073	—	997	—	—	—
კომისიონერების მიერ შესყიდულ იქნა	16747					
1846 წ. კომისიონერების მიერ დამზადებულ იქნა ამიერკავკასიაში	120677	21610				
იჯარით	7875	785				
ჯარის ნაწილებმა მოიმარაგეს				130000	1320000	62000
1847 წ. ხუბალოვმა და შაროევმა დაამზადეს ამიერკავკასიაში მათ მიერ დაწესებული ფასებით	198268	—	31041			
1848 წ. იჯარით დამზადდა ამიერკავკასიაში	151766	819	23066			
კომისიონერების მიერ კომერციული უფლებებით	30952	ლობი —	4700	120000	1313000	82800
1849 წ. ამიერკავკასიაში დამზადდა	281695	3398	31542			
1850 წ. იჯარით ვაჭარ თამამშევისაგან	231049	19619[23]				

[23] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, საისტორიო ცნობანი, № 5, გვ. 398—429, თბილისი, 1950.

[23] საქ. ცენ. სახ. ა, ფ. 4, საქ. № 126, გვ. 10

[24] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 8, საქ. 48.

რეფორმა გატარდა ისე, რომ ქვეყნის ეკონომიური პირობები წინასწარ საფუძვლიანად არ ყოფილა შესწავლილი, რაც რეფორმის ნაკლად უნდა ჩაითვალოს. რეფორმის გატარების დროს მხედველობაში არ იყო მიღებული ის გარემოება, რომ ზოგიერთ კომლს მიწის დიდი ფართობი ეჭირა, ზოგს კი მცირე (თუნდაც ერთსა და იმავე სოფელში), ხოლო გადასახადი ორივე კომლზე ერთნაირი იყო. იგივე ითქმის იმ მოსახლეობაზე, რომელიც მესაქონლეობას მისდევდა (ყველას ერთნაირი რაოდენობით არ ჰყავდა საქონელი). ზემოაღნიშნულ გარემოებას ხელი უნდა შეეწყო გლეხთა შორის ქონებრივი უთანასწორობის ზრდისათვის. ახლადგატარებულ საგადასახადო რეფორმას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. გლეხი ბაზარს უკავშირდებოდა. ფულადი რენტა ხელს უწყობდა გლეხთა დიფერენციაციას და, როგორც ლენინი გვასწავლის: „ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს, დამოკიდებული გლეხების დამოუკიდებლობის პირველივე გაფართოებისას, უკვე ჩნდება მათი დაშლის ჩანასახები. მაგრამ ამ ჩანასახთა განვითარება შესაძლებელია მხოლოდ რენტის შემდეგი ფორმისას, ფულადი რენტის დროს, რომელიც ნატურალური რენტის ფორმის უბრალო შეცვლას წარმოადგენს“[25]. ქონებრივი დიფერენციაცია კი წინაპირობას ქმნის კლასობრივი დიფერენციაციისათვის. „თავის შემდგომ განვითარებაში ფულად რენტას აუცილებლად მივყევართ,—თუ განზე დავტოვებთ შუალედ ფორმებს, როგორც, მაგალითად, წვრილ გლეხურ მოიჯარადრეთა ფორმას,—ან მიწის თავისუფალ გლეხურ საკუთრებად გადაქცევამდე, ანდა წარმოების კაპიტალისტური წესის ფორმამდე, იმ რენტამდე, რომელსაც კაპიტალისტური მოიჯარადრე იხდის“[26].

ფულადი რენტის შემოღებამ ხელი შეუწყო სასაქონლო მეურნეობის განვითარებას, ხოლო სასაქონლო წარმოებამ მოამზადა ზოგიერთი პირობა კაპიტალიზმის განვითარებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში.

---

[25] ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, მე-4 გამოც., 1948, გვ. 189.

[26] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწილი მეორე, თბილისი, 1934, გვ. 317.

დასკვნა

ბეგარა-გადასახადებში მომხდარი ცვლილებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში მომხდარ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან. ქვეყნის შემდგომი განვითარება თავის ასახვას ნაწილობრივ ბეგარა-გადასახადების განვითარებაში პოულობს.

საქართველოს სინამდვილეში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ბეგარა-გადასახადების ცვლილებები დაკავშირებულია ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ შინაგან ძვრებთან.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ფეოდალურ-ბატონყმურ საქართველოში, რომლის ძირითადი მწარმოებელი ფენა გლეხობა იყო, ბეგარა-გადასახადები ექსპლოატაციის ძძიმე ფორმად გვევლინება. გლეხი ფეოდალის მიწით სარგებლობდა და მეურნეობას ეწეოდა. მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის იგი გადასახადს უხდიდა მებატონეს. გლეხი ვალდებული იყო ბეგარა-გადასახადები ეხადა საკუთარი მებატონის, მეფისა და ეკლესიის სასარგებლოდ. სახაზინო გლეხები სახაზინო მიწით სარგებლობისათვის გადასახადს უხდიდნენ ხაზინას, რომელიც ამ შემთხვევაში იმავე ფეოდალის როლში გამოდიოდა. ბეგარა-გადასახადების საშუალებით ახორციელებდა ფეოდალი მასზე დამოკიდებული გლეხის ექსპლოატაციას. ყველა კატეგორიის გლეხი ვალდებული იყო გარკვეული ბეგარა-გადასახადები გადაეხადა სახელმწიფოსათვის.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სახელმწიფოს სასარგებლოდ იკრიფებოდა გადასახადები: სურსათი, კოდისპური, მახტა, მალი, ღალა, ყალანი, საბალახე, კულუხი, საკომლო, სააღდგომო, საშობაო, სამასპინძლო, გასამყრელო, საქვრივე, საჩექმე და სხვ. ზემოჩამოთვლილი გადასახადები თავისი შინაარსით ქართული იყო (მიუხედავად იმისა, რომ ეს გადასახადები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში იქნა შემოღებული საქართველოში). მე-19 საუკუნის დამდეგისათვის ეს გადასახადები დაკანონებული იყო საქართველოში და თავისი დროისათვის შეგუებულიც ადგილობრივ ქართულ ფეოდალურ ეკონომიკასთან.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ახლადშექმნილმა რუსულმა მმართველობამ თავდაპირველად უცვლელად დატოვა გადასახადების სახე და რაოდენობა, მაგრამ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით ბეგარა-გადასახადებშიც მთელი რიგი ცვლილებები მოხდა.

როგორც ბეგარა-გადასახადებით აკრეფილი შემოსავლის, ისე სხვა სახის შემოსავლის აღრიცხვას მე-19 საუკუნის დამდეგიდან სახაზინო საქმეთა ექსპედიცია აწარმოებდა. შეიცვალნენ გადასახადის ამკრეფნიც.

საქართველოში რუსული მმართველობის შემოღებამდე გადასახადს კრეფდნენ მეფის მოხელენი: სახლთხუცესი, მოურავები, მდივნები, და სხვ., რომლებიც გასამჯელოს თვით ამ აკრეფილი გადასახადიდან იღებდნენ. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში კი ზემოდასახელებულ მოხელეებს არ ვხვდებით. დროებით რჩება მოურავობის ინსტიტუტი, რომელიც თანდათან საერობო ისპრავნიკს უთმობს ადგილს. ამრიგად, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში სახაზინო საქმეთა ექსპედიცია სახელმწიფო მოხელეების საშუალებით ეწევა აკრეფილი გადასახადების აღრიცხვას. სახელმწიფო მოხელე ჯამაგირს ხაზინიდან იღებს და არა აკრეფილი შემოსაელიდან.

როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოში ბატონყმური მეურნეობა ნატურალური მეურნეობის ბატონობით ხასიათდება. გადასახადების დიდი უმრავლესობა ნატურის სახით იკრიფება. ფულადი გადასახადები ნატურალურ გადასახადებთან შედარებით მცირეა.

მე-19 საუკუნის დამდეგიდან ფულადი გადასახადების ხვედრითი წონა, ნატურალურთან შედარებით, თანდათან მატულობს. ამ დროიდან, გარდა პურეულით დაწესებული გადასახადებისა, ყველა ნატურალურ გადასახადს ფულადი სახე ეძლევა, ხოლო პურადი გადასახადების მნიშვნელობა თანდათან იზრდება, რადგანაც ჯარის გამოსაკვებად სახელმწიფოსათვის საჭიროა პური. გარდა დაწესებული პურადი გადასახადების გადახდევინებისა, მთავრობა ადგილობრივი მოსახლეობისაგან იძულებით ყიდულობდა პურს მცირე ფასებში. ამ სახით აკრეფილ პურს მოსახლეობისათვის იმავე გადასახადის მნიშვნელობა ჰქონდა.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე წარმოებული ომებით შექმნილი მძიმე პირობები დიდ ზიანს აყენებდა ქვეყნის საწარმოო ძალებსა და ეკონომიკას. მრავალრიცხოვანი არმიის პურით მომა-

რაგება და სამხედრო ბეგარა-სამუშაოები მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს მშრომელ მოსახლეობას. საქართველოს უხდებოდა რთული საგარეო და საშინაო სიძნელეების გადალახვა, რასაც ზედ ერთვოდა ომიანობაც. მიუხედავად შექმნილი მძიმე პირობებისა, ამ სიძნელეების დაძლევა და მოპოვებული მშვიდობა ამზადებდა ნიადაგს ქვეყნის შემდგომი დაწინაურებისათვის.

მე-19 საუკუნის 30—40-იანი წლებიდან ქვეყანას სოციალურ-ეკონომიური განვითარებისათვის შედარებით უკეთესი პირობები შეექმნა. ამ დროიდან საქართველოში იზრდება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. სასაქონლო-ფულადი მეურნეობის ზრდამ ძირითადად ხელი შეუწყო ნატურალური ბეგარის ფულად ბეგარად გადაქცევას. ფულადი რენტის გაბატონებამ კი გლეხთა შორის დიფერენციაცია (ჯერ ქონებრივი, ხოლო შემდეგ კლასობრივი) უფრო გააღრმავა.

ამრიგად, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე გადასახადების განვითარების ისტორია შეიძლება ორ ძირითად პერიოდად გავყოთ: 1. XIX საუკუნის დასაწყისიდან 1843—1845 წლების საფინანსო რეფორმამდე და 2. რეფორმის შემდეგ.

პირველ პერიოდში ბეგარა-გადასახადებში მომხდარი ცვლილებები შემდეგში გამოიხატა: საალდგომო, საშობაო, საკომლო, სამასპინძლო, გასამყრელო, ნაბადი, საქვრიე, საჩექმე, შევარდენი, 1804 წელს ფულად სახეს იღებს.

1823 წლიდან ფულადი სახე ეძლევა გადასახადებს კულუხს და ნაწილობრივ ღალასა და ყალანს. ხდება გადასახად მალის შერწყმა ფულად მახტასთან, რის შედეგადაც ფულადი მახტის მოცულობა იზრდება. გადასახად მალსა და მახტაში მომხდარი ცვლილება გამოიწვია ფულადი სახის ბეგარა-გადასახადების ხვედრითი წონის ზრდამ ნატურალურთან შედარებით.

გადასახადების განვითარების მეორე პერიოდში, საფინანსო რეფორმის გატარების შემდეგ, ყველა ბეგარა-გადასახადებმა ფულადი სახე მიიღო. გამონაკლისს შეადგენს გადასახადი საბალახე, რომელიც საქართველოს მთიანეთში კვლავ ნატურალურ გადასახადად დარჩა.

ფულადი რენტის შემოღებამ ხელი შეუწყო სასაქონლო მეურნეობის განვითარებას, სასაქონლო წარმოებამ კი, თავის მხრივ— კაპიტალიზმის განვითარებას.

ГОСУДАРСТВЕННЫЕ ПОДАТИ И ПОВИННОСТИ В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

Резюме

Целью настоящей работы является изучение государственных податей и повинностей (натуральных и денежных), взимаемых в первой половине XIX в. в Восточной Грузии с казенных, помещичьих и церковных крестьян, а также с других низших сословий населения. В работе прослеживается постепенная замена, в связи с социально-экономическими и политическими изменениями в стране, натуральных податей и повинностей денежными.

К началу XIX века Грузия была страной политически раздробленной и отсталой в экономическом отношении. В Грузии, как и во всех феодальных странах, господствовало натуральное хозяйство, однако наряду с ним существовало и мелкое товарно-денежное производство. Эксплуатация основного класса производителей—крестьянства осуществлялась посредством взимания податей и повинностей. Помимо своего помещика крестьяне отбывали повинности и выплачивали подати государству и церкви.

К началу XIX века главными видами государственных податей являлись: сурсати (военно-экономическая повинность по отношению к государству, выплачивалось в основном зерном, в некоторых случаях деньгами), кодис-пури (взималась зерном, одинаково выплачивали как казенные, так помещичье и церковные крестьяне), махта (взималась с горожан и населения татарских дистанций, была как денежной, так и натуральной), мали (подушная подать, взималась деньгами), гала (подать за пользование землей, взималась зерном), сабалахе (подать, наложенная на пастбища, натуральная), калани (сначала была военной повинностью, позднее превратилась в подать, взималась, главным образом, в горных районах), кулухи (подать вином за пользование землей, на которой был разведен виноградник), сакомло (подымная подать, установленная на землю, где проживал дым). В пользу казны в XIX веке взимались подати не только экономического характера, но

и подати, взимавшиеся раньше в пользу царя, как феодала и отражавшие личную зависимость крестьянина; например, самаспиндзло (некогда было угощением, впоследствии превратилось в постоянную подать), саагдгомо, сашобао, дзгвени (аналогичные самаспиндзло подати), саквриве (взималась в случае выхода замуж крестьянской вдовы), сачекме (в случае выхода замуж крестьянской дочери). К началу XIX в. эти подати иногда взимались в денежном виде, иногда — натурально.

Определяя сущность каждой из этих податей и повинностей и вообще податной системы в Восточной Грузии к началу XIX века, автор стремится выяснить их происхождение и видоизменение, в предшествующей XIX веку эпохе.

Все подати, за исключением денежной махты и мали, являлись натуральными, что было характерно для натурально-феодального хозяйства крепостнической Грузии.

После присоединения Грузии к России происходят изменения податей и повинностей в связи с социально-экономическими и политическими изменениями в стране. Разрушались издревле утвержденные порядки и обычаи податной системы, менялись виды существующих в Грузии податей. Исходя из интересов казны, правительство пыталось придать большинству податей денежный характер. Введение новых порядков было сопряжено со многими затруднениями, ложившимися тяжелым бременем на основной класс производителей.

В 30—40-х годах XIX века в Грузии происходит дальнейшее развитие товарно-денежных отношений, создаются благоприятные условия для торговли, идет дальнейшее улучшение путей сообщения и связи, происходит накопление денежного капитала у местных торговцев.

Развитие товарно-денежных отношений выразилось и в росте денежной ренты, что способствовало разложению феодально-натурального хозяйства и возникновению новых социально-экономических отношений. Этот процесс частично подготовил почву для проведения финансовой реформы 1843—45 гг., целью которой была замена натуральных податей и повинностей денежными.

Историю податной системы первой половины XIX века можно разделить на два периода: 1) до финансовой реформы 40-ых годов и 2) после реформы.

В течение первого периода происшедшие изменения выразились в следующем: в 1804 году государственные подати: саагдгомо, сашобао, сакомло, самаспиндзло, гасамкрело, набади, саквриве, сачекме, шевардени принимают денежную форму. Подати — сурсати, кодиспури, хлебная махта, гала, кулухи и др. оста-

лись натуральными.

В 1823 г. в денежную подать были превращены подать кулухи, отчасти калани и гала. Происходит слияние подати малы с денежной махтой, вследствие чего объем денежной махты увеличивается.

Во втором периоде, после введения финансовой реформы, все подати и повинности превращаются в денежные. Остается натуральной лишь одна — сабалахо.

Введение денежной ренты, со своей стороны, способствовало дальнейшему развитию товарно-денежного хозяйства, что в свою очередь создавало некоторые условия для возникновения элементов капитализма.

სარჩევი

	გვ.
შესავალი	3
თავი პირველი	
საქართველოს სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა XIX საუკუნის დამდეგისათვის (ზოგადი მიმოხილვა)	11
თავი მეორე	
სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები და საგადასახადო სისტემა აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის დამდეგისათვის. ბეგარა-გადასახადვალდებული ფენები	21
თავი მესამე	
ბეგარა-გადასახადები და საგადასახადო სისტემა XIX საუკუნის 40-იან წლებამდე აღმოსავლეთ საქართველოში	53
თავი მეოთხე	
1843—1845 წლების საფინანსო რეფორმა აღმოსავლეთ საქართველოში და მისი შედეგები.	96
დასკვნები	111
Государственные подати и повинности в Восточной Грузии в первой половине XIX века (Резюме)	114

Л. А. Гвахария

ГОСУДАРСТВЕННЫЕ ПОДАТИ И ПОВИННОСТИ В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

(На грузинском языке)

Издательство Академии наук Грузинской ССР
Тбилиси — 1960

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-გამომც. საბჭოს დადგენილებით

•

რედაქტორი შ. ხანთაძე
გამომცემლობის რედაქტორი ც. შალამბერიძე
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ც. კახაბერიშვილი

გადაეცა წარმოებას 17.8.1960; ანაწყობის ზომა 6×10;
ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.12.1960; ქაღალდის ზომა 60×92 1/16
ქაღალდის ფურცელი 3,7; საბეჭდი ფურცელი 7,4; საავტორო
ფურცელი 6,12; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 6,23;
შეკვეთა 1240; უე 08067; ტირაჟი 1000
ფასი 4 მან. 10 კაპ.
1961 წ. 1/I-დან 41 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5